საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№29 (500)
7 - 13 აგვისტო, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## სარდალი, რომელმაც სიმართლე თქვა 6

## «ადეიშვილების, ოქრუაშვილებისა და სააკაშვილების «აღიარებითი ინტერვიუები» მოსახლეობას «ნაცხროვაზე» გულს ვერ მოუბრუნებს» 2



## კრიმინალში ეჭვმიტანილ ადამიანს არ აქვს უფლება, საქართველოში ბიზნესი აწარმოოს 3

## შტრიხები ასთიონა გვარამიას ავტოპორტრეტისთვის 4





მამა გიორგი (რაზმაძე):

## 8 ისინი აუცილებლად მოაწყობენ კიდევ არაერთ ძალადობას და, თუ დასჭირდებათ, მსხვერპლსაც არ მოერიდებიან

## ბატონებო, თქვენ მიერვე ლეგალიზებულ ბალახს ხომ არ მიეძალეთ? 5




## საქართველო – ღირსებისა და პატრიოტული სულისკვეთებისგან დაცლილი საზოგადოების საქიშპეთი 16



## ვლადიმერ პუტინის 20 წელიწადი 12



## «ამერიკელები უკვე აღარ იცინიან, მათ საქმე სასაცილოდ აღარ აქვთ» 15



კედმიმ ახსნა, რატომ ეშინია ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთის

## მოსკოვსა და თბილისში არეულობების ერთი ხელწერა 13



თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შეცდომებზე რომ საუბრობენ და ადეიშვილმაც რამდენიმეჯერ გაიმეორა ეს სიტყვა ინტერვიუში, შეცდომა იყო მკვლელობები? სანდრო გირგვლიანი რომ წამებით მოკლეს, ბუტა რობაქიძე, ზურა ვაზაგაშვილი ქუჩაში ჩაცხრილეს, ციხეებში წამებით ხდიდნენ ადამიანებს სულს, ეს შეცდომები იყო?! ეს იყო დანაშაულები! აგეს პასუხი? სტრასბურგმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ერთეულ შემთხვევებთან კი არ გვქონდა საქმე, არამედ ეს იყო სისტემური დანაშაული“.**



# ნანა კაკაბაძე: ადეიშვილების, ოქრუაშვილებისა და სააკაშვილების «აღიარებითი ინტერვიუები» მოსახლეობას «ნაცხროვაზე» გულს ვერ მოუბრუნებს

**ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილმა, საზღვარგარეთ გაქცეულმა იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილ გენდირექტორ ნიკა გვარამიას ვრცელი ინტერვიუ მისცა და წინა ხელისუფლების მიერ ცხრა წლის განმავლობაში განხორციელებული პოლიტიკის ავ-კარგზე ესაუბრა. თითქმის ორსაათიან „აღსარებით ინტერვიუში“ ადეიშვილმა მისი მინისტრობის პერიოდში მომხდარი გახმაურებული საქმეები გაიხსენა და ყველა იმ დანაშაულს, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი რეჟიმის რეპრესიული პოლიტიკის გამო მოხდა, შეცდომები უწოდა: „რა თქმა უნდა, დავუშვი შეცდომები, ბუნებრივია. ბევრი შეცდომა იყო. ამ გადმოსახედიდან ეს ყველაფერი უკეთესად ჩანს და, ვფიქრობ, ბევრი რამ ყველას ერთად სხვაგვარად რომ გაგვეკეთებინა, შანსი იყო ჩვენი ქვეყნის სხვანაირი განვითარების...“**

## «კიდევ ერთხელ მივმართავ ქალბატონ ელჩის მოვალეობის შემსრულებელს: ასეთი დახმარება და პარტნიორობა სჭირდება საქართველოს?!»

მიუხედავად ვრცელი „პოლიტიკური აღსარებისა“, რომელიც, ცხადია, რეჟიმის ოდიოზური სახეების რეინკარნაციის მცდელობაა, **ადეიშვილს** არაფერი უთქვამს სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. შეკითხვაზე — რა მიზნებით ისურვებდა სამშობლოში დაბრუნებას, მოკლედ უპასუხა: „საქართველოში მშვიდად ცხოვრება მინდა“. ინტერვიუს ბოლოს კი ადეიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში აუცილებლად დაბრუნდება და აქტიურად ჩაერთვება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში, რაც მისი დიდი ხნის ოცნებაა.

**საკმარისია თუ არა „ნაცმოძრაობის“ ლიდერების მიერ წლების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულების შეცდომებად შეფასება მათი პოლიტიკური რეაბილიტაციისთვის და თუ შეცვლის ეს საზოგადოების განწყობას, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, ზურაბ ადეიშვილმა ამას წინათ განაცხადა, რომ ხელისუფლებაში ყოფნისას უამრავი შეცდომა დაუშვა. მან შეცდომად შეაფასა ბიზნესმენთა რეპრესიები და დევნა. თქვენი აზრით, დღევანდელ ვითარებაში მსგავსი პოლიტიკური „აღსარებით“ რის მიღწევას ცდილობს „ნაცმოძრაობა“?**

— ეს პროცესები, რომლებიც დღეს ვითარდება, ეს ვითომ პოლიტიკური აღსარებები და სინანულის გამომხატველი ინტერვიუები ჩემთვის მოულოდნელი არ არის. იმიტომ, რომ მე, როგორც ერთ-ერთი იმ ადამიანებს შორის, რომლებიც თავიდანვე მწვავედ დაუპირისპირდნენ **სააკაშვილის** კრიმინალურ რეჟიმს, კარგად ვიცნობ მათი მოქმედების სტილსა და სტრატეგიას. ეს მათი იაფფასიანი პოლიტიკური სვლები ჩემთვის უცხო არ არის. რაც შეეხება კონკრეტულ განცხადებებს, რომლებიც ქულების დაწერას ემსახურება, აგერ უკვე **ოქრუაშვილმაც** დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ქვეყანაში წლების განმავლობაში რეკეტი იყო, რომ იყო ე.წ. ელიტური კორუფცია, რომ მისი უშუალო მონაწილეობით გაიხსნა რაღაც ფონდები და იქ ბიზნესმენებს ფულს არიცხვინებდნენ... ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: თუ ასეთ რაღაცებს სჩადიოდნენ და ნანობენ, პასუხისმგებლობაზე რატომ არ საუბრობენ? რატომ არ იძლევიან ოფიციალურად ჩვენებებს და რატომ გაურბიან დღემდე მართლმსაჯულებას?

**— ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პოლიტიკურად აგო პასუხი...**

— მე პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე არ ვსაუბრობ, ლაპარაკია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, მაგრამ „ნაცმოძრაობას“ პოლიტიკურადაც არ უგია პასუხი. პარტია, რომელიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ფაქტობრივად, იყო გაკოტრებული, უცებ გახდა მთავარი ოპოზიციური ძალა. სად არის აქ პოლიტიკური პასუხისმგებლობა?! ეს ერთი. მეორე — **შეცდომებზე რომ საუბრობენ და ადეიშვილმაც რამდენიმეჯერ გაიმეორა ეს სიტყვა ინტერვიუში, შეცდომა იყო მკვლელობები? სანდრო გირგვლიანი რომ წამებით მოკლეს, ბუტა რობაქიძე, ზურა ვაზაგაშვილი ქუჩაში ჩაცხრილეს, ციხეებში წამებით ხდიდნენ ადამიანებს სულს, ეს შეცდომები იყო?! ეს იყო დანაშაულები! აგეს პასუხი? სტრასბურგმა გამოიტანა გადაწყვეტილება უკვე, რომ ერთეულ შემთხვევებთან კი არ გვქონდა საქმე, არამედ ეს იყო სისტემური დანაშაული.** სინანულსა და აღსარებას რაც შეეხება, **თუ ადეიშვილს ძალიან უნდა იმის დამტკიცება, რომ რაღაცეები გადააფასა და ბევრ რამეს ნანობს, შეცდომებად კი ნუ ასაღებს იმ უბედურებას, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში დაატრიალეს, ჩამოვიდეს და პასუხი აგოს კანონის წინაშე. პასუხი აგონ რამიშვილმა, ახალაიამ, სააკაშვილმა... მოიხადონ სასჯელი და მერე ილაპარაკონ.** აი, ამ კრიმინალებს, ამ უმძიმესი დანაშაულების ჩამდენ ბოროტმოქმედებს წლების განმავლობაში ჰქონდათ დასავლეთის, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების, უპირობო მხარდაჭერა. გახსოვთ, ალბათ, შეფასებები: დემოკრატიის შუქურაო და ა.შ. **რატომ არ აკეთებს დღეს ამერიკის საელჩო განმარტებებს?! რატომ არ იღებს ხმას და რატომ არაფერს ამბობს, როცა ამ ადამიანებმა უკვე თვითონ დაიწყეს ლაპარაკი თავიანთ დანაშაულებზე?**

**— რა განმარტებები უნდა გააკეთოს აშშ-ის საელჩომ?**

— ორი ვარიანტია: ან არ იცოდნენ, რეალურად რა ხდებოდა აქ და რა ძალას უჭერდნენ მხარს, რაშიც ძალიან მეპარება ეჭვი; ან იცოდნენ და ეს, უბრალოდ, არ აინტერესებდათ. **ხომ არიან ჩვენი მეგობრები და სტრატეგიული პარტნიორები, გამოვიდნენ და განუმარტონ საზოგადოებას...**

**— კი, მაგრამ დღეს ელჩიც არ ჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში, მხოლოდ ელჩის მოვალეობის შემსრულებელია.**

— მოვალეობის შემსრულებელი უძახეთ და **ბუზი ვერ გაიფრენს ჰაერში მასთან შეუთანხმებლად. როცა საუბარია ლგბტ პირების უფლებებზე და ვილაცებს გეიაღლუმის ჩატარება სურთ, მაშინ ხომ არ უჭირთ განცხადებების კეთება, ნაციონალების აქციებზე ხომ დადიან რუსთაველზე თითქმის ყოველ საღამოს და ამ თემაზე უჭირთ განმარტებები?** კიდევ ვიმეორებ: **ამერიკელების მიერ წლების განმავლობაში წაქეზებული და დემოკრატიის შუქურად შერაცხილი სისხლიანი რეჟიმის ლიდერები თვითონ აღიარებენ, რომ მათი მმართველობის დროს ქვეყანაში იყო რეკეტი, წამება და მკვლელობები. გამოვიდნენ ამერიკელები და განუმარტონ საზოგადოებას: ამას შეგნებულად უჭერდნენ მხარს და აქეზებდნენ, თუ არ იცოდნენ?** თუმცა რა განმარტებებიც უნდა გააკეთდეს, ნამდვილად გამიჭირდება იმის დაჯერება, რომ მათ რამე არ იცოდნენ. მით უმეტეს, ჩვენ გვახსოვს, 7 ნოემბრისა და 26 მაისის მოვლენების შემდეგ რა განცხადებები გააკეთა ამერიკის საელჩომ... კიდევ ერთხელ **მივმართავ ქალბატონ ელჩის მოვალეობის შემსრულებელს: ასეთი დახმარება და პარტნიორობა სჭირდება საქართველოს?! თქვენთვის მოკავშირეობა კრიმინალების დაფინანსებასა და ხელშეწყობას ნიშნავს?!**

დანაშაულის ხელშეწყობა და დახმარებაც დანაშაულია, ამიტომ ჩუმად კი არ უნდა იყვნენ დღეს, **როცა მათი პოლიტიკური მარიონეტები აღიარებას აღიარებაზე აკეთებენ, კეთილი ინებონ და აუხსნან საზოგადოებას თავიანთი საქციელი — გვითხრან, რატომ ამკობდნენ სისხლიანი რეჟიმის ლიდერებს ისეთი ეპითეტებით, როგორიცაა, მაგალითად, დემოკრატიის შუქურა. რატომ აქეზებდნენ ამ კრიმინალებს მსგავსი შეფასებებით?!**

**— დავუბრუნდეთ ისევ ადეიშვილის ინტერვიუს. მან თქვა, რომ საზოგადოებას არ უნდა ეშინოდეს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების, რადგან ამ პარტიის წევრებმა ბევრი რამ გადააფასეს და შეცდომებს აღარ გაიმეორებენ. რაზე შეიძლება ეს ყველაფერი გათვლილი იყოს?**

— იმ პირობებში, როცა სტრასბურგმაც კი გამოაქვეყნა მკაფიო გადაწყვეტილება სამ გახმაურებულ საქმეზე და ამით მათ წაართვა ის „არგუმენტი“, რომ „ივანიშვილის სასამართლო“ მიკერძოებულია, **ხედავენ, რომ მომავალში კიდევ ბევრი რამ გამოაშკარავდება და წინმსწრებად აკეთებენ რაღაც განცხადებებს. შემთხვევითი არ არის, რომ თურმე ეს ყველაფერი დანაშაულები კი არ იყო, არამედ რაღაც გადაცდომა, რომელიც ერთი სატელევიზიო „მონანიებით“ შეიძლება გამოასწორო.** საერთაშორისო სამართალმა არ იცის ასეთი პრაქტიკა, რომ დანაშაულის ჩამდენს მართლმსაჯულება ბოდიშის მოხდის სანაცვლოდ ათავისუფლებდეს პასუხისმგებლობისგან. კიდევ ვიმეორებ: **ჩამოვიდეს ბატონი ადეიშვილი, წარდგეს სასამართლოს წინაშე, მისცეს ჩვენება და აგოს პასუხი. მერე შეიძლება ვილაპარაკოთ სინანულზე, თორემ, კაცი საზღვარგარეთ რომ იმალება და კანონს გაურბის, მის სინანულზე შეიძლება სერიოზულად საუბარი?!**

რაც შეეხება იმას, რომ იგი არც ერთ ხელისუფლებაში არ აპირებს ყოფნას, **ღმერთმა არ ქნას, „ნაციონალური მოძრაობა“ ოდესმე დაბრუნდეს, თორემ ადეიშვილიც იქნება, მერაბიშვილიც, ახალაიებიც, რამიშვილებიც და ყველა სისხლიანი ჯალათი, რომელთაგან დღეს ზოგი ციხეშია, ზოგიც — საზღვარგარეთ მიმალვაში.** კბილებს ილესავენ ეს ადამიანები იმაზე, რომ, როცა დაბრუნდებიან, რევანში მოუწყონ ჯერ პოლიტიკურ ოპონენტებს, რომლებმაც ყველაზე მეტად დაარტყეს მათ რეჟიმს, მერე — საზოგადოებას. თუმცა მთავარი ჩემთვის, ამ შემთხვევაში, ის კი არ არის, დამნაშავეები რას აკეთებენ, მთავარია, საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია. **ამიტომაა მნიშვნელოვანი ამერიკის საელჩოს განმარტება და, თუ ამას არ გააკეთებს, ეს იქნება უკვე იმის დადასტურება, რომ ისევ მხარს უჭერს ამ კრიმინალებს. აი ეს არის სიმართლე და მერე ვილაცები გამოხტებიან, — ანტიდასავლურ განწყობებს რაღაც პროპაგანდა აღვივებსო...**

სხვათა შორის, 26 მაისის დარბევა ვახსენე და **ამას წინათ „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებულმა ერთმა ვაიექსპერტმა განაცხადა: მაშინ ძალის გამოყენება ლეგიტიმური იყოო. არგუმენტი არ გაინტერესებთ? პრორუსული ძალები იდგნენო, ანუ რა გამოდის: თურმე იმ 100 და 200 ათასი მშვიდობიანი დემონსტრანტის გაჟლეტვა ლეგიტიმური ყოფილა, იმიტომ, რომ ნაცებმა გადაწყვიტეს, რომ ისინი პრორუსულ ძალას წარმოადგენდნენ და 20 ივნისის ღამეს პოლიტიკურად ანგაჟირებული 2000 აგრესიული მოქალაქე რომ პარლამენტის კარს ამტვრევდა, არც უნდა შეხებოდნენ. ეს არის მათი „ლოგიკა“** და, ბუნებრივია, ამ პრინციპებით განაგრძობენ სახელმწიფოს მართვას, თუ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. არ მგონია, რომ ჩვენს საზოგადოებას ამის შეხსენება სჭირდებოდეს. საზოგადოებას, ცხადია, არასდროს დაავიწყდება ის ცხრაწლიანი უბედურება. ასე რომ, ვერანაირი ადეიშვილების, ოქრუაშვილებისა და სააკაშვილების „აღიარებითი ინტერვიუები“ მოსახლეობას „ნაცხროვაზე“ გულს ვერ მოუბრუნებს. „ნაცმოძრაობა“ იყო და არის ბოროტება, რომელსაც ადამიანების წარმოდგენაში სიკეთედ ვერაფერი ვერ გადააქცევს...

**როცა საუბარია ლგბტ პირების უფლებებზე და ვილაცებს გეიაღლუმის ჩატარება სურთ, მაშინ ხომ არ უჭირთ განცხადებების კეთება, ნაციონალების აქციებზე ხომ დადიან რუსთაველზე თითქმის ყოველ საღამოს და ამ თემაზე უჭირთ განმარტებები? კიდევ ვიმეორებ: ამერიკელების მიერ წლების განმავლობაში წაქეზებული და დემოკრატიის შუქურად შერაცხილი სისხლიანი რეჟიმის ლიდერები თვითონ აღიარებენ, რომ მათი მმართველობის დროს ქვეყანაში იყო რეკეტი, წამება და მკვლელობები. გამოვიდნენ ამერიკელები და განუმარტონ საზოგადოებას: ამას შეგნებულად უჭერდნენ მხარს და აქეზებდნენ, თუ არ იცოდნენ?**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**თუ კანონში აღნიშნული მუხლი არ არის, პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზევე უნდა შეიტანოს, რათა კანონის მიხედვით, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილმა და სახელმწიფოს მიერ ძებნილმა პირებმა ვერ შეძლონ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არათუ ტელევიზიის გახსნა, არამედ ნებისმიერი ბიზნესის წარმოება. სხვაგვარად, სახელმწიფო იმ ქარვასლას დაემსგავსება, რომელშიც ნებისმიერს შეუძლია შესვლა და ვაჭრობა.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კრიმინალში ეჭვმიტანილ ადამიანს არ აქვს უფლება, საქართველოში ბიზნესი აწარმოოს



**მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ყოველთვის ვითხოვთ სიტყვის თავისუფლებას, უფრო ზუსტად, სიტყვის თავისუფლებას მოქმედ ხელისუფლებას ვთხოვთ და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ხელისუფალი; სიტყვის თავისუფლება ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად რჩება. საბოლოოდ კი, მივედით იქამდე, რომ ყველა საუბრობს იმას, რაც ენაზე მოადგება, და, რაც მთავარია, ენაზე მომდგარი ისმის ქუჩაში, ტრანსპორტში, ტელევიზიაში... ჰო, ტელევიზიაში, სიადანაც მხოლოდ 2-3 კაცი კი არ გაიგებს ამ ყველაფერს, არამედ — ასიათასობით. სწორედ ტელეეთერის ბოროტად (რბილი ნათქვამია) გამოყენების გამო ვართ საშინელ დღეში და სწორედ ამის გამო ქვეყნის ბიუჯეტმა მილიარდები იზარალა.**



ჰოდა, ამ ტელევიზიის გარშემო ახლა სერიოზული ამბებია ატეხილი. როგორც გაირკვა, თავის დროზე, „რუსთავი 2“ **ქიბარ ხალვაშისთვის** წაურთმევიათ და ახლა, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს. ერთი შეხედვით, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს და ჩვენ ეს მხარე უფრო გვაინტერესებს. გავიგეთ, რომ თურმე ხალვაში მართალი ყოფილა, რომ ტელევიზია უკანონოდ წაართვეს, რომ ამ საქმეში ჩართული იყო სააკაშვილის სახელმწიფო მანქანა... და რა? **არც არაფერი. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ტაშს რომ ვუკრავთ, იმას რატომ არავინ ამბობს, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არავინ მიუციათ? ადამიანს წაართვეს ტელევიზია და დამნაშავე არ არსებობს?! მაშინ, რა ნაწილში გამართლდა ხალვაში? ვინ არიან ისინი, ვინც ამ ყველაფერში ჩართული იყო? თუ, უბრალოდ, სააკაშვილის მხარეს გაიშვერენ ხელს და ამით დასრულდება ყველაფერი?** რა როლი ჰქონდათ ამ ყველაფერში თუნდაც ძმებ **ყარამანაშვილებს**, როგორ და რა საშუალებით იყიდეს ტელევიზია, რატომ არ გაუჩნდათ ეჭვი, რომ ყველაფერი წესრიგში არ იყო? თუ ისინიც მსხვერპლნი არიან და, უბრალოდ, იძულებულნი შეიქნენ, ასე მოქცეულიყვნენ? მაშინ, რატომ არ დაუბრუნეს საკუთარი ნებით ტელევიზია კანონიერ მფლობელს? ჰო, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ხალვაშს ცალკე **ჯარჯი აქიმიძე** და **დავით დვალი** ედავებიან: შენც არაკეთილსინდისიერად ჩაიგდე ხელშიო და ამ სიტყვებში სიმართლის მარცვალი დიდი დოზით უნდა იყოს, რადგან შეხვედრაზე, რომელიც მხარეებს შორის შედგა, ხალვაშმა აქიმიძე-დვალს ტელევიზიის 40% შესთავაზა. ასეთ გულუხვ საჩუქარს ტყუილ-უბრალოდ რომ არავინ იძლევა, ცხადია...

ჰოდა, მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“ კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა და ოპოზიციას სერიოზული საყრდენი გამოეცალა, გადაწყდა, რომ ახალი ტელევიზია უნდა გაკეთდეს, ანუ ახალი „რუსთავი 2“, რომელიც კვლავ იქნება ოპოზიციის დასაყრდენი და არა მხოლოდ ოპოზიციის. რატომღაც გვგონია, რომ ახალი ტელევიზია იქნება დასავლეთის მითითებების უსიტყვო შემსრულებელი და ისიც გვგონია, რომ დივერსია, რომელიც ცოტა ხნის წინათ „რუსთავი 2“-ის ეთერში განხორციელდა, დასავლეთის გარკვეული წრეების მხრიდან „მწვანე შუქის ანთების“ გარეშე არ იქნებოდა.

ისევ სამომავლოდ დაანონსებულ ტელევიზიებს დავუბრუნდეთ. ერთ-ერთის გახსნა-დაფინანსებას თავდაცვის ყოფილი მინისტრი **დავით კეზერაშვილი** აპირებს. ეს ის კეზერაშვილია, ჩვენი პროკურატურის მოთხოვნით საფრანგეთში რომ დააკავეს და იმავე პროკურატურის უნიათობის გამო საფრანგეთშივე რომ გაუშვეს. კეზერაშვილს ხელისუფლება ედავება პრაქტიკულად ყველაფერს, რაც კი შეიძლება ყოფილ მაღალჩინოსანს მოედავო — თანამდებობის ბოროტად გამოყენებით დაწყებული, დიდი ოდენობით თანხების მითვისებით დამთავრებული. მართალია, საფრანგეთის სასამართლომ კეზერაშვილი გაათავისუფლა, მაგრამ ჩვენს პროკურატურას სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეუწყვეტია.

ჰოდა, ახლა **ადამიანი, რომლის წინააღმდეგაც არაერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ამბობს, რომ ახალი ტელევიზიის მთავარი დამფინანსებელი იქნება (ძალიან დიდი ალბათობით, სწორედ ის იყო „რუსთავი 2“-ის მთავარი დამფინანსებელიც). საუბარი რამდენიმე მილიონ დოლარზეა, ანუ თანხაზე, რომელიც, წესითა და რიგით, ხელისუფლებაში „ცალცალი კალოშით“ მისულ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ საქართველოში ხომ ასეა — ხელისუფლებაში მოსვლა დიდი ფულის შოვნასთან ასოცირდება.**

**კეზერაშვილის განცხადებისა და ოპოზიციის ალტკინების შემდეგ, ხელისუფლებიდან ხმა არავის ამოუღია და არ უთქვამს, რომ კრიმინალში ეჭვმიტანილ ადამიანს არ აქვს უფლება, საქართველოში ბიზნესი აწარმოოს. არც ის უთქვამთ, რომ, კანონის შესაბამისი მუხლის თანახმად, კეზერაშვილს ამის უფლება არ აქვს და, თუ კანონში ასეთი რამ არ წერია, მაშინ სასწრაფოდ უნდა ჩაიწეროს, რადგან სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილმა ადამიანებმა (და არ არის საუბარი მხოლოდ კეზერაშვილზე) ვერ მოახერხონ საქართველოში ლეგალური საქმიანობის წარმოება**

საინტერესოა, რომ **კეზერაშვილის განცხადებისა და ოპოზიციის ალტკინების შემდეგ, ხელისუფლებიდან ხმა არავის ამოუღია და არ უთქვამს, რომ კრიმინალში ეჭვმიტანილ ადამიანს არ აქვს უფლება, საქართველოში ბიზნესი აწარმოოს. არც ის უთქვამთ, რომ, კანონის შესაბამისი მუხლის თანახმად, კეზერაშვილს ამის უფლება არ აქვს და, თუ კანონში ასეთი რამ არ წერია, მაშინ სასწრაფოდ უნდა ჩაიწეროს, რადგან სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილმა ადამიანებმა (არ არის საუბარი მხოლოდ კეზერაშვილზე) ვერ მოახერხონ საქართველოში ლეგალური საქმიანობის წარმოება.**

კეზერაშვილის პარალელურად, ტელევიზიის გახსნა, პრაქტიკულად, ყველა მსხვილმა ოპოზიციურმა ძალამ დააანონსა. ისინი აცხადებენ, რომ დონორების მოძიებით არიან დაკავებულნი, რომ ეს დონორები საზღვრებს გარეთ მონახეს, რომ ფულის პრობლემა არ იქნება... არავინ სვამს კითხვას: **ვის და რას მოემსახურება ეს ტელევიზიები? რა ფორმატში იმუშავებენ? რას გააშუქებენ? რას დამალავენ და როგორ მიაწვდიან საზოგადოებას ინფორმაციას?** სამაგიეროდ, ხელისუფლების წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ „რუსთავი 2“ იმ ფორმით, როგორც არსებობდა, სწორ ინფორმაციას არ აწვდიდა მაყურებელს — ფაქტებს ამახინჯებდა, სიტუაციას ძაბავდა... და ვინ არის გარანტი იმისა, რომ ახალი ტელევიზიებიც ანალოგიურად არ მოიქცევიან? მით უმეტეს, რომ დაანონსებული ტელევიზიის დირექტორად ნაგულისხმევმა **ნიკა გვარამიამ** საჯაროდ განაცხადა, რომ ახალი ტელევიზია იქნება პარტიული და გაატარებს პარტიულ ინტერესებს. მან ისიც თქვა, რომ ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ასეთ ტელევიზიას ჩაუდგება სათავეში, ანუ **გვარამიას მიაჩნია, რომ „რუსთავი 2“ იმ ფორმით, რა ფორმითაც მაუწყებლობდა და მაუწყებლობს, არ იყო პარტიული ინტერესების გამტარებელი. ხომ წარმოგიდგენიათ, პარტიულ ტელევიზიას რომ დაირქმევენ, რა მოხდება და რა სახის ინფორმაცია გადმოიღვრება ეთერიდან?!**

ისიც ვთქვათ, რომ იმავე გვარამიას განცხადებით, „რუსთავი 2“ იყო ერთადერთი ტელევიზია საქართველოში, რომელიც ატარებდა დასავლურ კურსს. **ამით გვარამიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ დასავლეთიც მის მხარესაა და დასავლელ პარტნიორებსაც ძალიან მოსწონდათ ის, რასაც „რუსთავი 2“ აკეთებდა.** არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი პროკურატურა ვითომ ეძებს იუსტიციის ყოფილ მინისტრ **ზურაბ ადეიშვილს** და იგივე გვარამია მშვიდად ჩადის ბუდაპეშტში, მშვიდად იღებს ინტერვიუს... როგორ დავიჯეროთ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ არ იცის, სად იმყოფება ადეიშვილი?! ან ის როგორ დავიჯეროთ, რომ მყარი არგუმენტების არსებობის შემთხვევაში ვერ აიძულებს უნგრეთის ხელისუფლებას, დააკავოს და გადმოგვცეს ადეიშვილი? მაგრამ არა! პროკურატურას სირაქლემის პოზა აქვს მიღებული და ვერაფერს ამჩნევს. არადა, **2012 წელს სამართლიანობის აღდგენის სახელით მოსული ხელისუფლების მთავარი დაპირება სწორედ ისეთი ოდიოზური ფიგურების გასამართლება იყო, როგორიც ადეიშვილია, მაგრამ, როცა ოპოზიციაში იყვნენ, „ქართული ოცნების“ ლიდერები ადეიშვილის საგმირო საქმეებზე ღიად საუბრობდნენ, ახლა კი ამ საქმეებიდან არაფერი დარჩა და ვერც ვერაფერს ამტკიცებენ.**

ნამდვილად არ ვაპირებთ, ვინმეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მოვითხოვოთ, მაგრამ აუცილებელი გვგონია, რომ **ხელისუფლებამ არ უნდა მისცეს უფლება ყველას, ეთერიდან ისაუბროს ნებისმიერი რამ, რაც მოესურვება. მით უმეტეს, ტელევიზიის კი არა, „ბუტკის“ ჩადგმის უფლებაც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომლის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.** არ არის ტელევიზია მარკეტი — გახსნა და შენი პროდუქცია გაყიდო, მით უმეტეს, ასეთი მუქარის ფონზე... ჰო, მუქარის, რადგან, **როგორც გვარამია, ისე კეზერაშვილი და ისე „ნაციონალური მოძრაობა“ იმუქრებიან, რომ ახალი ტელევიზია პარტიული იქნება და მოქმედი ხელისუფლების გასტუმრებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.** მართალია, რეიტინგის მოპოვებას რამდენიმე თვე დასჭირდება, მაგრამ ის ვადა, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩა, საკმარისი იქნება იმისთვის, რომ რეიტინგიც მოიპოვოს და ეთერში ისეთი რაღაცები მოიმოქმედონ, საყოველთაო განსჯის საგანი რომ გახდეს.

სწორედ ამიტომ, თუ კანონში აღნიშნული მუხლი არ არის, პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზევე უნდა შეიტანოს, რათა კანონის მიხედვით, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილმა და სახელმწიფოს მიერ ძებნილმა პირებმა ვერ შეძლონ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არათუ ტელევიზიის გახსნა, არამედ ნებისმიერი ბიზნესის წარმოება. სხვაგვარად, სახელმწიფო იმ ქარვასლას დაემსგავსება, რომელშიც ნებისმიერს შეუძლია შესვლა და ვაჭრობა.

**ბესო ბარბაქაძე**

ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ხელისუფლებაში ყოფნისას ბევრი რამ ვერ გავიაზრეთ, მაგალითად, არ ვიცოდით, რომ სასამართლოების პროკურატურაზე დაქვემდებარება არ შეიძლებოდა“. გაითვალისწინეთ, რომ ეს თქვა ადამიანმა, რომელიც გენერალური პროკურორის მოადგილედ მუშაობდა. ქვეყნის ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობაზე იჯდა კაცი, რომელმაც სამართლიანი სახელმწიფოს ყველაზე ელემენტარული და ძირითადი პრინციპი — სასამართლოს დამოუკიდებლობა — „არ იცის“.**

# შტრიხები ასთიონა გვარამიას ავტოპორტრეტისთვის

**ცნობილი მხატვრების მიერ დახატული ავტოპორტრეტი ბევრი გვინახავს, მაგრამ ერთადერთი და განუმეორებელი იყო „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მიერ არა ფუნჯით, არამედ სიტყვებით „დახატული“ ავტოპორტრეტი. აქ საინტერესო ისიც იყო, რომ ნიკა გვარამიას სულაც არ სურდა ავტოპორტრეტის დახატვა, უბრალოდ, „შემოეხატა“. საუბარია რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინა ტერიტორიიდან ორგანიზებულ „ფეისბუკ-ლაივებზე“, რომლებიც ლიბერასტულ ლიტერატურულ წრეებში „შოთა გაგარინად“ წოდებულ შოთა დიღმელაშვილს მიჰყავს ხოლმე.**



რამდენიმე დღის წინათ „გაგარინის ლაივის“ სტუმარი სწორედ **ნიკა გვარამია** იყო. ამ „დიადი“ **იურისტ-ჟურნალისტ-მუსიკისმცოდნე-კულინარ-პოლიტიკოს-„ყველაფერშჩიკისგან“** ათასი სისულელის მოსმენას, მართალია, მიჩვეული ვართ, მაგრამ, რაც მან იმ დღეს ილაპარაკა, თვით დემაგოგიის გურუ შოთა გაგარინ-დიღმელაშვილიც კი დააბნია და, ცოტა არ იყოს, გაოცებული დატოვა.

დავიწყოთ იმით, რომ გვარამიამ პირდაპირ აღიარა: მიშა სააკაშვილის მიმართ „პირადი გრძნობები“ მაქვს და ნებისმიერ სიტუაციაში მის გვერდით ვიქნებიო.

**„მე ვიყავი ერთი არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი დევნილი ბიჭი, რომელსაც მიშამ ხელი მომკიდა, ჯერ პარლამენტში დამსვა, მერე კი — ჯერ იუსტიციის, მერე — განათლების მინისტრად. ასეთი რაღაცები მანამდე საქართველოში არ ხდებოდა და ეს იყო, მგონი, პირველი შემთხვევა და მე მისი მუდამ მადლიერი ვიქნები და ვიქნები ყოველთვის სააკაშვილის მხარდამჭერი“,** — განაცხადა გვარამიამ.

დანარჩენ სისულელეებთან ერთად, რაც მის ამ ფრაზაში აშკარად ყვირის, ასევე საინტერესოა ფრაზა: **„ასეთი რაღაცები მანამდე საქართველოში არ ხდებოდა“.**

უკაცრავად და, ნეტავი სად ხდებოდა ასეთი რაღაცები? სადმე, რომელიმე ნორმალურ განვითარებულ ქვეყანაში ვინმე ასე მოჰკიდებს ხელს „ჩვეულებრივ დევნილ ბიჭს“ და, გვარმიას ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „დასვამს“ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ან რომელიმე მინისტრის სავარძელში?

ნორმალურ ვითარებაში არავინ არავის არსად არ „სვამს“ და „დებს“. ადამიანები საფეხურ-საფეხურ, შრომითა და მონდომებით, მოთმინებით აღწევენ წარმატებას, იქმნიან კარიერას, დამსახურების მიხედვით ინიშნებიან ან ირჩევენ სხვადასხვა თანამდებობაზე.

საქართველოში არ ხდებოდა კი არა, პირიქით, **სწორედ საქართველოსნაირ უპატრონო ქვეყანაში შეიძლებოდა მომხდარიყო ეს და სწორედ „ვარდების ხელისუფლების“ პირობებში, რადგან სააკაშვილი და კომპანია განგებ არჩევდნენ ნიკა გვარამიასნაირ არარაობებს და პირდაპირ მაღალ თანამდებობებზე „დებდნენ“, რათა „მუქთად“ მიღებულ თანამდებობას, ფულსა და გავლენას დახარბებულებს ეკადრათ ყველაფერი, რაც მიშას დაჭირდებოდა და ესიამოვნებოდა.**

ღირსეულმა და პროფესიონალმა, საქმიანმა კადრმა კი, რომელმაც თანამდებობას ნაბიჯ-ნაბიჯ, შრომით, ცოდნით, მოთმინებით მიაღწია, როდესაც რაიმე სულელურ, უღირს, არაადამიანურ დავალებას მისცემ, შესაძლოა, დიდი ალბათობით, უარი გითხრას, „გაგიჭედოს“, არ შეასრულოს ეს დავალება, შეიძლება სულაც გადადგეს თანამდებობიდან და საქვეყნოდ განაცხადოს: ასეთი დავალების შესრულებას მთხოვდნენ და ამის გაკეთებას და თავის შერცხვენას, გადადგომა ვარჩიეო. შესაძლოა, მხოლოდ ტელევიზიით გამოსვლა და რაღაც შენთვის სასურველი სისულელეების ლაპარაკი რომ დაავალო, ამაზეც უარი გითხრას, რადგან მას შრომისა და ოფლის ფასად მიღწეული პროფესიონალის იმიჯის დაკარგვა არ სურს. ერთი სიტყვით, **მართლა პროფესიონალმა და ღირსეულმა ადამიანმა ბევრი პრობლემები შეიძლება შეუქმნას მიხეილ სააკაშვილის ტიპის მმართველს.**

ამიტომაც **ნიკა გვარამია ამ შემთხვევაში სრულიად მართალია — ის მართლაც არარაობა იყო და სააკაშვილმა „დადო“ სრულიად დაუმსახურებლად სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე სწორედ იმიტომ, რომ მასში დაინახა ფულის, გავლენის, თანამდებობის გამო ყველაფერზე წამსვლელი ნაგავი.**

ერთ რამეში ცდება მხოლოდ გვარამია — ის ნამდვილად არ იყო ამ კუთხით საქართველოში პირველი არარაობა, რომელიც სააკაშვილმა თანამდებობაზე „დადო“. ასეთები „ვარდების“ ხელისუფლების პირობებში ბევრნი იყვნენ არა მხოლოდ სახელმწიფო უწყებებში, არამედ კერძო სექტორში და განსაკუთრებით — ჟურნალისტიკაში, სადაც ერთ-ერთ ყველაზე ბინძურ და ნაგავ თვალსაჩინო ორგანიზაციაში, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში გენერალურ დირექტორად ნიკა გვარამია დაინიშნა.

რაც შეეხება გვარამიას მსგავსად „თანამდებობებზე დადებულებს“, საკმარისია, გადახედოთ **დიმიტრი შაშკინის, დავით კეზერაშვილის, კვიტაშვილისა** და სხვა მაშინდელ „სახელმწიფო მოღვაწეთა“ ბიოგრაფიებს და ყველაფერი დღესავით ნათელი გახდება, რომ აღარაფერი ვთქვათ **ვერა ქობალიაზე, თინათინ ბოკუჩავაზე, ჩიორა თაქთაქიშვილსა** და მსგავს ოდიოზურ „გოგოშკებზე“.



სხვათა შორის, ნიკა გვარამიამ იმავე „გაგარინის ლაივში“ იმის თვალსაჩინო მაგალითიც მოიყვანა, რაზეც ამ წუთს ვსაუბრობთ, ანუ მან აღიარა, როგორ ბინძურ დავალებებს იღებდა სააკაშვილსგან და ასრულებდა კიდეც. **„ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, როდესაც დავიბარე ტელევიზიები და გამოვაქვეყნე ფარული ვიდეოჩანაწერები სხვადასხვა პერსონაზე. მართალია, უწყების სახელით ვმოქმედებდი და გარკვეულწილად მაიძულეს, რომ ეს გამეკეთებინა, მაგრამ თავი უნდა დამეწვა და ეს არ უნდა მექნა!“** — განაცხადა ნიკა გვარამიამ. ფაქტია, მას ამაზე გაცილებით ბინძური და არაადამიანური დავალებებიც ექნება შესრულებული, უბრალოდ, რადგან ის „ტელევიზორში არ გაბაზრებულა“, მათ შესრულებას არც ნანობს.

ან რა უნდა ვილაპარაკოთ იმ „დიდ იურისტზე“ რომელმაც ამას წინათ პირდაპირ ეთერში განაცხადა: **„ხელისუფლებაში ყოფნისას ბევრი რამ ვერ გავიაზრეთ, მაგალითად, არ ვიცოდით, რომ სასამართლოების პროკურატურაზე დაქვემდებარება არ შეიძლებოდა“. გაითვალისწინეთ, რომ ეს თქვა ადამიანმა, რომელიც გენერალური პროკურორის მოადგილედ მუშაობდა.** ქვეყნის ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობაზე იჯდა კაცი, რომელმაც სამართლიანი სახელმწიფოს ყველაზე ელემენტარული და ძირითადი პრინციპი — სასამართლოს დამოუკიდებლობა — „არ იცის“. სასამართლოს ასე უხეშად თვით კომუნისტებიც კი არ და ვერ ეხებოდნენ, ხოლო ამ „დასავლური ღირებულებების აპოლოგეტებმა“ კი თურმე ისიც არ იცოდნენ, რომ მოსამართლე პროკურორის „ხელის ბიჭი“ არ უნდა იყოს...

სწორედ ამიტომაც იყო, ეტყობა, რომ პარლამენტში „ნაჯდომი“, ორი მინისტრის სავარძელგამონაცვლელი და ნაპროკურორალი გვარამია თანამდებობების მოვლის შემდეგ წავიდა უცხოეთში სასწავლად და განათლების მისაღებად...

ეს — რაც იურისპრუდენციას შეეხება, თორემ ისე ნიკა გვარამიამ „გაგარინის ლაივში“ ჟურნალისტიკის შესახებაც წამოისროლა „ობოლი მარგალიტი“, რასაც მოედანზე შეკრებილმა 50-ოდე ეგზალტირებულმა შტერმა (რომლებიც საკუთარ თავს რატომღაც „მთელ ქართველ ახალგაზრდობას“ უწოდებენ) ოვაციები შეაგება.

**„მიუკერძოებელი ჟურნალისტიკა არ არსებობს არსად მსოფლიოში. ეს ქართველ ჟურნალისტებს ჰგონიათ, რომ მიუკერძოებლები უნდა იყონ, რადგან უვიცები არიან. სინამდვილეში, მსოფლიოში არსად არ არის მიუკერძოებელი ჟურნალისტიკა“** , — ქადაგებდა სისულელეებს „დიადი პროკურორ-ჟურნალისტი“ გვარამია და აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი 50-ოდე ეგზალტირებული ტუტუცი, რომლებიც, მადლობა ღმერთს, ნამდვილად არ არიან „მთელი ქართველი ახალგაზრდობა“.

არავის მოუვიდა აზრად, დაესვა მარტივი კითხვა: **კი, მაგრამ, თუკი მიუკერძოებელი ჟურნალისტიკა არ არსებობს მსოფლიოში, მაშ, რა „მედიასტანდარტებს“, ობიექტურობის მინიმალურ კრიტერიუმებს, ყველა მხარის ბალანსსა და თვითრეგულაციას ითხოვენ ხოლმე საერთაშორისო მედიაორგანიზაციები?**

თუმცა ნიკამ ისიც კი არ იცის, რომ სხვა რამეა რომელიმე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესების გამომხატველი ტელევიზია და სულ სხვა — შანტაჟისტი, ცილისმწამებელი, მაიმუნი და ვირიშვილი ტელევიზია, რომელიც ძალიან სცილდება უბრალოდ „მიკერძოება-მიუკერძოებლობის“ კრიტერიუმს.

საბოლოოდ ნიკა გვარამიამ ამ „ფეისბუკ-ლაივით“ თავიდან ბოლომდე დაგვიხატა ავტოპორტრეტი: **ადამიანი-არაფერი, რომელსაც, უბრალოდ, ძალიან ხიბლავდა ფული, თანამდებობა და გავლენები, თვალში განგებ გაეჩხირა იმ მომენტისთვის დიდების ზენიტში მყოფ კონკრეტულ „ყვარყვარეს“, ანუ მიშა სააკაშვილს. სადღეისოდაც მისგან მიშა სააკაშვილის მხარდაჭერის მოტივი ქვეყნისთვის გაკეთებული რაიმე სასიკეთო საქმეები კი არ არის, არამედ ვიწრო პირადი „მონური მადლიერების გრძნობაა“ იმის გამო, რომ ერთი კომპლექსებიანი კაცუნა ვითომ კაცად აქციეს.**

თანამდებობრივ სავარძელში ჩაჯდომის შემდეგ გვარამია მზად იყო, შეესრულებინა ყველაზე ბინძური დავალებაც კი, ოღონდაც ეს თანამდებობა, ფული და გავლენა არ დაეკარგა. ის მზად იყო ასევე, შეენიღბა თავისი სიბინძურე „პატრიოტიზმით“ და ჩირქი მოეცხო ნამდვილი პატრიოტებისთვის, ფარული გადაღებებისა და მათი გავრცელების გზით ჩაედინა ადამიანთა „მკვლელობაც“ კი.

აღარაფერს ვამბობთ პრინციპებსა და მსოფლმხედველობაზე (საერთოდ თუ აქვთ), რადგან ასეთი ადამიანები მზად არიან, ყველაფრის ფასად მოიპოვონ თანამდებობა, მათ შორის, ყველაზე მთავარი პრინციპების შეცვლითა და უარყოფით. მაგალითად, კომიკური და სასაცილოა, რომ ნიკა გვარამია 2004 წელს საქართველოს პარლამენტში შევიდა „კონსერვატორების“ კვოტით.

დღეს ნიკა გვარამიას თუ „კონსერვატორობის“ ეტყობა რამე, მაშინ მე ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორი ვყოფილვარ და ეგაა...

საქმეც ზუსტად ეს არის — **ასეთი სულით ნაგავი ადამიანებისთვის „კონსერვატორობა“, „ლიბერალობა“, „მემარჯვენეობა“, „მემარცხენეობა“ და ა.შ. მხოლოდ ძალაუფლების, გავლენის, თანამდებობის, ფულის მოპოვების ინსტრუმენტია და, როცა რა სჭირდებათ საამისოდ, ის იქნებიან: დღეს „კონსერვატორი“ იქნება, ხვალ — „ულტრამემარჯვენე ლიბერალი“, პრობლემაა რამე?**

სწორედ ეს ძირითადი თვისება, შეთავსებული წარმოუდგენელ უტიფრობასა და სულელობასთან, არის ის, რის გამოც სააკაშვილისნაირი მმართველები გამოარჩევენ ხოლმე ნიკა გვარამიასნაირ მოხელეებს.

მაინც რატომ? მთლად კარგად ვერ გაიგეთ, რისთვის სჭირდებათ ასეთები? ამ კითხვაზე ყველაზე მოქნილად ჭაბუა ამირეჯიბს აქვს გაცემული პასუხი თავის გენიალურ რომანში „დათა თუთაშხია“:

**— თუ იცი, დათა, მაინცდამაინც ასთიონა რატომ შეარჩიეს შენს მოსაკლავად?**

**— რატომ და, ყველაფერთან ერთად, სულელია ასთიონა! სულელი კი ადვილად კლავს კაცს...**

**თუ ხელისუფლებამ იცოდა, რომ რუსი ტურისტების ჩანაცვლება გამორიცხული იყო, რისთვის წამოიწყო კამპანია ზაფხულის საქართველოში გატარებაზე ან რისთვის გამოყო ის 600 ათასი ევრო, რომელიც თურმე იმავე რუს ტურისტებს იმ ფასნამატს დაუფარავდა, რომელიც საქართველოში სხვა ქვეყნის გავლით ჩამოსვლის შემთხვევაში ექნებოდათ?! ან ეს 600 ათასი ევრო მხოლოდ 7 ათასამდე ტურისტს რომ ეყოფა და საუბარი ნახევარ მილიონ ტურისტზე იყო, ეგ როგორ გავიგოთ და ვინ აგვიხსნის?**

ერთიანი ვალუტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნებისმიერი გამოცდილი ფინანსისტი გეტყვის, რომ ყველაზე მეტ ფულს კომერციული ბანკები მაშინ აკეთებენ, როცა ვალუტა რამდენიმე დღის განმავლობაში თამაშობს. არ აქვს მნიშვნელობა, ვალუტა იკლებს თუ იმატებს, მთავარია, ან უფასურდებოდეს, ან პირიქით — მყარდებოდეს. იმას, რაც გასულ კვირაში ჩვენმა ეროვნულმა ვალუტამ „ჩაიდინა“, თამაშიც აღარ ჰქვია, თუმცა კი შეადარეს ლარი ონავარ თინეიჯერს და თავის მართლების ასეთი მეთოდი ოფიციოზის მხრიდან მსოფლიო მასშტაბით უპრეცედენტო გვგონია. რა თქმა უნდა, შოკუნიებიც გვახსოვს, ისიც, რომ თურმე ლარი ჯანსაღი ორგანიზმია და თავისუფალ ცურვაშია გაშვებული, მაგრამ...**

# ბატონებო, თქვენ მიერვე ლეგალიზებულ ბალახს ხომ არ მიეძალეთ?




**ნატოს გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში — ჯეიმს აპატურაიმ მკაფიოდ განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია ახალ წევრებს ვერ მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ პროცესი საერთო დაძაბულობას გამოიწვევს. საქართველოსა და ჩვენს ბედში მყოფი უკრაინის ნატოში მიღება, რასაც გამოიწვევს, კარგად მოგეხსენებათ და ამიტომ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ კარს, რომელზეც, აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია, ვაკაკუნებთ, არ გაგვიღებენ; გრძელვადიან პერსპექტივაში კი არა, საერთოდ არ გაგვიღებენ, რადგან საქართველოს გაწევრებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში დაძაბულობა ყოველთვის მოჰყვება**

როცა ლარმა ფინანსური ჯომოლუნგმის დაპყრობა გადაწყვიტა და ანტირეკორდი დაამყარა, ხელისუფლებამ არ შეიმჩნია, მაგრამ, როგორც კი 3.00-იან ნიშნულს მიუახლოვდა, მაშინვე შეწუხდა და სწორედ ამ „შეწუხებისას“ ძალზე უცნაური რამ მოხდა — მაღალჩინოსნების აბდაუბდა და არაფრისმომცემი კომენტარების შემდეგ ფინანსთა მინისტრმა **ივანე მაჭავარიანმა** განაცხადა: გაძლევთ პირობას და მყარ გარანტიას, რომ ლარი უახლოეს დღეებში გამყარდებაო. ჰოდა, მეორე დღიდან ლარმა გამყარება რომ დაიწყო, ორ დღეში ათი თეთრით უკან დაბრუნდა, ანუ მაჭავარიანმა ათიანში მორტყა...

ამ ხნის განმავლობაში, პრაქტიკულად, ყველა მინისტრი თუ მმართველი გუნდის ლიდერი ლარის გაუფასურებას რუსთაველზე მიმდინარე აქციას უკავშირებდა, რაც, მათი აზრით, პოტენციურ ინვესტორებში ცუდის მოლოდინს იწვევდა. მაშინ, როცა მაჭავარიანმა ზემოაღნიშნული განცხადება გააკეთა, არც აქცია იყო დაშლილი და, შესაბამისად, არც მოლოდინი გამქრალი, მაგრამ ლარი მაინც გამყარდა.

ჯერ აქციაზე ვთქვათ. **თუ იმ 20-30 ადამიანს, რომლებიც ყოველ საღამოს რუსთაველზე, პარლამენტის წინ ლუდს სვამენ და ვიღაცების ბოდვას უსმენენ (ამ ბოდვას ტელეგადაცემაც დაარქვეს), შეუძლია ინვესტორები დააფრთხოს და ლარის კურსი შეარყიოს, მაშინ სახელმწიფო არ გვქვია. ჰო, ბატონებო, არ ვართ მაშინ ჩვენ სახელმწიფო და არც ქვეყანა და საერთოდ არაფერი არ ვართ.** ასე შეიძლება სხვა დროსაც გამოვიდეს 20, 30 ან 100 ადამიანი და რაღაც გააპროტესტოს და, თუ ყოველ გამოსვლაზე ინვესტორი დაფრთხა და ლარი 10 თეთრით გაუფასურდა, დავღუპულვართ და ვერ გაგვიგია. საერთოდ, რომელიმე პოტენციურმა ინვესტორმა იცის, რომ პარლამენტის წინ რამდენიმე ადამიანი რაღაცას აპროტესტებს? რა ცუდი მოლოდინი და რა ცუდი განცდები, **თქვენ მართლა თქვენ მიერვე ლეგალიზებულ ბალახს ხომ არ მიეძალეთ?** რატომ გვატყუებთ? ხომ არ აჯობებს, პირდაპირ თქვათ, რომ მიზეზი სხვა რამ არის? თუ რეალური მიზეზის თქმაც აგიკრძალეს დასავლელმა „მეგობრებმა?“

ახლა მაჭავარიანს დავუბრუნდეთ. სერიოზული საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერ დროს, როცა კი ფინანსთა მინისტრს ამის სურვილი გაუჩნდება, შეუძლია ეროვნული ვალუტა გაამყაროს და პირიქით: როცა მოესურვება, გააუფასუროს. საინტერესო ის არის, **ვის და რის ნებაზეა დამოკიდებული მაჭავარიანის გადაწყვეტილებები. თუ ვინმეს სჯერა, რომ ეროვნულმა ბანკმა მაჭავარიანის განცხადებამდე დაგეგმა ბაზარზე 40 მილიონი დოლარის გამოტანა და გაყიდვა, ძალიან ცდება. ანუ, მაჭავარიანმა იცოდა, რომ ბანკი ამას გააკეთებდა, ისიც იცოდა, რომ დოლარის შეშვებას ბაზარზე კარგი ეფექტი ექნებოდა და ამიტომ ასე დაბეჯითებით დაგვიწყო მტკიცება იმისა, რაც შემდეგ ახდა.** 40 მილიონი დოლარის ბაზარზე გამოტანა-გაყიდვის საქმე ცალკე თემაა. ეროვნულმა ბანკმა კი დააანონსა, რომ 40 მილიონი დოლარი უნდა გავყიდოო, მაგრამ დღის ბოლოს გამოაცხადა, რომ მხოლოდ 32.8 მილიონი დოლარი გაყიდა. ისევ ვივარაუდებთ და ვიტყვით, რომ ეროვნულმა ბანკმა 40 მილიონი ვერ გაყიდა, ანუ კომერციულმა ბანკებმა ეს თანხა არ შეისყიდეს და ამისთვის ორი მიზეზი ჰქონდათ: პირველი ის, რომ კურსი ძალიან მაღალი იყო და თავი შეიკავეს; მეორე და უმთავრესი კი ის არის, რომ კომერციულ ბანკებს დოლარი რეალურად აღარ სჭირდებათ. მათ აქვთ საკუთარი რეზერვი, რომელიც, შევსებული კი არა, გადავსებულია და დოლარის საჭიროება მათთვის აღარ არსებობს. **რატომ? იმიტომ, რომ უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემა სახელმწიფო დონეზე აიკრძალა და რა უნდა უყოს კომერციულმა ბანკმა ჭარბ დოლლარს: საცავში შეინახოს? ვისთვის?! რისთვის?!**

როგორც ფინანსური სფეროს ექსპერტები ამბობენ, თუ სახელმწიფო მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეცვლის და მომხმარებელს უცხოურ ვალუტაში სესხების აღების ნებას ისევ არ დართავს, ლარის გაუფასურების შეჩერება წარმოუდგენელი იქნება. ინვესტორების არყოფნის პირობებში, ბანკიდან სესხად აღებული უცხოური ვალუტაც კი შეიძლება ინვესტიციად ჩაითვალოს. სხვაგვარად წარმოუდგენელია, დოლარი მიმოქცევაში იყოს და მისი დეფიციტიც, პრაქტიკულად, გარანტირებულია. ჰო, ის, რომ მაინცდამაინც ამერიკულ დოლარზე უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული და არა, მაგალითად, უფრო მყარ ევროზე ან გირვანქა სტერლინგზე, ეგ კიდევ ცალკე საკითხია.

ძნელად, მაგრამ ხელისუფლებამ მაინც აღიარა, რომ რუსი ტურისტების ჩანაცვლება ვერ მოხერხდება. უფრო კონკრეტულად კი, მაღალჩინოსნებმა თქვეს, რომ აღნიშნულ სეგმენტში რომელიმე ქვეყნის წარმომადგენლის ჩანაცვლება ვერ და არ ხდება. ტურისტულ სეგმენტს დაემატება სხვა ქვეყნებიდან მოზიდული ტურისტები, ჩანაცვლება კი გამორიცხულია. **ამ აღიარებით გაირკვა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მხოლოდ რუსი ტურისტების ხარჯზე საქართველო წლიურად, სულ ცოტა, მილიარდ დოლარს იზარალებს. ცალკე საკითხია რუსეთთან არეული ურთიერთობების გამო გაუქმებული საჰაერო მიმოსვლის შედეგად მიყენებული ზარალი და გრძელვადიან პერსპექტივაში, დაახლოებით მილიარდი ესეც არის. ორი მილიარდი დოლარი კი დღევანდელი კურსით საქართველოს ბიუჯეტის თითქმის ნახევარია და გამოდის, რომ ხელის ერთი მოსმით საქართველოს ბიუჯეტის ნახევარი დავკარგეთ.** ჰო, ისიც ვთქვათ, რომ ამის გამო არავინ დასჯილა... რიგითი ადამიანების გარდა, რომლებსაც ეს ორი მილიარდი უნდა მიეღოთ და უნდა ეარსებათ.

თუ ხელისუფლებამ იცოდა, რომ რუსი ტურისტების ჩანაცვლება გამორიცხული იყო, რისთვის წამოიწყო კამპანია ზაფხულის საქართველოში გატარებაზე ან რისთვის გამოყო ის 600 ათასი ევრო, რომელიც თურმე იმავე რუს ტურისტებს იმ ფასნამატს დაუფარავდა, რომელიც საქართველოში სხვა ქვეყნის გავლით ჩამოსვლის შემთხვევაში ექნებოდათ? ან ეს 600 ათასი ევრო მხოლოდ 7 ათასამდე ტურისტს რომ ეყოფა და საუბარი ნახევარ მილიონ ტურისტზე იყო, ეგ როგორ გავიგოთ და ვინ აგვისხნის? მე გეტყვით, ვინ აგვიხსნის: არავინ, ბატონებო! არავინ, რადგან ასეთ რამეებს არ გვიხსნიან ხოლმე და არ თვლიან თავს ვალდებულად, საერთოდ რამე აგვიხსნან. ასე იყო წინა ხელისუფლების დროს, ასეა ახლა და ეჭვი გვაქვს, მომავალშიც ასე იქნება.

ერთი რამ ნათელია — **თუ ხელისუფლება მოინდომებს, ეროვნულ ვალუტასაც დაასტაბილურებს და ჩრდილოელ მეზობელთანაც მოაგვარებს ურთიერთობებს.** სავარაუდოდ, ამის გაკეთების დიდი სურვილი აქვთ ხელისუფალთ, მაგრამ ამერიკა და ევროპა თითს უქნევს და უფლებას არ აძლევენ, რომ რუსეთთან დიალოგზე წავიდნენ. ეს იმ პირობებში, როცა **ნატოს გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში — ჯეიმს აპატურაიმ მკაფიოდ განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია ახალ წევრებს ვერ მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ პროცესი საერთო დაძაბულობას გამოიწვევს. საქართველოსა და ჩვენს ბედში მყოფი უკრაინის ნატოში მიღება რასაც გამოიწვევს, კარგად მოგეხსენებათ და ამიტომ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ კარს, რომელზეც, აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია, ვაკაკუნებთ, არ გაგვიღებენ.** გრძელვადიან პერსპექტივაში კი არა, საერთოდ არ გაგვიღებენ, რადგან საქართველოს გაწევრებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში დაძაბულობა ყოველთვის მოჰყვება.

ნამდვილად აღარ ვაპირებთ კიდევ ერთხელ იმის მოწოდებას, რომ რუსეთთან საუბარი აუცილებელია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კარგად ხვდებიან, რა მოაქვს ამ სიჯიუტეს და დასავლეთის მითითებების უსიტყვო შესრულებას, მაგრამ მათი გადმოსახედიდან გამოსავალი არ ჩანს. არადა, **გამოსავალი უმარტივესია — დიალოგის დაწყება ჯერ დაბალ დონეზე, შემდეგ მომზადება უმაღლესი პირების შეხვედრისთვის და რატომღაც გვგონია, რომ პირველივე შეხვედრის შემდეგ დამოკიდებულებაც რადიკალურად შეიცვლება და მიდგომებიც.** სწორედ ამის ეშინიათ დასავლელ პარტნიორებს, რომ ჩვენ საერთო ენის გამონახვას შევძლებთ და, თუ ურთიერთობების დათბობას ფინანსური სტაბილურობაც მოჰყვება, მაშინ დასავლეთისკენ სწრაფვას დიდი კითხვის ნიშანი უკვე ოფიციალურად დაესმება.

მანამდე კი ვუსმინოთ შინ მაჭავარიანს, გარეთ — აპატურაის და ექსპერტებს ის მილიარდები ვათვლევინოთ, რომლებსაც ჩვენივე უთავბოლობით ვკარგავთ.

**ბესო ბარბაქაძე**

ინტერვიუ გაგრძელებით
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ყველა ხალხის სახელით ლაპარაკობს, ყველა — მტყუანი თუ მართალი. ხალხს არაფერს ვეკითხებით, თუმცა მისი სახელით გამოსვლა უსინდისოდ მივისაკუთრეთ.**

# სარდალი, რომელმაც სიმართლე თქვა

## «იცით, ვინ დაიწყო აგვისტოს ომი?»



ვახუშტის ხიდის თავში სამათხოვროდ დატოვებული სააკაშვილის ბიბლიოთეკა...

დასასრული. დასაწყისი იხ. №28, 2019 წ.

**2008 წლის აგვისტოს ომმა ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დაგვიტოვა; თემებიც, რომელთა შესახებ ზოგი რამ გვსმენია — საოცარი და დაუჯერებელი. ვიცით და დარწმუნებულებიც ვართ, რომ ასე იყო, მაგრამ დღემდე არაფერი გვითქვამს, ვითომც არ არსებულა.**

**კონკრეტიკას მოითხოვთ? ინებეთ! ოღონდ სიტყვაზე არ მენდოთ და, თუ შესაძლებლობა გაქვთ, შეამოწმებინეთ ექსპერტებს, საქართველოს რკინიგზის თანამშრომლებს, 08.08 მოვლენების კვირაძალს საით და რა მიმართულებით მიდიოდა მძიმე სამხედრო ტექნიკით დატვირთული პლატფორმები, სად გაჩერდა და ჩამოიცალა.**

იქნებ, გყავთ ნაცნობ-მეგობრები ცხინვალში; ქართულ ან ქართულ-ოსურ შერეულ ოჯახებში თუ მიგესვლებათ, იმათაც ჰკითხეთ — **ომის დაწყების წინა ღამით ვინ იყვნენ ისინი, ვინც ქართველებს ჩამოუარა და გააფრთხილა, ხვალ ცხინვალს გაერიდეთ, დაბომბავენ, თავი გადაირჩინეთო.**

ცოტნე დადიანობა არავისთვის დაუკისრებიათ.

მაგრამ ქართველებმა ოსები გააფრთხილეს.

თქვენ სხვაგვარად მოიქცეოდით?! რა თქმა უნდა, არა!

მგელს მგლობა დააბრალეს და ავანტიურისტმა მჩხავანა ტურამ ქვეყანა ამოაგდოო! ეტყობა, მართლა ვართ შეგუების დიდოსტატები და, ვინ იცის, ყოფილი პრეზიდენტის მიერ თბილისის თავზე წამომართული ხელთუქმნელი თაჯმაჰალისკენ, ვითარცა სალოცავისკენ, გავკვალოთ (დაგვიშლიან?!) ხალხის სავალი გზა-ბილიკები? ან, უარეს ვარიანტში, — ვახუშტის ხიდის თავში სამათხოვროდ დატოვებული სააკაშვილის ბიბლიოთეკისკენ მაინც, რომელსაც მისი სტილიზებული ხელმოწერა ამშვენებს...

ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩეჩნეთიდან გამოდევნილი, ჩვენს ქვეყანაში ნამკურნალები და გამოჯანმრთელებული მეამბოხეების — გილაევის 600-კაციანი რაზმის მოულოდნელმა და ორგანიზებულმა გამოჩენამ ზუგდიდის რაიონში.

— რომლებსაც, როგორც მაშინ ამბობდნენ, სვანეთის გავლით რუსეთის საზღვარი უნდა გადაელახათ და შინ დაბრუნებულიყვნენ. ამ ფაქტს გულისხმობთ? — **მეკითხება ბატონი გიორგი შერვაშიძე.**

— **დიახ!**

— და აღმოჩნდა, რომ თურმე ჩეჩენ მებრძოლებს აფხაზეთი უნდა გაეთავისუფლებინათ, სოხუმი უნდა აეღოთ, სეპარატისტები განედევნათ და „შავი ზღვის რივიერა" ჩვენთვის დაებრუნებინათ. სასაცილო იყო ეს ყველაფერი... კახა თარგამაძე, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, ტუჩებს იკვნეტდა, ისეთ დღეში იყო, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეეძლო...

მაშინ კოდორის ხეობის დაკარგვას გადავრჩით, მიშას მიერ ზემო აფხაზეთად მონათლულ-გადარქმეული დალის ხეობის დაკარგვას...

— **საბოლოოდ მაინც დავკარგეთ...**

— ეს ცალკე თემაა, და სხვა დროისთვის გადავდოთ...

**შევთანხმდით.**

### „ბედი მომეც და სანეხვეზე დამსვიო", ანუ ხელფასებზე გაყიდული ჟურნალისტები

**ქვესათაურად გამოტანილი „ფილოსოფიური" ანდაზა ბედისწერაზეა თქმული, ცოტაც — იუმორისტული საკაზმით გახალისებული. თუ დღევანდელობას მივუსადაგებთ, მგონი, „რუსთავი-2"-ში შექმნილ ვითარებას მოერგება ზუსტად.**

— **იზიარებთ ასეთ დასკვნას? — ვეკითხები შერვაშიძეს.**

— **გია სალია,** ამ ტელეკომპანიის ახალი გენერალური დირექტორი, სხვათა შორის, კარგი კაცია, ძალიან კარგი კაცი.

**ქიბარ ხალვაშმა,** რომელიც „რუსთავი 2"-ის მფლობელია, პირდაპირ განუცხადა ჟურნალისტებს: თქვენ კი გინდათ, აქ არ მხედავდეთ, მაგრამ არსად წასვლას არ ვაპირებო.



გენერალ-ლეიტენანტი გიორგი შერვაშიძე

ვითარება რეალურად ისეთია, რომ მას (ხალვაშს) შეუძლია, უარი თქვას ამ ტელევიზიაზე და მიჰყიდოს სხვას. იმ ვიღაცას კი უფლება ექნება, ამ სამაუწყებლო არხის ტერიტორიაზე გახსნას რესტორანი. კანონიერი იქნება ეს და ვერავინ ხელს ვერ შეუშლის, მაგრამ იქაურ „ელიტას", ეტყობა, აქვს დასაკარგი — კარგი ხელფასები, თბილად არიან მოწყობილი. რასაც კადრულობენ, იმას როგორ იკადრებდნენ, ასე რომ არ იყოს.

ალბათ.

მათთვის არსებობს მარტო ფული, მწვანე ფერის ვალუტა. სხვა ყველაფერზე ხელი აქვთ აღებული.

— **ე.ი. ის შემთხვევაა, როცა, ფაქტობრივად, მტკიცდება ძველი ჭეშმარიტება: ჟურნალისტიკა მეორე უძველესი პროფესიაა, პროსტიტუციის შემდეგ?**

(რესპონდენტს ეღიმება. კორესპონდენტი (მე) მუნდირის ღირსების დაცვას ვცდილობ) ატავისტურ შემთხვევად ჩავთვალოთ მაღალი ხელფასებით გარყვნილი ჟურნალისტიკა.

მაგრამ მე ვითომ განვსხვავდები?!

ელიოზივით ამაოდ ვურევ ხელს მღვრიე წყლის გუბურაში, პოლიტიკურ ტალახში ვისვრები და ვერც ოქროს თევზი დამიჭერია, ვერც ნატვრის თვალისთვის მიმიგნია (ფიქრშიც კი) და გაბედულად ვეკითხები გენერალს:

— **თუ დამოუკიდებლობის მოპოვება ფულის გაფეტიშებას ნიშნავს, გვინდა ამგვარი სუვერენიტეტი?**

### საქართველოში ქართული ინტერესი აღარ არსებობს

— ძირითადი ფულის გაფეტიშება არ არის. ფუფუნებაა აღზევებული. რაც ხდება, ჩვენი ბრალია. არცთუ დიდი ხნის წინათ ტელევიზიით გამოვიდა პარლამენტარი ადა მარშანია.

— **აფხაზი ქალი.**

— კი, კი. აღშფოთებული იყო. იმ დღეს კანონი უნდა განგვეხილა (დამავიწყდა, რომელი კანონი დაასახელა) და დოკუმენტი ინგლისურ ენაზე დაწერილი დაგვირიგესო. ათი წუთი იმაზე ილაპარაკა, რომ არა და არ შეიძლება კანონპროექტის ორიგინალი საქართველოს პარლამენტში ინგლისურად დგებოდესო. რაც თქვა, სწორად თქვა. გამახსენდა 1978 წელი, როცა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დასაცავად სტუდენტი ახალგაზრდობა მაინც და მაინც ხელისუფლებამ დარაზმა და ქუჩაში გამოიყვანა.

კომუნისტების დრო იყო.

და მივაღწიეთ კიდეც ჩვენსას: დაგვიბრუნეს ქართული, როგორც სახელმწიფო ენა. ხომ გახსოვთ?

— **ყველანი იქ ვიყავით, დამიწერია კიდეც ამაზე. ნოდარი და ჯანსული, დუმბაძე და ჩარკვიანი, აქტიურობდნენ, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქართველი მწერლები; კულტურისა და ხელოვნების ხანდაზმული მოღვაწეები შედგნენ ტრიბუნებზე, შეძრწუნდა პროფესურა... მაპატიეთ, ეს მემუარული წიაღსვლა, გეთაყვა.**

— ახლა, როცა დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, ახლა ვკარგავთ მშობლიურ ქართულს?! ქაღალდზე ვართ დამოუკიდებლები. უფრო მეტიც: ყველა ქვეყნის ინტერესი გათვალისწინებულია საქართველოში, ქართული ინტერესის გარდა!

სადაც კი მეძლევა საშუალება, ყველგან და ყოველთვის ვამბობ და ახლაც გულახდილად ვეტყვი თქვენს მკითხველ საზოგადოებას: თურქეთის ინტერესი საქართველოში ხორციელდება, აზერბაიჯანის ინტერესებს ვიცავთ, სომხეთის ინტერესებს ერევანი ატარებს, რუსეთი — მეტნაკლებად. ჩინეთი რომ ჩინეთია, მეზობელს ვერ ეტყვი, მაგრამ მისი ინტერესების განხორციელებას წინ არაფერი ეღობება. ქართული ინტერესი საქართველოში პრაქტიკულად აღარ არსებობს. სამაგიეროდ ყველა დაინტერესებულია ქართული ტერიტორიით.

— **ქართული ინტერესი არ არსებობს, მაგრამ, ნახეთ, როგორ იბრძვიან პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად! უფრო მეტიც, იმათი ინტერესების განსახორციელებლად, ვისაც ჩვენთვის მზე დასავლეთიდან ამოჰყავს.**

### ერთი ღერი თმა მაინც უნდა ჰქონდეს ქაღარა

— რამდენი ხელისუფალიც მოვიდა, ყველას წამოსცდა: ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი ადამიანი, ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი საზოგადოება, ახალი აზროვნება. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ განვვითარდით „ცივილიზებული ლიბერალიზმის" დონემდე და ა.შ. თან ყველა ხალხის სახელით ლაპარაკობს, ყველა — მტყუანი თუ მართალი. ხალხს არაფერს ვეკითხებით, თუმცა მისი სახელით გამოსვლა უსინდისოდ მივისაკუთრეთ.

— **ერთი რუსი ინტელიგენტი, კერძოდ, მსახიობი მიხეილ ეფრემოვი წერს:** ▶



გორი. 2008 წლის აგვისტო

**„სადაც კი მეძლევა საშუალება, ყველგან ყოველთვის ვამბობ და ახლაც გულახდილად ვეტყვი თქვენს მკითხველ საზოგადოებას: თურქეთის ინტერესი საქართველოში ხორციელდება, აზერბაიჯანის ინტერესებს ვიცავთ, სომხეთის ინტერესებს ერევანი ატარებს, რუსეთი — მეტ-ნაკლებად. ჩინეთი რომ ჩინეთია, მეზობელს ვერ ეტყვი, მაგრამ მისი ინტერესების განხორციელებას წინ არაფერი ეღობება. ქართული ინტერესი საქართველოში პრაქტიკულად აღარ არსებობს. სამაგიეროდ ყველა დაინტერესულია ქართული ტერიტორიით“.**

## მკითხველი და გაზეთი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ასე, თავიანთ ქეიფზე თუ გააგრძელებენ, ვინ იცის, შესრულდება კიდეც ის გეგმა, რომელიც საქართველოს გადაგვარებისთვის არის ამოქმედებული

**Не люблю окурков**
**и огарков,**
**Собой изображающих**
**народ.**

**(არ მიყვარსო პაპიროსის ნამწვავები და სანთლის ნამწვი, ხალხად რომ წარმოგვისახავენ თავს).**

გადამწვარი ნათურა აღდგენას არ ექვემდებარება!

— შექმნა უფალმა ადამიანი და მორჩა, გათავდა! შენ ვისი შემქმნელი ხარ?!

ჩვენ კი არ ვივიწყებთ ჩვენს ადათ-წესებს. გვაიძულებენ, დავივიწყოთ საუკუნოვანი ტრადიციები.

ჯერჯერობით გამოსდით.

პარლამენტის წინ ჯგუფი დღემდე რომ იკრიბება (გადავეკიდე ამ ჯგუფს!), იმ დონეზე გამოგვდის. პროტესტანტები შეიძლება ცოტა მეტნიც არიან, მაგრამ დანარჩენები ჯერჯერობით ვერ ბედავენ გამოსვლას. ასე, თავიანთ ქეიფზე თუ გააგრძელებენ, მოემატებათ რაოდენობა. გაისად მეტნი იქნებიან და, ვინ იცის, შესრულდება კიდეც ის გეგმა, რომელიც საქართველოს გადაგვარებისთვის არის ამოქმედებული, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ასეთ გადაგვარებას აღსრულება არ უწერია.

**ახალი ადამიანები პარლამენტშიც, ორიოდ გამონაკლისის გარდა, ვერ მოსულან, თუმცა გვპირდებოდნენ. ყოველ ოთხ წელიწადში (პარლამენტის არჩევის პერიოდულობას ვგულისხმობ) კანდიდატების შერჩევა „ახალი ცოცხის“ პრინციპით უნდა მიმდინარეობდეს, რომელიც კარგად გვის. მაგრამ, ცოცხები როგორ და რაში გამოიყენა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, კი ვნახეთ... კარგად ვერ გვიან, ვერ თავისუფლდებიან კოაბიტაციის ნარჩენებისგან, ალბათ, არ ჰყოფნით გამბედაობა და გამოცდილება.**

სიახლე ყოველთვის უნდა იყოს, მაგრამ არა ისეთი საეჭვო, როგორიც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ხანგრძლივმა კამათმა მოგვიტანა. მე თუ მკითხავთ, უსაგნო კამათმა, რომელსაც სერიოზული სახეებით წარმართავდნენ, ვგულისხმობ პროპორციული თუ მაჟორიტარული პრინციპით არჩევნების გამართვის ცხარე პოლემიკას, პოლიტიკურ პაექრობად გვასაღებდნენ და ხალხის გასაგონად დემოკრატიის დასამკვიდრებელ ბრძოლად წარმოგვიდგენდნენ. დაგვარწმუნეს, რომ ამჯერად პროპორციული წესით პარლამენტის არჩევნების გამართვა არის ერთადერთი სწორი გზა და საშუალება. „პროპორციული არჩევნები“ გაიმართება გაისად, შეიძლება — 2024-შიც, მაგრამ შემდეგ იტყვიან, რომ პროპორციულმა არ გაამართლაო. ატყდება დავა, კამათი, პაექრობა და მომდევნო არჩევნები კვლავ შერეული სისტემით შეიძლება ჩავატაროთ...

პრინციპი მეორადი მნიშვნელობისაა, მთავარია, მოღვაწე პიროვნება იყოს არჩეული.

**ახალი სისხლი კარგია, მაგრამ სისხლს გააჩნია... პარლამენტი ისეთი ორგანოა, რომელშიც გამოცდილი ხალხი უნდა იყოს არჩეული.**

**ერთი ღერი თმა მაინც უნდა ჰქონდეს ჭაღარა.**

## „კოლოს მწურავები“

— პირდაპირ გეტყვით: ექსპერტების აზრით და ჩემი დაკვირვებითაც, რაც დრო გადის, პრობლემები, კი არ გვაკლდება, გვემატება. დღეს გუშინდელზე მეტი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი, ხვალ და ზეგ — დღევანდელზე გაცილებით მეტი.

დღეს კარგი, ეროვნული, ძლიერი, მოაზროვნე ხელისუფლება რომ ავირჩიოთ, მას გაცილებით მეტი მოცულობის სამუშაო ექნება შესასრულებელი, 2003 წლის დონეს, თუნდაც, 1996 წლის დონეს რომ მიუახლოვდეს ჩვენი ქვეყანა.

შევარდნაძის გადადგომის დრო რომ იყოს, კომუნისტების და სახალხო ხელისუფლების მოსვლის ჟამი რომ იდგეს, გაცილებით იოლი იქნებოდა ამ კარგის გაკეთება, ვიდრე დღეს არსებული ძალებით შეგვიძლია შექმნილ ვითარებაში.

ასეთ მაგალითს მოვიშველიებ: ძველი რევოლუციონერები, პირველი თაობის კომუნისტები (ბოლშევიკები), ხელისუფლებაში ყოფნისას მართლმადიდებლურ ჩვენს რწმენას ფიზიკურად ებრძოდნენ — ანგრევდნენ ეკლესიებს, ღვთისმსახურთა წინააღმდეგ განახორციელებდნენ რეპრესიებს. დღეს ვაშენებთ ეკლესიებს — ბევრი კარგი ტაძარი ავაგეთ, მრევლის რაოდენობა გაიზარდა და ა.შ. მაგრამ ის უცხო ძალა, რომელიც, ფაქტობრივად, მართავს ქვეყანას, სხვა მეთოდით მუშაობს — სულიერად აკნინებს ეკლესიას, რაც ნგრევასა და რეპრესიებზე გაცილებით უარესია.

რეპრესიების დროს რწმენა ძლიერდებოდა, სულიერად მტკიცე ხდებოდა ადამიანი, იბრძოდა, ეწირებოდა!

— **პირველი ქრისტიანების მაგალითი!**

— თუნდაც. და სხვა ისტორიული ფაქტებიც, უამრავზე უამრავი.

**— ვლადიმერ ვისოცკის ლექსის ნაწყვეტები სტროფი მახსენდება ამ წუთს — ეკლესია ღატაკებისა და მასხარების მხარეში, დათრგუნული და დაკნინებულია მედროვეთა მიერ:**

**В церкви — смрад**
**и полумрак,**
**Дьяки курят ладан...**
**Нет, и в церкви**
**все не так,**
**Все не так, как надо.**

**Вдоль дороги всё не так,**
**А в конце — подавно!**

**И ни церковь,**
**и ни кабак,**
**Ничего не свято!**
**Нет, ребята, всё не так!**
**Всё не так, ребята...**

**ამ დონემდე ცდილობდნენ მართლმადიდებლობის დაკნინებას ნაცები.**

**მე ვლაპარაკობ იმ რეალობაზე, რომელიც ნაციონალების დროს იყო დამკვიდრებული. მათ იმდენი შეძლეს, რომ ეკლესიის წმინდათაწმინდაშიც კი შეაღწიეს: ნაცების დიდმოხელეები სინოდის სხდომებსაც კი თვითნებურად ესწრებოდნენ.**

**უგულავა და სხვები...**

— დიახ. როცა სურდათ, მაშინ მივიდოდნენ, ორიოდ სადირექტივო სიტყვას დააგდებდნენ და დატოვებდნენ სინოდის სხდომას. ეკლესია, ღვთის სახლი, თავიანთ სამოღვაწეო არეალში ჰყავდათ მოქცეული, როგორც, მაგალითად, პროკურატურა და სასამართლო, საბაჟო და განათლების სისტემა. „მოსეს ტახტზე დასხდნენ... ფარისეველნი“ (მათ. 23,1).

ბრმა წინამძღოლები, კოლოს მწურავები და აქლემების მშთანთქავები (მათ. 23. 24).

— **ამჟამად რასა იქმთ, ბატონო გიორგი? (გაგახსენებთ, რომ მკითხველებს დავპირდით, — პუბლიკაციის ბოლოს ვეტყოდით, ამჟამად რით არის დაკავებული ბატონი გიორგი შერვაშიძე).**

— დიდს არაფერს. პატარ-პატარა შეხვედრების დროს მეგობრებთან, თანამოაზრეებთან, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებთან საუბრისას ვცდილობ, არ დავავიწყო მათ, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენია. დრო გადის და ჩვენმა თაობამ თუ ვერ შეძლო მოგვარება იმ მინიმუმის მაინც, რომელიც ამ კუთხეების დასაბრუნებლად არის გასაკეთებელი, მომავალ თაობას აღარ შეეძლება, აღარც ეხსომება, მით უმეტეს, იმ პირობებში, რომელთა ერთობლიობას გლობალიზაციას ვუწოდებთ. მაგრამ გლობალიზაციას უფალი არ დაუშვებს, გამორიცხულია! თუმცა ბევრს სჯერა, რომ შესაძლებელია.

**დავთქვით, რომ მომავალ შეხვედრაზე ვისაუბრებთ თვითგამოცხადებულ სახელმწიფოებში დღეს არსებულ ვითარებაზე: მოუტანა კი რამ სიკეთე სუვერენიტეტის გამოცხადებამ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, ეშველათ რამე?**

**და ამ დროს სრულიად მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ ხდება — ბატონი გიორგი შერვაშიძე მეუბნება:**

— ამასთან დაკავშირებით ყველას გასაგონად ვაცხადებ: დიახ, ეშველათ! მათ თავს არ ახვევენ ლგბტ ქლესურ პროპაგანდას! ეს ერთი.

მეორე: მათთან ისე დაუფარავად და გამიზნულად არ ებრძვიან მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ჩვენთან!

დანარჩენში, ვერ გეტყვით, რომ ეშველათ. პირიქით, ძალიან დიდი პრობლემები აქვთ, განსაკუთრებით, აფხაზებს.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. დიდებულ საფრანგეთში, რევოლუციების სამშობლოში, ამბოხს მძიმე ხელი და ზუსტი ალღო აქვს: „მაგრად და ზუსტად ურტყამს მიზანს!“**

**ასეთი ისტორიული გამოცდილებით მდიდარ ფრანგულ მწერლობას უფლება აქვს, დაგვმოძღვროს: „დგება საათი, როცა შეპასუხება საკმარისი არ არის; ფილოსოფიას უნდა მოჰყვეს მოქმედება; ცოცხალი ძალა ამთავრებს იმას, რაც იდეამ დასახა. მიჯაჭვული პრომეთე იწყებს, არისტოგიტონი (ტირანის მკვლელი) ამთავრებს... ესქილეს (ერთ-ერთი უდიდესი ძველბერძენ დრამატურგთა შორის) შემდეგ — ფრაზიბული (მილეთელი ტირანი), დიდროს (დიდი ფრანგი მწერალი-განმანათლებელი) შემდეგ — დანტონი (საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქის პოლიტიკური მოღვაწე).**

**ხალხი ხელმძღვანელის პოვნას ესწრაფვის...**

**ჭეშმარიტების ლოგიკა სწორხაზოვანია: დაადგინოს სოციალური სამართლიანობა, დაუბრუნოს თავისუფლებას მისეული ტახტი, დაუბრუნოს ხალხი ხალხს, დაუბრუნოს ადამიანს უმაღლესი ძალაუფლება... აღადგინოს გონიერება და სამართლიანობა სრული მოცულობით, ჩაკლას მტრობის ნებისმიერი ჩანასახი, თითოეული საკუთარ თავს დაუბრუნოს“, — წერს ვიქტორ ჰიუგო თავისი „განკიცხულნის“ მეცამეტე წიგნის პირველ თავში (გვ. 264-265). ჩვენც ეს გვინდა.**

**ა.ს.**

# «საქართველო და მსოფლიოს» ვულოცავთ მე-500 ნომერს!

**წელს, თებერვალში, „საქართველო და მსოფლიო“ 10 წლის გახდა. და აი, 7 აგვისტოს მისი მე-500 ნომერი გამოვიდა; ამ ფაქტს ქუთაისელი მკითხველები მადლიერებით ვეხმიანებით.**

„საქართველო და მსოფლიო“ თავისი მრავალმხრივი ორიგინალურობით, ღრმა ინტელექტუალურ-ანალიტიკური აზროვნებით, თანამედროვე ცხოვრების ობიექტური ანალიზით, მკვეთრად გამოხატული სამართლით ქართულ მასმედიაში რადიკალურად გამორჩეულია. გენერალური ხაზიდან, რომელიც გაზეთმა პირველივე ნომრებში წარმოაჩინა, არასოდეს გადაუხვევია. გაზეთის ობიექტურობა და სიმართლე სააკაშვილის ნაცების ბოლმას იწვევდა და გასაკვირი არ არის, რედაქციის ორჯერ დარბევა, მაგრამ გაზეთის რედაქციისა და მისი თავკაცის — **ირაკლი თოდუას** (მარადიული ხსოვნა მის სახელს!) შემართება არასოდეს შესუსტებულა და დღესაც გრძელდება. გზააბნეული ქართველებისგან ზოგჯერ მოისმენთ: „საქართველო და მსოფლიო“ რუსეთუმე და კრემლის აგენტიაო; ცდებიან, საცოდავები, რადგან გაზეთი, კრემლის კი არა, საქართველოს გეოგრაფიული სივრცის აგენტია. ეს სივრცე გაზეთისთვის, ევროპაში კი არა, როგორც **დავით ბაქრაძის** ვაიევროპელ ღამურებს ჰგონიათ, არამედ სამხრეთ კავკასიაში, აზიაში მდებარეობს, როგორც ფიზიკურად, ისე ცნობიერებით. გეოპოლიტიკურად დაბრმავებულ ვაიევროპელებს, ყველა გზააბნეულს შევახსენებთ: ცივილიზაციის აკვანი ევროპაზე დიდი ხნით ადრე აზიაში დაირწა; ქრისტეს დაბადებამდე 1750-იან წლებში ბაბილონის მეფის — **ჰამურაბის** საოცარი შინაარსის კანონები დაიწერა. რას უწუნებთ აზიას?

„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტური კოლექტივი საქართველოს ობიექტურად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კანონზომიერების ძახილს გამოხატავს — ამაშია მისი ძლიერება და ორიგინალურობა.

ჩვენ, „საქართველო და მსოფლიოს“ ერთგული მკითხველები, საქვეყნოდ ვაცხადებთ: „ვართ ქართველები, სამხრეთ კავკასიელები და, მაშასადამე, ვართ აზიელები: აქსიომური ჭეშმარიტებაა ეს. თქვენ, ოპონენტებო, ვერ მოიტანთ ისეთ წყაროს, ცნობარს თუ დოკუმენტს, რომელიც საქართველოს ევროპულ ქვეყნად თვლიან. დააღწიეთ თავი ამ გეოპოლიტიკურ სიბრმავეს, რომლის გამოც დღემდე ვერ გაგიგიათ, რომელი კონტინენტის რომელ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელი ქვეყნების სამეზობლო გარემოცვაში ცხოვრობს ჩვენი ბედკრული საქართველო. უნდა ვიცოდეთ ტრაგედიათა სერიალები, ტერიტორიების დაკარგვა — ყველა უბედურება ჩვენი გეოპოლიტიკური სიბრმავის, ანუ აშშ-ევროპისკენ დაუოკებელი ლტოლვის უშუალო შედეგია. გეოპოლიტიკური სიბრმავის სენით კი დასავლეთმა მიზანმიმართულად დაგვასნეულა.

მოგიწოდებთ, რეგულარულად იკითხეთ „საქართველო და მსოფლიოს“ დიდებული პუბლიკაციები და თქვენ, გზააბნეულებო, გეოპოლიტიკური სიბრმავის სენისაგან აუცილებლად განთავისუფლდებით!

**„საქართველო და მსოფლიოს“ ქუთაისელ მკითხველთა სახელით**

**მარინე ქაცარავა,**
**ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი;**

**მზია მაჩიტიძე,**
**საქონელმცოდნე;**

**ფრიდონ ასათიანი,**
**ანალიტიკოს-პოლიტოლოგი;**

**ზურაბ კაჭკაჭიშვილი,**
**ინჟინერ-ტექნოლოგი;**

**სურენ მარტიროსიანი,**
**პედაგოგი, ქართველოლოგი;**

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი**



ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უნდა ადგეს ჩვენი საზოგადოება, დიდი თუ პატარა, მივიდეს საელჩოებთან, პირველ რიგში, ცხადია, ამერიკის საელჩოსთან და მოსთხოვოს მათ, ან წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ან ერთხელ და სამუდამოდ თავი დაანებონ ჩვენს საშინაო საქმეებში ხელების ფათურს. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, აქტიურად უნდა ჩაერთოს ეკლესიაც და სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას.**



# მამა გიორგი (რაზმაძე): ისინი აუცილებლად მოაწყობენ კიდევ არაერთ ძალადობას და, თუ დასჭირდებათ, მსხვერპლსაც არ მოერიდებიან

**საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებსა და ამ შედეგების მიხედვით შეჯამებულ სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ევროკავშირზე და მასთან ინტეგრაციაზე დადებითი აზრისაა. კვლევა, რომელიც პროექტის „ევროკავშირის აღმოსავლეთი სამეზობლო“ ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება და საზოგადოების განწყობებს სწავლობს, ირწმუნება, რომ ქვეყანაში პროდასავლური კურსისადმი მხარდაჭერა დღითიდღე იზრდება, რაც თურმე, ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ მიმდინარე პროცესებზე მოსახლეობის ინფორმირება სწორად ხორციელდება და, მეორე მხრივ, იმით, რომ მოქალაქეების უდიდესი ნაწილი გრძნობს „ცივილიზებულ სამყაროსთან დაახლოების სიკეთეებს“.**

## «ეს უკვე არის ის მდგომარეობა, როცა დუმილი ღალატის ტოლფასია»

მარტივად რომ ვთქვათ, კვლევა, ფაქტობრივად, გვეუბნება, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის (საუბარია 71%-ზე) სრულიად მისაღებია ბოლო პერიოდში ევროკავშირის ხელშეწყობითა თუ უშუალო მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა ცვლილება, მათ შორის, „ადამიანის უფლებების გაზრდის“ კუთხით განხორციელებული ცვლილებებიც, რომლებიც, სხვა მრავალთან ერთად, ე.წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების წამოწევას, მათთვის გარკვეული საკანონმდებლო პრივილეგიების მინიჭებასა და ამ ყველაფრის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფას გულისხმობს. რაც შეეხება მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ქვეყნის ევროატლანტიკურ პერსპექტივას უნდობლად უყურებს, კვლევის თანახმად, მსგავსი განწყობები მოსახლეობის მხოლოდ 4%-შია და ისიც იმიტომ, რომ, თურმე, ამ სეგმენტზე ანტიდასავლური პროპაგანდა ახდენს ზეგავლენას, თუმცა კვლევაში განმარტებული არ არის, კონკრეტულად რომელი ძალები აღვივებენ საზოგადოებაში ევროსკეპტიციზმს ან რა ბერკეტები აქვთ მათ მოსახლეობაზე ზემოქმედებისთვის, როცა სრულ ინფორმაციულ თუ პროპაგანდისტულ უპირატესობას ქვეყანაში სწორედ დასავლური „ლიბერალური“ ძალები ფლობენ.

**შეესაბამება თუ არა რეალობას ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები და სინამდვილეში მოსახლეობის რა ნაწილი შეიძლება უჭერდეს დღეს მხარს ევროკავშირთან დაახლოებას, რაც საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელ ცვლილებებს გულისხმობს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, ევროკავშირის მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა კმაყოფილია ევროკავშირთან ქვეყნის დაახლოებით. საუბარია იმაზეც, რომ, თურმე, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მისაღებია აღნიშნული ინტეგრაციის კვალდაკვალ განხორციელებული რიგი საკანონმდებლო ცვლილებებიც. მაგალითად, „ანტიდისკრიმინაციული კანონი“, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ და ა.შ. როგორ ფიქრობთ, შეესაბამება ეს ყველაფერი რეალობას?**

— მე არც სოციოლოგი ვარ და არც სტატისტიკის სპეციალისტი, ამ თემაზე კვალიფიციური შეფასებები რომ გავაკეთო, მაგრამ ერთი რამ ვიცი: ნებისმიერი სახის კვლევა თუ გამოკითხვა შეიძლება ისე ჩატარდეს, რომ, ერთი მხრივ, ის არ იყოს გაყალბებული და, მეორე მხრივ, მიიღო შენთვის სასურველი შედეგი. ამ შემთხვევაში გააჩნია, საზოგადოების რა ნაწილში ჩატარდა გამოკითხვა და როგორი იყო თვით შეკითხვის ფორმულირება. ნებისმიერ შემთხვევაში, **დარწმუნებული ვარ, 71% არის გაბერილი მონაცემი და ამხელა მხარდაჭერა დღეს ევროკავშირისკენ სწრაფვის პოლიტიკას არ აქვს.** ეს შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა და ვერც ექნება ამ კურსს ამხელა მხარდაჭერა, ამიტომ პროდასავლურობა დღეს დიდწილად გაიგივებულია „ნეოლიბერალურ“ დღის წესრიგთან, რაც, წლებია, ჩვენს საზოგადოებაში ერთგვარი შფოთისა და დაპირისპირების შემომტანია. რაც შეეხება იმას, რომ პროპაგანდა მუშაობს და საზოგადოება შეიძლება შეცდომაში შეიყვანეს, წლების წინათ, როცა ევროკავშირისკენ სწრაფვა ახალი ხილი იყო და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს რეალურად არ ჰქონდა გათვითცნობიერებული, რა ცვლილებებს მოითხოვდა ჩვენგან ეს კურსი, ბევრი, ალბათ, მართლა მოექცეოდა პროპაგანდისტული ზემოქმედების ქვეშ და გულუბრყვილოდ დაიჯერებდა, რომ ეს არის ჩვენი ისტორიული არჩევანი, მაგრამ დღევანდელ ვითარებში ხომ დაფარული არაფერია. **ის ცვლილებები, რომლებიც ბოლო წლებში განხორციელდა კანონმდებლობაში, ის ე.წ. რეფორმები, რომლებმაც, პირველ რიგში, განათლების სისტემა დაანგრია და ახალგაზრდების ცნობიერება მოწამლა ათასგვარი სიბინძურით, საღად მოაზროვნე ადამიანებისთვის ხომ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება მისაღები?!** სხვათა შორის, წელს, მაისის ბოლოს, თბილისში, ევროკავშირის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში გაიმართა მეთორმეტე ყოველწლიური დიალოგი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ესწრებოდნენ უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები. **შეხვედრაზე ჩვენმა ევროპელმა „კეთილისმსურველებმა“ დაუფარავად მოუწოდეს ხელისუფლებას და ეს „მოწოდება“, ცხადია, რჩევა არ იყო, ეს იყო მკაცრი მითითება, რომ, რადაც უნდა დაუჯდეთ, უზრუნველყონ „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ უფრო ეფექტიანად განხორციელება; ეს ნიშნავს იმას, რომ, ვთქვათ, მე და თქვენ, მამათმავლობის პროპაგანდას რომ ვეწინააღმდეგებით თუნდაც მშვიდობიანი პროტესტით, ამისთვის ჯარიმა კი არ უნდა იყოს, არამედ — ციხე. გეიაღლუმის ჩატარება რომ უნდათ ვილაცებს და გასაპროტესტებლად ხალხი ქუჩაში გამოდის, ის ხალხი მერე სახლში კი არ უნდა ბრუნდებოდეს, უნდა მიდიოდეს საპყრობილეში. აი, რას ახვევს თავს დღევანდელი ევროკავშირი ჩვენს ქვეყანას და იმ პირობებში, როცა ამას ყველა ხედავს, როცა ეს „ლიბერალური“ დღის წესრიგი თვით ევროპაში გაკოტრებულია, აქ რანაირად შეიძლება, 71%-ისთვის იყოს მისაღები?!** ცხადია, ამას რეალობასთან საერთო არაფერი აქვს...

**— და, თუ რეალობასთან საერთო არაფერი აქვს, რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ეს გაბერილი ციფრები?**

— იდეოლოგიურ კრიზისში მყოფი „დემოკრატიული დასავლეთი“ ცდილობს, შექმნას ილუზია, რომ ადამიანებს მოსწონთ დღევანდელი ევროკავშირი, თუმცა, როცა ადამიანს რაღაც მოსწონს, ბუნებრივია, მის წინააღმდეგ არ მიდის... რაც შეეხება კონკრეტულ ციფრს, 71 პროცენტს, რომელიც ევროკავშირის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოაქვეყნა, **მინდა, ვკითხო ამ კვლევის ავტორებს: როდესაც თქვენი ბრძანებითა და დავალებით პარლამენტმა „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ მიიღო, სრულიად საქართველო ფეხზე დადგა, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ განხილვა რომ დაიწყეთ, კიდევ უფრო მწვავე პროტესტი იყო, სად არის ის თქვენი 71%?! რაღაცაში ხომ უნდა ჩანდეს ამ ხალხის არსებობა: ან არჩევნების შედეგებში, ან რამე კონტრაქციაში?! ქუჩა-ქუჩა რომ დაიპარებიან ერთი მუჭა მამათმავლები და მალულად ატარებენ პრაიდებს, თუ ამდენი არიან მათი მხარდამჭერი პროდასავლურად განწყობილი „ცივილიზებული“ ადამიანები, გამოვიდნენ და დაანახვონ ყველას თავიანთი სიმრავლე.**

> **«მინდა, ვკითხო ამ კვლევის ავტორებს: როდესაც თქვენი ბრძანებითა და დავალებით პარლამენტმა «ანტიდისკრიმინაციული კანონი» მიიღო, სრულიად საქართველო ფეხზე დადგა. «ბავშვის უფლებათა კოდექსის» განხილვა რომ დაიწყეთ, კიდევ უფრო მწვავე პროტესტი იყო, სად არის ის თქვენი 71%?! რაღაცაში ხომ უნდა ჩანდეს ამ ხალხის არსებობა: ან არჩევნების შედეგებში, ან რამე კონტრაქციაში?! ქუჩა-ქუჩა რომ დაიპარებიან ერთი მუჭა მამათმავლები და მალულად ატარებენ პრაიდებს, თუ ამდენი არიან მათი მხარდამჭერი პროდასავლურად განწყობილი «ცივილიზებული» ადამიანები, გამოვიდნენ და დაანახვონ ყველას თავიანთი სიმრავლე»**

ისინი უმრავლესობაში რომ იყვნენ, ციფრებით თამაშს კი არ დაიწყებდნენ და რაღაც ილუზიას კი არ შექმნიდნენ თავიანთ სიმრავლეზე, პირდაპირ დაიწყებოდა რეპრესიები. უმცირესობაში არიან და რამდენს ბედავენ, მაგრამ 70 პროცენტი რომ იყვნენ, „ანტილიბერალურად“ განწყობილი ადამიანები კი — 4 პროცენტი, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა...

**— სტრატეგია, რომ რაღაც კვლევებით საზოგადოებას გარკვეული ილუზიები შეუქმნან თუნდაც ევროკავშირსა და პროდასავლურ პოლიტიკაზე, მუშაობს რეალურად?**

— ჩემი აზრით, რაც მეტად ინტენსიურ ხასიათს მიიღებს მსგავსი იაფფასიანი ტყუილები, მით უფრო გაიზრდება ფართო საზოგადოების პროტესტი „ლიბერალური“ დიქტატურისადმი და ეს ამ თვალსაზრისით კარგია. მაგრამ იმ პირობებში, როცა უკვე მიდის საუბრები იმის თაობაზე, რომ მომავალ პარლამენტში შეიძლება ძალაუფლების სადავეებთან ვიხილოთ ისეთი ოდიოზური ფიგურები, როგორიცაა, მაგალითად, **გიგა ბოკერია,** ცხადია, მთელი ყურადღება არ უნდა იქნას ამ რაღაც უაზრო კვლევებზე გადატანილი. საერთოდ, როგორც ჩანს, 2020 წელი პოლიტიკურად იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი საქართველოსთვის, იმიტომ, რომ კულმინაცია, მთელი იმ პოლიტიკური გეგმისა, რომლის შესრულების პირობითაც მოიყვანეს თავის დროზე **ბიძინა ივანიშვილი,** ახლოვდება. **არ არის გამორიცხული, ხელისუფლების რომელიმე შტო თითქმის მთლიანად გადააბარონ „ნაციონალური მოძრაობის“ განაყოფ სუბიექტებს** ან შეიძლება ისეთი გადაადგილებები მოხდეს მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში, რომ ვერც კი მივხვდეთ, ისე მივიღოთ, ფაქტობრივად, ხელახალი „ნაციონალური დიქტატურა“.

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ წინა რეჟიმის ოდიოზური ფიგურები ხელახლა არ ვიხილოთ ქვეყნის სათავეში?**

— პირველ რიგში, ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს ერთი რამ, რომ ყველაფერი, რაც დღეს ხდება, მათ შორის გახარიას საწინააღმდეგო აქციები, „რუსთავი 2“-ის გარშემო ატეხილი ხმაური, თბილისი პრაიდის სკანდალი თუ „ნარკობარიგების“ გაწევ-გამოწევა, არის სამზადისი 2020 წლისთვის. ისინი ამზადებენ კულმინაციას და ამას ჩვენ ახლო მომავალში ვნახავთ. ახლა **ვიღაცას თუ ჰგონია, რომ, რადგან 20-21 ივნისის პროვოკაცია ბოლომდე არ გამოუვიდათ და გაჩერდებიან, ძალიან ცდება. ისინი აუცილებლად მოაწყობენ კიდევ არაერთ ძალადობას და, თუ დასჭირდებათ, მსხვერპლსაც არ მოერიდებიან...**

გამოსავალს რაც შეეხება, ვფიქრობ, დღევანდელ ხელისუფლებასთან და მასთან შეხმატკბილებულ ვითომ ოპოზიციასთან რამე მოლაპარაკებას აზრი არ აქვს. ესენი ერთი პოლიტიკური დღის წესრიგის პირმშოები არიან, ამიტომ ერთადერთ გამოსავალს ყველა ამ ძალის მოშორებაში ვხედავ. **უნდა ადგეს ჩვენი საზოგადოება, დიდი თუ პატარა, მივიდეს საელჩოებთან, პირველ რიგში, ცხადია, ამერიკის საელჩოსთან და მოსთხოვოს მათ, რომ ან წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ან ერთხელ და სამუდამოდ თავი დაანებონ ჩვენს საშინაო საქმეებში ხელების ფათურს. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, აქტიურად უნდა ჩაერთოს ეკლესიაც და სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას.** არ შეიძლება ასეთ ვითარებაში თავის შეკავება სიმართლის თქმისგან, იმიტომ, რომ ეს უკვე არის ის მდგომარეობა, როცა დუმილი ღალატის ტოლფასია.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელსაც კავშირისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი პრინციპი ჰქონდა, ისევე, როგორც ევროკავშირს, შიდა საზღვრები იყო სიმბოლური. 15-ვე რესპუბლიკაში ერთიანი ეკონომიკური სივრცე და საერთო ვალუტა იყო. ამ კავშირს ჰქონდა ერთიანი თავდაცვის სისტემა, რასაც ევროპამ ვერ მიაღწია. ევროკავშირის ქვეყნებს სურთ, ჰქონდეთ ერთიანი თავდაცვის სისტემა, მაგრამ ამის საშუალებას ამერიკა არ აძლევთ. რომ ამბობენ: საბჭოთა კავშირის პერიოდში მონები ვიყავითო, მაშინ დღეს ნებისმიერი ევროპელი მონა ყოფილა“.

ხალხის აზრით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტარიელ სუხიაშვილი: 30 წელიწადია, დაღუპვის გზაზე ვდგავართ. მინდა, ისეთი პოლიტიკური ძალა გამოჩნდეს, რომელიც ამას ბოლოს მოუღებს

**რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაწესებული შეზღუდვების, ტურისტული სეზონის ჩავარდნის, ლარის კატასტროფულად გაუფასურების, უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონის გამო მოსახლეობის დიდი ნაწილს გაუჩნდა განცდა, რომ ქვეყანა უპატრონოდაა მიტოვებული, ამიტომ ისეთი პოლიტიკური ძალის გამოჩენას ელის, რომელიც გამოსავალს, რეალურ და მოსაწონ გამოსავალს შესთავაზებს. საპარლამენტო არჩევნები ერთი წლის შემდეგ უნდა ჩატარდეს, საარჩევნო ბატალიები კი მალე დაიწყება...**
**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთგული მკითხველი, თბილისელი ტარიელ სუხიაშვილი თავის თვალსაზრისს გვიზიარებს, თუ როგორი ძალის ხილვა სურს ხელისუფლების სათავეში.**

— ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველა ხელისუფლება ცდილობდა, საზოგადოება დაექსაქსა და ერთიანი აზრი არ ჩამოყალიბებულიყო ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის საკეთებლად. გამოფხიზლება თითქოს ეტყობა ხალხს, მაგრამ არავინ არ ამბობს, რა დაგვმართეს, რა გვჭირს, რატომ ვართ ასე დადუმებულები და რა გვჭირდება.

**— თქვენ თქვით, რა გვჭირდება?**

— ქართველმა ხალხმა, უწინარესად, უნდა გააცნობიეროს, რომ ყველა ხელისუფლება დაკომპლექტებულია ერთი ძალის მიერ და ჩამოყალიბებულია ერთ ძალად, რომელსაც სხვადასხვა სახელი ჰქვია, ამასთანავე, ქვეყანაში ფასადური დემოკრატიაა.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური არეალი მონოპოლიზებული აქვთ ე.წ. პროდასავლურ-ევროატლანტიკური ძალის მიმდევრებსა და წარმომადგენლებს. პარლამენტი დაკომპლექტებულია ერთი ძალით და წარმოდგენილია ორი სხვადასხვა გუნდით და მათი სატელიტებით, სახელებს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან შინაარსი ერთნაირია. ისინი დაპირისპირებული არიან ერთმანეთთან, მაგრამ ეს დაპირისპირება ქვეყნის გადარჩენის გამო კი არა, სკამების გამოა, სკამებისა, რომლებიც პირადი კეთილდღეობისთვის სჭირდებათ.

ყველა პარტია, რომლებიც პარლამენტში არიან წარმოდგენილნი, მუშაობს იმაზე, რომ არ გამოჩნდეს ალტერნატიული მეორე ძალა, რომელიც იქნება ეროვნული, ქვეყანაზე შეყვარებული.

**— როგორი უნდა იყოს ეს მეორე ძალა, რომელზეც თქვენ და მოსახლეობის დიდი ნაწილი ოცნებობს?**

— მეორე ძალა, თუკი ასეთი გამოჩნდა, ეროვნული უნდა იყოს, იდეოლოგია უნდა ჰქონდეს ეროვნული, სახელმწიფოებრივად აზროვნებდეს და შენებაზე ფიქრობდეს.

**— ეროვნულობაზე პრეტენზია „ქართულ ოცნებასაც“ აქვს...**

— „ქართულ ოცნებას“ დეკლარირებული პროგრამით არ ვაფასებ, ამის გაკეთება ყველას შეუძლია, გადაიწერენ, გადმოიწერენ და პროგრამაც მზად არის. თუკი ივანიშვილს ქვეყნის შველა უნდოდა, მათხოვარი არ უნდა გაელვიძებინა ქართველში. ფინანსური დახმარება საჩუქრის სახით არავის სჭირდება, რადგან ღირსების მქონე ადამიანისთვის ეს დამამცირებელია. ჩვენი ქვეყნის ე.წ. ინტელიგენცია, რომელიც ივანიშვილისგან პენსიას იღებს, ღირსებადაკარგულია. ივანიშვილმა გადაარჩინა ინტელიგენციაო. რას ჰქვია, გადაარჩინა?! უშრომელი შემოსავალი აქვთ, შინ სხედან და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში არ ერევიან, ჩუმად არიან მაშინაც, როდესაც ქვეყანა იქცევა. ნებისმიერი ადამიანისთვის ღირსებაა მთავარი. ადამიანს თუ უჭირს, შესაძლოა, ფული ასესხო.

მინდა, პოლიტიკურ ასპარეზზე დავინახო ძალა, რომელიც კი არ იწუწუნებს, საქმეს გააკეთებს, პრობლემებს თვალს გაუსწორებს, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს და ქვეყნის გადარჩენაზე იზრუნებს. **მინდა ისეთი მეორე ძალა, რომელიც, რაც გვქონდა, იმას თუ ვერ დააბრუნებს, მიუახლოვდეს მაინც.**

იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელსაც კავშირისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი პრინციპი ჰქონდა, ისევე, როგორც ევროკავშირს, **საზღვრები იყო სიმბოლური. 15-ვე რესპუბლიკაში ერთიანი ეკონომიკური სივრცე და საერთო ვალუტა იყო. ამ კავშირს ჰქონდა ერთიანი თავდაცვის სისტემა, რასაც ევროპამ ვერ მიაღწია. ევროკავშირის ქვეყნებს სურთ, ჰქონდეთ ერთიანი თავდაცვის სისტემა, მაგრამ ამის საშუალებას ამერიკა არ აძლევთ. რომ ამბობენ: საბჭოთა კავშირის პერიოდში მონები ვიყავითო, მაშინ დღეს ნებისმიერი ევროპელი მონა ყოფილა.** საბჭოთა კავშირის მოქალაქე თავისუფალი იყო. თუკი რომელიმე რესპუბლიკას სურვილი ჰქონდა, თავის ქვეყანაში რამე გაეკეთებინა, წარადგენდა გეგმას საკავშირო დონეზე და აუცილებლად დადებით პასუხს მიიღებდა. გვეხმარებოდნენ ყველაფრით, მათ შორის, კვალიფიციური მუშახელით, ადგილებზე იხსნებოდა შესაბამისი სასწავლებლები კადრების გამოსაზრდელად. დღეს ამის გამკეთებელი არავინაა.


ტარიელ სუხიაშვილი

— საქართველოს ხელისუფლებამ საღად უნდა იაზროვნოს, ხელისუფლების უპირველესი საფიქრალი ძლიერი ეკონომიკის შექმნაა, მაგრამ ძლიერ ეკონომიკას დილეტანტები ვერ შექმნიან.

საბჭოთა კავშირის დაშლისას საქართველოს სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი განვითარებული ჰქონდა. ჩვენ მსოფლიოს იმ მცირე ქვეყნების რიგში ვიყავით, რომელთა სახალხო მეურნეობასაც შეეძლო ავტონომიურად ემუშავა, ჩვენ დამოუკიდებლად არსებობა შეგვეძლო, რადგან სახლხო მეურნეობის ყველა სტრატეგიული დარგი განვითარებული გვქონდა. უმაღლეს დონეზე იყო განათლება, მეცნიერება, გვქონდა სამეცნიერო სკოლები თითქმის ყველა დარგში. ჩვენი მეცნიერები მოწინავეები იყვნენ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში. ახლა ერთი პატარა ხიდის აშენება რომ უნდათ, ტენდერს აცხადებენ და ჩინელებს ამარჯვებინებენ. საბჭოთა კავშირში კი არა, ეგვიპტეშიც ჰესებს ქართველები აშენებდნენ.

**«მინდა, გთხოვოთ თქვენ — «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას, ერთი დღე დათქვათ ისეთი, რომ ხალხმა შეკრება მოახერხოს, გინდათ, «მკითხველის დღე» დაარქვით, ოღონდ გააკეთეთ. ჩვენ მოვალთ, წერილების შინაარსს განვიხილავთ, სათქმელს ვიტყვით, პრობლემის მიზეზებზე ვისაუბრებთ. სხვაგვარად არაფერი გამოვა, სხვა შემთხვევაში, გამოდის, რომ ბნელ ოთახში ვეძებთ კატას, რომელიც იქ არ არის»**

**100 ქარხანას აგიშენებთო, — გვეუბნებიან და ჩვენც გვჯერა. არავინ სვამს კითხვას: გვაქვს კი ჩვენ მიერ შექმნილი პროდუქციის გასაღების ბაზარი ან გვჭირდება ის ქარხანა, რომელსაც ვითომ გვიშენებენ? გვაქვს ნედლეული, რომლითაც ქარხანა უნდა ვამუშაოთ?.. უამრავი შეკითხვაა და პასუხი არ არის. ამ ცნობიერების ხალხთან რა უნდა გააკეთო?!**

ქვეყანა, ერი უკან მიექანება. არადა, ამბობენ, დემოკრატიააო. **როგორ შეიძლება, დემოკრატია იყოს ქვეყანაში, სადაც, კიდევ ვიმეორებ, მხოლოდ ერთი ძალა დომინირებს თავისი სატელიტებით.** 30 წელიწადია, მივყავართ რაღაც ოაზისისკენ, რომელიც მხოლოდ მირაჟია, და დაღუპვის გზაზე ვდგავართ. მინდა, ისეთი პოლიტიკური ძალა გამოჩნდეს, რომელიც ამას ხმამაღლა იტყვის. შედეგი ოცდაათწლიანი პერიოდისა ვიცით, შედეგთან ბრძოლა უშედეგოა, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ უბედურების გამომწვევ მიზეზს.

**— რა არის მიზეზი იმისა, რაც გვჭირს?**

ყველა პოლიტიკოსი, რომელთა საუბარსაც ვუსმენ, ასე ამბობს: ბიძინამ რომ მომისმინოს, ბიძინამ მე რომ დამიჯეროს... ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის გადარჩენაზე კი არ ფიქრობენ, ბიძინას ნავში ადგილის დაკავება სურთ, ნავში, რომელსაც ქვეყანა დასაღუპავად მიჰყავს.

**— შესაძლებელია, რომ წარსული დიდება დავიბრუნოთ?**

— შესაძლებელი და აუცილებელია, მაგრამ ეს არავის სურს.

ახლა სოფელში ვარ და ვუყურებ საშინელებას... ყველაფერს აკეთებს მთავრობა იმისთვის, რომ გლეხი ქვეყნიდან გაიქცეს. ოცდაათი წელიწადია, ხელისუფლებაში ისეთი ხალხი გვყავს, სამშობლო და საკუთარი ხალხი რომ არ უყვარს. ჩვენი ხელისუფლება ფულის გამო იმპერიალისტების ვიწრო წრეს ემსახურება, მათ საქართველოს გაქრობა და დაკნინება სურთ.

წინა ხელისუფლების სტრატეგია დაშინება იყო, მაგრამ შეშინებულ ადამიანს პროტესტი უჩნდება, როგორც კი დროს იხელთებს. სააკაშვილის შემთხვევაშიც ასე იყო. როცა პროტესტი აზვირთდა, სააკაშვილი ივანიშვილით ჩაანაცვლეს, მაგრამ ამ გუნდს სხვა სტრატეგია აქვს — ეკონომიკური ბერკეტები. ეს უფრო მეტად თრგუნავს ხალხს. შიმშილი საცოდაობაა, მშიერს ბრძოლის ძალა არ აქვს, სულიერად ტყდება მშიერი კაცი და მერე ყველაფერს კადრულობს, ყველაფერზე თანხმდება. ეს რომ ასეა, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ხალხის პროტესტი აღარ არის ისეთი, როგორიც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო, უფრო ზუსტად, პროტესტი საერთოდ არ არის.

**სამწუხაროდ, არ ჩანს ძალა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებაში არსებული ძალის ალტერნატივა იქნება. უნდა ჩამოყალიბდეს მეორე ძალა, რათა ქვეყანაში დემოკრატიის ელემენტები გაჩნდეს. მინდა, პოლიტიკური ხედვა ჰქონდეთ ჩვენს პოლიტიკოსებს და ეს ხედვა საღი უნდა იყოს,** თუკი დემოკრატია გვაქვს, თანაც აყვავებული, რატომ ვიღუპებით? ამაზე ვინმე საუბრობს?

დასასრულ, მინდა, გთხოვოთ თქვენ — „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას, ერთი დღე დათქვათ ისეთი, რომ ხალხმა შეკრება მოახერხოს, გინდათ, „მკითხველის დღე“ დაარქვით, ოღონდ გააკეთეთ. ჩვენ მოვალთ, წერილების შინაარსს განვიხილავთ, სათქმელს ვიტყვით, პრობლემის მიზეზებზე ვისაუბრებთ. სხვაგვარად არაფერი გამოვა, სხვა შემთხვევაში, გამოდის, რომ ბნელ ოთახში ვეძებთ კატას, რომელიც იქ არ არის.

**«თუკი ივანიშვილს ქვეყნის შველა უნდოდა, მათხოვარი არ უნდა გაეღვიძებინა ქართველში. ფინანსური დახმარება საჩუქრის სახით არავის სჭირდება, რადგან ღირსების მქონე ადამიანისთვის ეს დამამცირებელია. ჩვენი ქვეყნის ე.წ. ინტელიგენცია, რომელიც ივანიშვილისგან პენსიას იღებს, ღირსებადაკარგულია. ივანიშვილმა გადაარჩინა ინტელიგენციაო. რას ჰქვია, გადაარჩინა?! უშრომელი შემოსავალი აქვთ, შინ სხედან და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში არ ერევიან, ჩუმად არიან მაშინაც, როდესაც ქვეყანა იქცევა. ნებისმიერი ადამიანისთვის ღირსებაა მთავარი. ადამიანს თუ უჭირს, შესაძლოა, ფული ასესხო»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იმის მაგივრად, რომ მიწა მიეყარათ მათთვის და ერთხელ და სამუდამოდ გაეშვათ პოლიტიკურ მოუსავლეთში, ქოცებმა კოაბიტაციად წოდებული რეანიმაციის პროცესი წამოიწყეს ნაცებთან და სწორედ ამ „ჰუმანური აქტის“ გამოა, რაც დღეს გვჭირს — ლამის 7 წელიწადია, დასავლეთის მიერ მთავარ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალად შერაცხილ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ე.წ. არასამთავრობო მესამე სექტორსა და „რუსთავი 2“-ის სიცრუის მანქანასთან ალიანსში წუთითაც არ შეუწყვეტია ქართველი ხალხის მიერ არჩეული „ქართული ოცნების“ ხელისუფლების რევოლუციური გზით დამხობის მცდელობა.**

# ყველანი ციხეში და ვინ არის ქოც-ნაცების უალტერნატივო ალტერნატივა?

**აგერ უკვე 7 წელიწადი გახდება, რაც ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით მიშნაცების ფაშისტურ-სადისტური ქართველთმოძულე ხელისუფლება დაამხო. დიახ, დაამხო და არა შეცვალა, რადგან მიშნაცების 9-წლიანი კოშმარი რეჟიმი იყო და არა ხელისუფლება. რეჟიმები კი რევოლუციების გზით ემხობიან. მას შემდეგ, რაც ე.წ. ციხის კადრებისა თუ სამეგრელოს ტყეებში ნაპოვნი ვიდეოების შინაარსით აღშფოთებულ-შეძრწუნებულმა მოსახლეობამ ქვეყნის მასშტაბით ქუჩებში იხუვლა, ყველასთვის და, პირველ რიგში, ნაცებისთვის ცხადი შეიქნა, რომ სისხლიანი რეჟიმის დასასრული მხოლოდ დროის ამბავი იყო. და მართლაც — 2012 წლის 1 ოქტომბრი, მართალია, უსისხლოს, მაგრამ მაინც რევოლუციას უფრო ჰგავდა, ვიდრე არჩევნებს...**

საზოგადოებას შევახსენებ, არჩევნების წინა თუ შემდგომ პირველ დღეებში როგორ შეძვრნენ სოროებში სხვადასხვა წონისა თუ კალიბრის მიშნაცი ვირთხები — რევოლუციის ტოლფასი არჩევნების შემდეგ ნაცები უკვე პოლიტიკურ საფლავში იწვნენ და იმის მაგივრად, რომ მიწა მიეყარათ მათთვის და ერთხელ და სამუდამოდ გაეშვათ პოლიტიკურ მოუსავლეთში, ქოცებმა კოაბიტაციად წოდებული რეანიმაციის პროცესი წამოიწყეს ნაცებთან და სწორედ ამ „ჰუმანური აქტის“ გამოა, რაც დღეს გვჭირს — ლამის 7 წელიწადია, დასავლეთის მიერ მთავარ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალად შერაცხილ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ე.წ. არასამთავრობო მესამე სექტორსა და „რუსთავი 2“-ის სიცრუის მანქანასთან ალიანსში წუთითაც არ შეუწყვეტია ქართველი ხალხის მიერ არჩეული „ქართული ოცნების“ ხელისუფლების რევოლუციური გზით დამხობის მცდელობა.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება არ შეუსრულებია (გარდა ერთისა — ქუჩებში აღარ ხვრეტენ და ციხეებში აღარ აუპატიურებენ ხალხს) და ქართველები მალე მივხვდით, რომ „ქართული ოცნება“ სულაც არ ყოფილა ქართველთა ოცნება, ქოცების რეიტინგმა მნიშვნელოვნად დაიწია, მაგრამ არა ნაცების სასარგებლოდ — 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ არჩევნების გზით მათ ხელისუფლებაში დაბრუნება არ უწერიათ და ამიტომ ნაცების ანტისახელმწიფოებრივმა ქმედებებმა ისტერიკული, ვიტყოდი, სასოწარკვეთილი ხასიათი შეიძინა.

ქვეყანაში არასტაბილური, რევოლუციური სიტუაციის შესაქმნელად ნაცები ყველაფერს კადრულობენ. რომელი ერთი ჩამოვთვალო: ე.წ. შვილმოკლული მამების თავიანთი მიზნებისთვის გამოყენების მცდელობა; ნარკომან-ბარიგების საპროტესტო აქციები; ე.წ. თბილისი პრაიდი; სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ ატეხილი ისტერიკა; კონფლიქტის ზონაში ე.წ. შიშველი უკანალების აქცია; „რუსთავი 2“-ის თემა; „თი-ბი-სი ბანკი“ და ა.შ. ეს არასრული ჩამონათვალია იმ მრავალი წვრილმან-მსხვილმანი თემებისა, რომელთა პედალირებითაც ცდილობდნენ ქვეყანაში სიტუაციის არევას. და ამ ყველაფერს მოჰყვა გავრილოვის ღამედ მონათლული რუსოფობიური მოძრაობის დაწყება **გიორგი გაბუნიას** ამაზრზენი ბილწსიტყვაობის თანხლებით და მართლაც უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია, რომელსაც, რომ იტყვიან, ხელების ფშვნეტით შეჰყურებდა ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია და, რომ არა შინაგან საქმეთა მინისტრ **გიორგი გახარიას** სიმტკიცე, ღმერთმა უწყის, დღეს სად ვიქნებოდით. თუმცა არა, ულმერთოდაც კარგად გვეცოდინებოდა, რადგანაც ხელისუფლების ძალადობრივი, სახელმწიფო გადატრიალების გზით დამხობის კინო საქართველოს უახლესი ისტორიაში არაერთხელ გვინახავს...



აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ მოცემულ დროსა და სივრცეში ქართველი საზოგადოების უმრავლესობა მხარს უჭერს ქოცების მიერ წარმოებულ „პოლიტიკურ რეპრესიებს“. **დავით კირკიტაძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ნიკანორ მელია, ზვიად კუპრავა, ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია** და ა.შ. ხომ სხედან „ვირის აბანოში“ და, როგორც მათი შიზოიდი ბელადი **მიშა სააკაშვილი** გაჰყვიროდა თავის დროზე „ყველანი ციხეში!“ — **გიგი უგულავა, გიორგი ბარამიძე, გიგა ბოკერია, ნიკა გვარამია** და ა.შ. — ყველანი, ყველანი, ყველანი ციხეში!

თუმცა **ამ კონკრეტულ ვითარებაში ხელისუფლების მხარდაჭერა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს „ქართული ოცნებისთვის“ მომავალ არჩევნებში მხარდაჭერას, რადგან ბოლო 7 წლის განმავლობაში ივანიშვილის ხელისუფლებამ გაუმაძღრობის, უნამუსობის, უკაცრავად და, ღორიშვილობის ყველა რეკორდი მოხსნა.**

ქართველ საზოგადოებას განსაკუთრებით მწარედ გვახსოვს სალომე ზურაბიშვილის არჩევნების მეორე ტურის წინ ბიძინა ივანიშვილის ნიანგის ცრემლები და, აქედან გამომდინარე, როგორც თვითონ ჭორვილელი იტყოდა, საზოგადოებაში ჭარბი ნდობით აღარ სარგებლობს. ზემოთ ვთქვით, ქოცების რეიტინგის დაცემა არ ნიშნავს ნაცების რეიტინგის ზრდას-მეთქი. იმაზეც ვთანხმდებით, რომ ნაცების მთავარი ოპოზიციონერობა დასავლეთიდან (წაიკითხე, აშშ) თავსმოხვეული მოცემულობაა, ისევე, როგორც ნაცების მიერ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაჩვენები 40%. აქედან გამომდინარე და, მით უმეტეს, ბარიერის არარსებობის შემთხვევაში, ნაცები, ალბათ, ხმების 9-10 პროცენტს თუ მოაგროვებენ (აქვე იმაზეც შევთანხმდეთ, რომ, როდესაც ნაცებს ვახსენებთ, მათთან ერთად ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციასაც ვგულისხმობთ).

თავის მხრივ, **არც ქოცებს აქვთ საქმე კარგად, რადგან 2020 წლის არჩევნებში აღარ იმუშავებს „მიშა მოდის“ პრინციპი და, შესაბამისად, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო კი არა, შეიძლება პარლამენტში უბრალო უმრავლესობითაც ვერ შევიდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კოალიციურ მთავრობაზე მოგვიწევს ფიქრი და აქედან ბუნებრივად ჩნდება მთავარი კითხვა: მაშ, რომელი პოლიტიკური ძალა შეძლებს 2020 წლის არჩევნებში ქოცებისთვის რეალური კონკურენციის გაწევას და შემდეგ მათთან ერთად (ან მათ გარეშე) მინისტრთა კაბინეტის შექმნას?**

**დავით მხეიძე**

# სასამართლოზე ზემოქმედება და ელჩების საუბრებისთვის მიყურადება

**უკრაინის გამოძიების სახელმწიფო ბიურომ პოროშენკოს წინააღმდეგ ახალი სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ამჯერად განმცხადებლის როლში მოგვევლინა კიევის სააპელაციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ანტონ ჩერნუშენკო, რომელიც 2015 წლიდან უკრაინის საზღვრებს მიღმა იმყოფება, მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა. პოროშენკოს წინააღმდეგ უწყებაში უკვე ცხრა სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელთა ნაწილი პროცესუალური ქმედების სტადიაშია.**

## ჩერნუშენკოს განცხადება

სახელმწიფო ბიუროში შეტანილი დოკუმენტის ნაწილი პოროშენკოსა და მისი გარემოცვის მიერ სასამართლო პროცესში უკანონო ჩარევასა და მოსამართლეებზე ზემოქმედების ფაქტებს ეხება.

სისხლის სამართლის საქმე აღძრულია კიევის პეჩორის სასამართლოს გადაწყვეტილებით. განცხადებაში ჩერნუშენკო დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ მოითხოვდნენ პეტრე პოროშენკო და მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსეი ფილატოვი პირადად მისგან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ. ამგვარი მოთხოვნები 2014 წლის ოქტომბრიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც მოსამართლე პირადად პრეზიდენტთან გამოიძახეს. პოროშენკომ უთხრა, რომ უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ განიხილავდნენ სააპელაციო სასამართლოში საიუველირო ფირმა Graff-ის საქმეს. დატუქსა მოსამართლე იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო პრეზიდენტის ოჯახის ღირსების დაცვა.



პრეზიდენტის ინტერესი შეიძლება ის იყო, რომ საიუველირო სალონში (მოარული ხმებით) მოიპარეს ექსკლუზიური ბეჭედი, რომელიც მარია პოროშენკოსთვის იყო განკუთვნილი.

ანტონ ჩერნუშენკოს განცხადებაში ნახსენებია აგროფირმა „აგრეინი“, რომელსაც 2014 წელს ყადაღა დაედო, ხოლო უმაღლესმა ინსტანციამ ქონების დაპატიმრება გააუქმა. ეს გაუქმება მოსამართლესთან საუბრის დროს გამოთქმული მეორე პრეტენზია იყო. მომჩივანის აზრით, იგი (პრეზიდენტი) აგროაქტივების დაპატიმრებით პირადად იყო დაინტერესებული.

მესამე ეპიზოდი დაკავშირებულია კომპანია „ნეფტეგაზდობიჩასთან“, კომლის მფლობელია **რინატ ახმეტოვი**. ჩერნუშენკომ განაცხადა, რომ 2015 წლის გაზაფხულზე ამ ფირმის აქტივები დააპატიმრა გენპროკურატურამ და პეჩერის რაიონულმა სასამართლომ პეტრე პოროშენკოს დაკვეთით.

მოსამართლე ამას მიტაცებას უწოდებს, რომლის შედეგად პირადად პოროშენკომ 130 მილიონი აშშ დოლარი გასამრჯელოს სახით მიიღო.

„ამ საკითხზე ფილატოვმა არაერთხელ გამომიძახა უკრაინის პრეზიდენტის აპარატში და მიმეორებდა, რომ პეჩორის სასამართლოს გადაწყვეტილება „ნეფტეგაზდობიჩის“ ქონების დაპატიმრების შესახებ კიევის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა“, — წერს ჩერნუშენკო თავის განცხადებაში. მაგრამ აპელაციამ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და უარი უთხრა უკრაინის გენერალური პროკაურატურის გამომძიებელ **დიმიტრი სუსს** შუამდგომლობაზე, „რამაც უკრაინის პრეზიდენტის პ.ა. პოროშენკოს უკმაყოფილება გამოიწვია“, — წერს მოსამართლე. ამის შემდეგ და შედეგად დაიწყეს ჩერნუშენკოს დევნა გენპროკურატურამ და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ.

ჩერნუშენკო ყვება, რომ საერთო ჯამში იყო ხუთი განცხადება, რომლების მიმართ ფილატოვი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ.

**ამერიკელების სამხედრო მანქანამ არ გაამართლა. ოპერაცია „უძლეველი თავისუფლება“ აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ ომად გარდაიქმნა. ავღანეთში ათიათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, თითქმის 2,5 ათასი ამერიკელი სამხედრო და ათასზე მეტი საერთაშორისო კოალიციის სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. უცხოეთის კონტინგენტის რაოდენობამ 140 ათას კაცს გადააჭარბა (2010 წელს).**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დონალდ ტრამპმა ახლახან განაცხადა, რომ აშშ-ის არმიას შეუძლია ერთ კვირაში მოიგოს გაჭიანურებული ომი ავღანეთში, მაგრამ არ სურს, რომ ამ გამარჯვებას მოსახლეობის დიდი მსხვერპლი მოჰყვეს. ამერიკელები კრინტს არ ძრავენ იმაზე, რომ სხვა ქვეყნებში შეჭრისას არ შეცოდებიათ ასიათასობით მშვიდობიანი მოქალაქე (სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ეს ტრამპის დროს არ მომხდარა). „დემოკრატიისთვის“ ყველაზე უფრო სისხლიანი ომების შესახებ ჩვენს მასალაში მოგითხრობთ.**

# აშშ ქვეყანაში შეჭრისას ზოგჯერ მოწინააღმდეგის ჯარისკაცებზე უფრო მეტ მშვიდობიან მოქალაქეს ხოცავდა

## შეუმდგარი ბლიცკრიგი

უკვე 18 წელიწადია, აშშ-ის არმია ავღანეთში თალიბებს ებრძვის. ოპერაცია „ურყევი თავისუფლება“ 2001 წლის 7 ოქტომბერს დაიწყო (ერთი თვეც არ იყო გასული 11 სექტემბრის ტერორისტული აქტიდან, რომელიც ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელდა).

მაშინ პენტაგონი ერთგვარ ბლიცკრიგს გეგმავდა — ნატოს მხარდაჭერით რამდენიმე თვის განმავლობაში ყველა ექსტრემისტის განადგურებას, მეთაურების ხელში ჩაგდებასა და „თალიბანის“ რეჟიმის დამხობას, რომელიც იმ ხანად ქვეყნის უმეტეს ნაწილს აკონტროლებდა.

მაგრამ **ამერიკელების სამხედრო მანქანამ არ გაამართლა. ოპერაცია „უძლეველი თავისუფლება“ აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ ომად გარდაიქმნა. ავღანეთში ათიათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, თითქმის 2,5 ათასი ამერიკელი სამხედრო და ათასზე მეტი საერთაშორისო კოალიციის სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. უცხოეთის კონტინგენტის რაოდენობამ 140 ათას კაცს გადააჭარბა (2010 წელს).**

2015 წლის იანვრიდან ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ახალი მისია გამოაცხადა ავღანეთში — **„მტკიცე მხარდაჭერა“,** რომლის მთავარი ამოცანა ავღანეთის ძალოვანი სტრუქტურების სწავლება და კონსულტაცია იყო. დღეისთვის ავღანეთში აშშ-ის 14 ათასი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება.

მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია არ არის სამხედრო აქცია, მშვიდობიანი მოსახლეობა მაინც იჩაგრება. **გაეროს მონაცემებით, მხოლოდ 2018 წელს ავღანეთში 3800 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 900-მდე ბავშვი და მოზარდი, 7 ათასზე მეტი დაიჭრა.** ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ადამიანები ამერიკელი სამხედროების მიერ აბუჩად ამგდები დამოკიდებულების გამო იღუპებიან.

მაგალითად, კოალიციის ძალები არც ისე იშვიათად ბომბავენ მშვიდობიან ობიექტებს იმ მოტივით, რომ მოთარეშეები ხშირად თავს აფარებენ საცხოვრებელ სახლებს, საავადმყოფოებსა და სკოლებს. ასეთ შემთხვევებში ნატოს ჯარების მეთაურები მიწასთან ასწორებენ შენობებს „ბოევიკებთან“ და მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად. კოალიციის სამხედრო მოსამსახურეები „თალიბანთან“ შესაძლო კავშირის გამო უაპელაციოდ ხვრეტენ ათობით ადგილობრივს.

გაეროს მისია ავღანეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დანაკარგს მხოლოდ 2009 წლიდან აღნუსხავს. მონაცემები ყოველწლიურად მატულობს: **თუ 2009 წელს დაიღუპა 5,9 ათასი ადამიანი, 2015-ში მსხვერპლის რაოდენობა გაორმაგდა და 11 ათასს გადააჭარბა.**



## დაუნდობელი ადამიანები „ჩარლის“ ოცეულიდან

ვიეტნამში აშშ-ის სამხედრო ოპერაციის დროს ვითარება გაცილებით უარესი იყო. ამერიკელებმა იქ სამოც ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დაკარგეს, ხოლო მასირებული დაბომბვების შედეგად, ქიმიური იარაღის, ნაპალმის, ფოსფორის ბომბების გამოყენების შედეგად და აშშ-ის არმიის სახმელეთო ოპერაციებში დაიღუპა ვიეტნამის სამი მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე.

**ვიეტნამში აშშ-ის სამხედრო ოპერაციის დროს ვითარება გაცილებით უარესი იყო. ამერიკელებმა იქ სამოც ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დაკარგეს, ხოლო მასირებული დაბომბვების შედეგად, ქიმიური იარაღის, ნაპალმის, ფოსფორის ბომბების გამოყენებისა და აშშ-ის არმიის სახმელეთო ოპერაციების დროს დაიღუპა ვიეტნამის სამი მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე**

ამერიკელების დაუნდობლობის სიმბოლოდ წარმოგვიდგება ერთი ეპიზოდი, რომელიც სონგმის ხოცვა-ჟლეტის სახელით არის ცნობილი. **1968 წლის 16 მარტს ამერიკის არმიის მე-20 სახმელეთო პოლკის პირველი ბატალიონის ოცეული „ჩარლი“ შეიჭრა ამ პატარა სოფელში და ცეცხლი გაუხსნა გლეხებს, რომლებიც ბრინჯის პლანტაციებში მოსავალს იღებდნენ. ყველას კლავდნენ, არ ინდობდნენ არც ბავშვებს, არც მოხუცებს, ქალებს აუპატიურებდნენ. რამდენიმე საათის განმავლობაში 504 ადამიანი დახოცეს — სონგმის თითქმის მთელი მოსახლეობა.** სოფელი მთლიანად გადაბუგეს. ვაშინგტონში ჯერ ყველაფრის დამალვა სცადეს, უარყვეს თვით ფაქტი, მაგრამ მოგვიანებით გამოაქვეყნეს ერთ-ერთი ჯარისკაცის მიერ გადაღებული ფოტოსურათები და აშშ იძულებული გახდა, ეღიარებინა სამხედრო დანაშაული. **დასაჯეს მხოლოდ ერთი სამხედრო მოსამსახურე და იმანაც პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის განსაკუთრებული განკარგულებით სასჯელი... საკუთარ სახლში მოიხადა.**



## მიზეზს ყოველთვის მოძებნიან

2003 წლის 20 მარტს ქიმიური იარაღის ძებნის საბაბით აშშ ერაყში შეიჭრა გაეროს სანქციის გარეშე, **სადამ ჰუსეინის** დამხობის მიზნით, რა თქმა უნდა. ოპერაცია **„ერაყის გათავისუფლება“** ქუვეითიდან დაიწყო, სადაც თავმოყრილი იყო შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და მათი მოკავშირეების ჯარების 250-ათასიანი დაჯგუფება 700 თვითმფრინავით, 900 ტანკითა და 700 ჯავშანმანქანით.

ამერიკელებს დაუპირისპირდა 400 ათასამდე ერაყელი სამხედრო მოსამსახურე საბჭოთა წარმოების მოძველებული ტექნიკით. მოკავშირეებმა თავდაპირველად ფრთიანი რაკეტებით დაარტყეს მოწინააღმდეგის სტრატეგიულ ობიექტებს, სამთავრობო დაწესებულებებს და შემდეგ დაიწყეს სახმელეთო ოპერაცია. ერთი თვის შემდეგ დაეცა ერაყის უმსხვილესი ქალაქები, 2003 წლის 1 მაისს ჯორჯ ბუშმა გამოაცხადა, რომ საომარი მოქმედებები დამთავრებულია. რამდენიმე ზონად დანაწევრებული ქვეყანა მრავალწლიან ქაოსში ჩაიძირა. პარტიზანული ომი 2011 წლამდე გაგრძელდა.

**კოალიციის ჯარებმა იმ ომში ხუთი ათასამდე კაცი დაკარგა. მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის რაოდენობა უზარმაზარი იყო: მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მხოლოდ 2003 წლიდან 2006 წლამდე 150-დან 223 ათასამდე მშვიდობიანი ერაყელი დაიღუპა. მილიონობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. ჰუმანიტარული ვითარება ქვეყანაში დღემდე არასტაბილური რჩება.**

თავსმოხვეული დემოკრატიის კიდევ ერთი მაგალითი — აშშ-ის ოპერაცია იუგოსლავიის წინააღმდეგ. 24 მარტს ნატოს კოალიციამ აშშ-ის მეთაურობით სარაკეტო დარტყმა მიაყენა სერბეთს. დაბომბვები 78 დღეს გაგრძელდა, სამხედრო და ადმინისტრაციული მართვის სისტემა დაირღვა, იუგოსლავია საბოლოოდ დანაწევრდა და დაიშალა.

მსხვილ სამრეწველო და სამხედრო ობიექტებს რომ ანგრევდნენ, მოკავშირეებს არც სამოქალაქო დაწესებულებები ავიწყდებოდათ. ავიაცია ყოველდღიურად 350 საბრძოლო გაფრენას განახორციელებდა. სერბეთსა და ჩერნოგორიას 21 ათას ტონაზე მეტი ასაფეთქებელი მასალა დააყარეს, 900-ზე მეტ ობიექტს დაარტყეს. გაუგებარი მიზეზების გამო **ბომბავდნენ საცხოვრებელ კვარტლებს, ბაზრებს, საავადმყოფოებსა და, რაც ფრიად ნიშანდობლივია, მართლმადიდებელ ეკლესიებს.**

სერბეთის ხელისუფლების შეფასებით, **დაბომბვების შედეგად დაიღუპა 3 ათასამდე ადამიანი, მათ შორის — 89 ბავშვი, დაიჭრა 12,5 ათასი კაცი.**

**ნიკოლაი პროტოპოპოვი,**
რია ნოვოსტი

# პოლონეთმა თავისი ოქრო ლონდონიდან გაზიდა



**პირველი მსოფლიო ომის წინ პოლონეთმა უსაფრთხოების დაცვის მიზნით თავისი ოქრო დიდ ბრიტანეთში გაზიდა. იმხანად ლონდონში გაიტანეს ათობით ტონა ძვირფასი ლითონი. მას შემდეგ, არაფერი შეცვლილა, პოლონეთის ტონობით ოქრო კვლავაც მისი უდიდებულესობის ყურადღების ქვეშ არის მოქცეული.**

მაგრამ ბოლო წლებში პოლონეთმა რუსეთის, ჩინეთისა და თურქეთის წაბაძვით სწრაფი ტემპით დაიწყო საკუთარი ოქროს მარაგის გაზრდა. 2019 წლის მხოლოდ ივნისის თვეში პოლონეთის ცენტრალურმა ბანკმა ერთბაშად 125 ტონა ყვითელი ლითონი შეიძინა. ოქროს მთელი მარაგი პოლონეთის ტერიტორიის მიღმა იმყოფება. ამ გაუგებრობის დამთავრება გადაწყვიტეს პოლონეთის ხელმძღვანელმა პირებმა.

გერმანიამ ერთი წლის წინათ აშშ-დან და საფრანგეთიდან სამშობლოში დააბრუნა თავისი რეზერვების თითქმის ნახევარი. მანამდე მსგავსი ოპერაცია განახორციელა ნიდერლანდის სამეფომ. რიგში დგას ავსტრია, რომელმაც საჯაროდ განაცხადა თავისი გეგმის შესახებ.

ეს გასაკვირი არც არის: აშშ ემზადება მსოფლიო სავალუტო ომისთვის და ამ პირობებში ოქრო ყველაზე უფრო ღირებულ და გამართლებულ აქტივად ესახებათ.

პრეზიდენტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირველი, რაც პუტინმა გააკეთა ქვეყნის გადასარჩენად, ეს იყო ელიტის კონსოლიდაცია. ის შეუდგა შეკავებისა და საპირწონეების ახალი სისტემის აწყობას, ელცინის ოლიგარქების რიგებში იმ პირების შეყვანას, რომლებსაც გაუთვითცნობიერებლებმა „პუტინის მეგობრები“ და „პუტინის ოლიგარქები“ უწოდეს. სინამდვილეში ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც პუტინმა პასუხისმგებლობა დააკისრა რამდენიმე სტრატეგიულ დარგზე. ეს დარგები ხელიდან გამოჰგლიჯეს ელცინის ძველ ოლიგარქიას, რომელიც დაკავშირებული იყო აშშ-ის ისტებლიშმენტთან.**

# ვლადიმერ პუტინის 20 წელიწადი

**რედაქციისგან:**
**ხელისუფლებაში ყოფნის 20 წლის განმავლობაში პუტინმა წაქცეული და გათელილი რუსეთი კვლავ ფეხზე წამოაყენა და მსოფლიოს პოლიტიკის განმსაზღვრელ ქვეყნად აქცია. ამაში დიდი როლი ითამაშა პუტინის პიროვნულმა თვისებებმა — სამშობლოს სიყვარულმა, ქვეყნისა და ადამიანების წინაშე პასუხისმგებლობამ, მოუსყიდველობამ, ზნეობამ და ადამიანურმა წესიერებამ. ყოველივე ამაში არცთუ მცირე როლი მისმა მართლმადიდებლურმა რწმენამ შეასრულა. ის ჭეშმარიტი მორწმუნეა და მაცხოვრის მცნებებით ცხოვრობს. პუტინი არის კაცი, რომელიც მიცემულ სიტყვასა და დაპირებას ყოველთვის ასრულებს (რამდენი პოლიტიკოსი ვიცით ასეთი, გნებავთ, ჩვენში, გნებავთ, უცხოეთში?!).**



20 წლის წინათ, 1999 წლის 10 აგვისტოს, **ვლადიმერ პუტინი** რუსეთის მთავრობის მეთაურად დანიშნეს. პუტინის ეპოქა — ეს არის ისტორია მფრინავისა, რომელმაც შეძლო მიწაზე დასაცემად განწირული თვითმფრინავის გამოყვანა ე.წ. „კორპსაძრობიდან“ („შტოპორი“).

ვლადიმერ პუტინის პოლიტიკური კარიერის დასაწყისი დაემთხვა პერიოდს, როცა ყველაფერი, რაც, ჩვეულებრივ, სახელმწიფოს საყრდენად ითვლებოდა, დანგრეული აღმოჩნდა.

**ბანდიტებით, უცხო ქვეყნის დაზვერვების დაუფარავად მოქმედი აგენტებითა და ინტელიგენტური დილეტანტებით იყო სავსე სახელისუფლო დერეფნები და არანაირი კვალი არ ჩანდა, რომ რაღაც მაინც დაუპირისპირდებოდა ამ ნგრევის ბაქანალიას.**

პუტინის პირველი რეფლექსი იყო შერწყმა გარემოსთან, სანამ შეძლებდა ვითარებაში გარკვევას.

თავდაპირველად განსაზღვრა საკვანძო სახეები, რომლებსაც შეიძლებოდა დაყრდნობოდა. მხოლოდ უკიდურესად გულუბრყვილოები მიიჩნევენ პუტინს „სობჩაკის ერთგულ მოწაფედ“, უბრალოდ იმიტომ, რომ ის პატივისცემის ნიშნებს ავლენს პიროვნების მიმართ, რომელიც დაეხმარა, მუშაობა დაეწყო გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ.

**პეტერბურგის იმდროინდელი ელიტის კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობისას პუტინმა თავი წარმოაჩინა, როგორც მოუსყიდველმა და პრინციპულმა ადამიანმა. მას არავისთვის არ უღალატია და ერთი ბანაკიდან მეორეში არ გაქცეულა, თუმცა ყველასთან ინარჩუნებდა დისტანციას და არავისზე დამოკიდებული არ გახდა.**

ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ისეთმა არაერთმნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე პირებმა, როგორებიც იყვნენ ჯერ კიდევ „ბანდიტური პეტერბურგის“ მერი **ანატოლი სობჩაკი** და პრეზიდენტის საქმეთა მმართველი **პაველ ბოროდინი,** პუტინი შეიყვანეს მძიმე წონის კატეგორიის პოლიტიკოსთა წრეში, შემდეგ კი ხელს უწყობდნენ მის წინსვლას სამსახურებრივ-კარიერულ კიბეზე და არ შეშინებიათ მისთვის სულ უფრო მეტი უფლებამოსილების გადაცემის. ისინი პუტინს არასოდეს მოუტყუებია.

**20 წლის წინათ, 1999 წლის 10 აგვისტოს, ვლადიმერ პუტინი მთავრობის მეთაურად დანიშნეს რუსეთის პრეზიდენტად არჩევის პერსპექტივით. იმხანად ვერავინ ივარაუდებდა, რომ რუსეთის ხელისუფლების მეორე ეშელონის ეს სიტყვაძვირი მოხელე XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის მსოფლიოს დიდი პოლიტიკოსი გახდებოდა; ის ადამიანი, რომელმაც მიიღო დაშლის პირას მყოფი მშიერი და გამათხოვრებული რუსეთი, რომლის სამხრეთი — ჩრდილოეთი კავკასია — სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, 20 წლის შემდეგ კი ეს ქვეყანა გადააქცია მონოლითურ გეოპოლიტიკურ ზესახელმწიფოდ, რომელმაც თავის შემადგენლობაში დაიბრუნა ყირიმი, დაიწყო ინტეგრაცია ბელარუსთან, სირიასთან და სრულიად ახლო აღმოსავლეთში ბოლო მოუღო აშშ-ის ბატონობას; გახდა მთავარი ძალა, რომელიც დაუპირისპირდა ფინანსურ გლობალიზმს.**

ასე დაიწყო პუტინის ეპოქა, რომელიც ისეთივე მოვლენად იქცა, როგორიც იყო დიდ სამამულო ომში სტალინგრადის ბრძოლის შედეგად გამოწვეული გარდატეხა, თუმცა საჭიროა, ეს გარდატეხა გამარჯვებაში გარდაისახოს.

პირველი, რაც პუტინმა გააკეთა ქვეყნის გადასარჩენად, ეს იყო ელიტის კონსოლიდაცია. ის შეუდგა შეკავებისა და საპირწონეების ახალი სისტემის აწყობას, ელცინის ოლიგარქების რიგებში იმ პირების შეყვანას, რომლებსაც გაუთვითცნობიერებლებმა „პუტინის მეგობრები“ და „პუტინის ოლიგარქები“ უწოდეს.

სინამდვილეში ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც პუტინმა პასუხისმგებლობა დააკისრა რამდენიმე სტრატეგიულ დარგზე. ეს დარგები ხელიდან გამოჰგლიჯეს ელცინის ძველ ოლიგარქიას, რომელიც დაკავშირებული იყო აშშ-ის ისტებლიშმენტთან. ამით ეს დარგები და მათი საკვანძო საწარმოები, რომლებიც შემდეგ სახელმწიფო კორპორაციებად იქცნენ, შენარჩუნებული იქნა რუსეთისთვის და სამართავად ხელში არ ჩაუვარდა დასავლურ ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და მათ ფინანსურ პატრონებს.

**20 წლის წინათ, 1999 წლის 10 აგვისტოს, ვლადიმერ პუტინი მთავრობის მეთაურად დანიშნეს რუსეთის პრეზიდენტად არჩევის პერსპექტივით. იმხანად ვერავინ ივარაუდებდა, რომ რუსეთის ხელისუფლების მეორე ეშელონის ეს სიტყვაძვირი მოხელე XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის მსოფლიოს დიდი პოლიტიკოსი გახდებოდა; ის ადამიანი, რომელმაც მიიღო დაშლის პირას მყოფი მშიერი და გამათხოვრებული რუსეთი, რომლის სამხრეთი — ჩრდილოეთი კავკასია — სამოქალაქო ომის ცეცხლში იყო გახვეული, 20 წლის შემდეგ კი ეს ქვეყანა გადააქცია მონოლითურ გეოპოლიტიკურ ზესახელმწიფოდ, რომელმაც თავის შემადგენლობაში დაიბრუნა ყირიმი, დაიწყო ინტეგრაცია ბელარუსთან, სირიასთან და სრულიად ახლო აღმოსავლეთში ბოლო მოუღო აშშ-ის ბატონობას; გახდა მთავარი ძალა, რომელიც დაუპირისპირდა ფინანსურ გლობალიზმს**

და ამ **„პუტინის აგენტების“ მიერ ოფშორებში გადატანილი ფულიც სინამდვილეში იყო დასავლეთისთვის განკუთვნილი საფარველი სხვადასხვა წამოწყებისა, რომლებიც დასავლეთს გამოაპარეს. ეს იყო, უწინარესად, წამოწყებები სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სფეროში და ნახშირწყალბადოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები.**

და როდესაც 2014 წლის შემდეგ ოფშორების თემა ამოიწურა, რუსეთს ფული პირველებმა დაუბრუნეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც „პუტინის ოლიგარქებს“ უწოდებდნენ, მაგრამ კრინტს არავინ ძრავდა იმაზე, რომ ელცინის ოლიგარქები ჯერჯერობით არაფრის დაბრუნებას არ აპირებენ, გამონაკლისია მხოლოდ სამი პერსონა, რომლებსაც წასასვლელი არსად აქვთ.

**ელცინის მთავარი ოლიგარქების განეიტრალების შემდეგ პუტინმა შეძლო ელიტის კონსოლიდაცია სახელისუფლო პარტიაში, რომელიც ამ წლების განმავლობაში პოლიტიკური ღერძის, სახელისუფლო ვერტიკალის კარკასის როლს ასრულებდა. ელიტა დაუქვემდებარა ერთიან პარტიულ დისციპლინას, ამასთანავე, აქცია ის მთავრობის მეხამრიდად ლიბერალების ყველა ინიციატივისთვის.**

პუტინის ეპოქაში ყველაზე სარისკო იყო პრემიერმინისტრის პოსტზე მისი ყოფნის პერიოდი, როცა პრეზიდენტად **დიმიტრი მედვედევი** აირჩიეს. სწორედ იმხანად იყო მიღებული ყველა ძირითადი გადაწყვეტილება არმიისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიმართ. ეს გადაწყვეტილებები მიიღო არა მედვედევმა, არამედ პუტინმა, როგორც მთავრობის მეთაურმა.

ყველაზე საშინელი პრობლემა, რომელიც პუტინს ელცინისგან მემკვიდრეობით ერგო, არის **სისტემური კორუფცია.** მას იყენებდა ელიტის კონსოლიდაციის და იმისთვის, რომ ის (ელიტა) აშშ-ისგან გამოესყიდა. კორუფცია დიდი ხნის განმავლობაში იყო პუტინის სახელისუფლო ვერტიკალისადმი ელიტის ლოიალურობის პირობა, მაგრამ 2014 წლის შემდეგ ვითარება შეიცვალა და პუტინმა მრავალრიცხოვანი გაფრთხილების შემდეგ თანამიმდევრულად დაიწყო ელიტის წმენდა; ამასთანავე, კარგად აცნობიერებდა, რომ თავის ტკივილი თავის მოკვეთით არ იკურნება. სისტემურ კორუფციას სისტემური მკურნალობა სჭირდება, და მხოლოდ პოპულისტური რეპრესიებით ეს პრობლემა არ მოგვარდება, მაგრამ რუსეთში **კორუფცია ყოველწლიურად სულ უფრო სახიფათო საქმეა და კორუფციის ბრალდების მუხლით სულ უფრო მეტი მაღალჩინოსანი ხეხავს ნარს ციხეებში. მიუხედავად ამ მიმართულებით პრობლემებისა, ამ ფრონტზე ბრძოლის გაგრძელებით რუსეთმა შეძლო, მნიშვნელოვნად გაეფართოვებინა თავისი სუვერენიტეტი.**

ქვეყანაში მოგვარებულია პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემა, საკითხი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მოუგვარებელი ჩანდა. ძალიან რთულად, მაგრამ მაინც მიმდინარეობს **მძიმე მანქანათმშენებლობის** რამდენიმე დარგის, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო ინდუსტრიისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროს ტექნიკური გადაიარაღება. **რუსეთმა აშშ-ის გადაასწრო მაღალი ტექნოლოგიებისა და სტრატეგიული შეიარაღების სფეროებში. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა მაღალია, როგორც არასდროს, ბოლო 20 წლის განმავლობაში.**

**ელცინის მთავარი ოლიგარქების განეიტრალების შემდეგ პუტინმა შეძლო ელიტის კონსოლიდაცია სახელისუფლო პარტიაში, რომელიც ამ წლების განმავლობაში პოლიტიკური ღერძის, სახელისუფლო ვერტიკალის კარკასის როლს ასრულებდა. ელიტა დაუქვემდებარა ერთიან პარტიულ დისციპლინას, ამასთანავე, აქცია ის მთავრობის მეხამრიდად ლიბერალების ყველა ინიციატივისთვის**

მთავარი პრობლემა იყო და არის კადრების პრობლემა. დასავლეთთან მწვავე დაპირისპირების ვითარებაში პუტინს, პრაქტიკულად, არავინ ჰყავს, ვისთანაც დაგეგმავდა ვაშინგტონის კონსენსუსიდან გამოსვლის პოლიტიკას. კადრები, რომლებიც „წყვეტენ ყველაფერს“, ეს არის შინაარსი პუტინის სტრატეგიისა რუსეთის მოსამზადებლად 1990-იან წლებში დაკარგული მსოფლიოს ზესახელმწიფოს პოზიციების დაბრუნების ისტორიული პერიოდისთვის.

**ალექსანდრე ხალდეი**

inforuss.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით შემოკლებული ვერსია მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**ბალიკმა აღნიშნა, რომ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები ნამდვილი ტრაგედიაა ჩეხეთის ეკონომიკისთვის. „ამ სანქციების დამწესებლები — აშშ და გერმანია — განაგრძობენ რუსეთთან ვაჭრობას, ჩეხეთის მთავრობა კი ბრიუსელიდან და ბერლინიდან წამოსული მითითებების მიხედვით მოქმედებენ“.**

ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასავლეთს ყოველთვის სურდა რუსეთის, როგორც სახელმწიფოს, განადგურება




**დასავლეთს ყოველთვის სურდა რუსეთის, როგორც სახელმწიფოს, განადგურება. მას უმზადებდნენ კოლონიის როლს, ხოლო მის მოსახლეობას — მონების ხვედრს, მაგრამ 2000 წელს პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ბოლო მომენტში გადაარჩინა რუსეთი, ამიტომ მის პატრიოტულ პოლიტიკას დასავლეთი წარმოაჩენს, როგორც აგრესიულს, როგორც საფრთხეს ევროპისა და სრულიად მსოფლიოსთვის. ეს მოსაზრება გამოთქვა გადამდგარმა მაიორმა, პოლიტოლოგმა, მასარიკისა და ბატის სახელობის აკადემიის დამფუძნებელმა სტანისლავ ბალიკმა ჩეხურ გამოცემა „ჰალო ნოვინისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

**ბალიკის** თქმით, რუსეთის დანაწევრებას იუგოსლავიის მსგავსად აპირებდნენ. დასავლეთი გეგმავდა, რუსეთის ადგილას შეექმნა 10 სახელმწიფო წარმონაქმნი, რათა უფრო იოლად მოეხერხებინა ქვეყნის კოლონიზაცია და ძარცვა.

**„დასავლეთის თვალში რუსეთის ყველაზე დიდი ცოდვა არის ის, რომ ეს ქვეყანა არ იქცა კოლონიად, როგორც ჩვენ (ჩეხეთი)“.**

ბალიკმა გაიხსენა, რომ დასავლეთის ქვეყნები პირველად არ ცდილობენ მსგავსი რაღაცის გაკეთებას. პირველად ეს იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ანტანტა მხარს უჭერდა თეთრგვარდიელ გენერლებს, რომლებიც რუსეთის ლიკვიდაციისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტები უნდა ყოფილიყვნენ; მეორედ ამ გეგმის განხორციელება **ჰიტლერმა** სცადა.

ბალიკმა აღნიშნა, რომ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები ნამდვილი ტრაგედიაა ჩეხეთის ეკონომიკისთვის. „ამ სანქციების დამწესებლები — აშშ და გერმანია — განაგრძობენ რუსეთთან ვაჭრობას, ჩეხეთის მთავრობა კი ბრიუსელიდან და ბერლინიდან წამოსული მითითებების მიხედვით მოქმედებენ“, — აღშფოთებას ვერ მალავს ჩეხი სამხედრო და პოლიტიკური ექსპერტი.

# რუსეთმა გაეროს სპარსეთის ყურეში უსაფრთხოების კონცეფცია შესთავაზა



**სპარსეთის ყურის კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც რუსეთმა შეიმუშავა, გაეროს ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აუცილებელია ენერგიული და ეფექტიანი ქმედებები საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე.**

„ამჟამინდელ პირობებში საჭიროა ენერგიული და ეფექტიანი ქმედებები საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე სპარსეთის ყურეში ვითარების გამოსასწორებლად და გასაჯანსაღებლად, გაჭიანურებული კრიზისული სტადიის დასაძლევად და ამ სუბრეგიონის მშვიდობისკენ, კეთილმეზობლობისა და მდგრადი განვითარებისკენ შემოსაბრუნებლად“, — ნათქვამია დოკუმენტში.

სპარსეთის ყურის ზონაში უსაფრთხოების სისტემის შესაქმნელი პრაქტიკული სამუშაოები შეიძლება დაიწყოს ორმხრივი და მრავალმხრივი კონსულტაციების ჩატარების გზით დაინტერესებულ მხარეებს შორის. დაინტერესებულ მხარეებში კი იგულისხმებიან რეგიონული და რეგიონს გარეთ არსებული სახელმწიფოები, გაეროს უშიშროების საბჭო, არაბული სახელმწიფოების ლიგა, ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია და სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭო.

გენერალური ასამბლეის უშიშროების საბჭოსთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ „რუსეთი მზად არის ყველა დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთქმედებისთვის ამ და სხვა კონსტრუქციული წინადადებების სარეალიზაციოდ“.

23 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა სპარსეთის ყურის ზონაში კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფცია. მის ჩარჩოებში გათვალისწინებულია საინიციატივო ჯგუფის შექმნა სპარსეთის ყურის ზონაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საკითხებზე კონფერენციის მოსამზადებლად, რომელიც სამომავლოდ გამოიწვევს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნას რეგიონში.

ამას გარდა, მოსკოვი გამოვიდა რეგიონში დემილიტარიზებული ზონების შექმნის ინიციატივით და წამოაყენა წინადადება, რომ არარეგიონულმა სახელმწიფოებმა უარი თქვან ზონაში სამხედრო დაჯგუფებების მუდმივ დისლოკაციაზე და ამუშავდეს ცხელი ხაზი სამხედროებს შორის.

**მოსკოვი გამოვიდა რეგიონში დემილიტარიზებული ზონების შექმნის ინიციატივით და წამოაყენა წინადადება, რომ არარეგიონულმა სახელმწიფოებმა უარი თქვან ზონაში სამხედრო დაჯგუფებების მუდმივ დისლოკაციაზე და ამუშავდეს ცხელი ხაზი სამხედროებს შორის**

# მოსკოვსა და თბილისში არეულობების ერთი ხელწერა

**2019 წლის შემოდგომაზე რუსეთში მზადდება დაძაბულობის მკვეთრი ესკალაცია ყველა ფრონტზე, ამასთანავე, ძირითადი ფრონტი იქნება არჩევნები, — ნათქვამია ეკონომისტ მიხეილ ხაზინის სტატიაში. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ლიბერალური ელიტები ქვეყანაში ვითარების დაძაბვას 2022 წლამდე შეეცდებიან.**

# «ნარინჯისფერი რევოლუციის» არქიტექტორები რუსეთში დაძაბულობის ესკალაციას ცდილობენ

ხაზინმა აღნიშნა, რომ ამჟამად მსოფლიოში გლობალური ლიბერალური პროექტის შეჩერება მიმდინარეობს, რომელიც გულისხმობდა კაპიტალის კონცენტრაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და ფინანსური კაპიტალიზმის გადასვლას თავის დესტრუქციულ სტადიაში.

ამ პროექტს გამოეცალა ძირითადი საყრდენი — აშშ, რადგან დონალდ ტრამპმა კურსი აიღო პროტექციონიზმსა და სამრეწველო კაპიტალიზმის დაბრუნებაზე. აშკარაა, რომ მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ტრამპი მკვეთრ ნაბიჯებს არ გადადგამს, მაგრამ მისი დამთავრებისთანავე და გამარჯვების შემთხვევაში რუს და ჩინელ კოლეგებთან ერთად მოაწყობს ახალ „იალტას ან ბრეტონ-ვუდსს“ (იგულისხმება იალტისა და ბრეტონ ვუდსის კონფერენციები, რომლებიც, შესაბამისად, 1945 და 1944 წელს გაიმართა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ის მონაწილეობით. ბრეტონ ვუდსის კონფერენციაში 44 ქვეყანა მონაწილეობდა — გ.გ.). რუსი ლიბერალებისთვის ასეთი შედეგი უსიტყვო დამარცხებასა და ხელისუფლების ხელში ჩაგდებაზე ოცნების დასრულებას ნიშნავს. სწორედ ამიტომ, ხაზინის თქმით, **„აფეთქების“ თარიღად ასახელებენ 2022 წელს. ხაზინმა აღნიშნა, რომ აქ დასახელებულია ბოლო თარიღი, მაგრამ დესტრუქციულად განწყობილმა ელიტებმა „აფეთქება“ შეიძლება უფრო ადრეც მოაწყონ, მაგალითად, მიმდინარე წლის შემოდგომაზე.** „ამას ხელს უწყობს ისიც, რომ „მთავრობა აქტიურად აღიზიანებს მოსახლეობას, იღებს თავიდანვე მავნე გადაწყვეტილებებს ან სახალხო მოხმარების საქონელზე ფასების მომატებით სპეციალურად აღვივებს ვნებათაღელვას იქ, სადაც შეიძლება ამის თავიდან აცილება“, — განმარტა ეკონომისტმა.



არანაკლებ მნიშვნელოვანია არჩევნები მოსკოვის საქალაქო სათათბიროში, რომელიც ივლისის დასაწყისში აინტერესებდა მხოლოდ მოსკოველთა 11 პროცენტს, მაგრამ კანდიდატების რეგისტრაციის ამბებმა ისე გაამწვავა ვითარება, რომ ქალაქში საპროტესტოდ გამოდიან ათასები და მხოლოდ ზარმაცებს არ მიუქცევია ყურადღება მომხდარისთვის.

**ოპოზიციური კანდიდატებისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმა მიხეილ ხაზინმა ორი გარემოებით ახსნა: პირველი — მოქმედ სახელმწიფო მოხელეებს ეშინიათ ძალაუფლების დაკარგვის; მეორე — „ისინი მიზანმიმართულად მაღლა სწევენ დაძაბულობის ტემპერატურას „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მომზადების მიზნით, ანუ „ხვდებიან იმ მუხლის მოქმედების არეალში, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი მასობრივი გამოსვლების მომზადებისთვის ქვეყანაში არსებული წყობილების დასამხობად“.**

მიზანმიმართული დესტრუქციული მოქმედების კიდევ ერთ მაგალითად მან დაასახელა ბრიანსკის ოლქში მომხდარი, სადაც ადრე გააუქმეს შეღავათები ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის, ახლა კი გუბერნატორმა არჩევნებიდან „მოხსნა“ ორგანიზაცია „როდინას“ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული სია. და „რისთვის იყო საჭირო სევასტოპოლში პარტიის სიის მიღებაზე უარის თქმა? — სვამს კითხვას ხაზინი და ამბობს, რომ ეს არის ადამიანების ქუჩაში გამოყვანის შეგნებული მცდელობა. ამის ახსნა სხვანაირად შეუძლებელია“.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ატლანტიკის სანაპიროს შტატები, ისეთები, როგორიც არის ნიუ-იორკი, მასაჩუსეტსი და პენსილვანია, პიკური მოხმარების პერიოდში ვერ შეძლებენ მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, თუ რუსეთისგან არ შეიძენენ თხევად ბუნებრივ აირს. მხოლოდ 2018 წელს ასეთი აუცილებლობა გაჩნდა 7-ჯერ... 26 ივლისს აირმზიდმა GASELOG HONG KONG-მა ბოსტონის თხევადი ბუნებრივი აირის ტერმინალ EVERETT-ში იამალიდან (ნახევარკუნძული დასავლეთ ციმბირში — გ. გ.) 100 მლნ კუბ.მ-ზე მეტი ბუნებრივი აირი შეიტანა. ნოემბერში კი, ზამთრის დაწყების წინ, ბოსტონში შევიდა „ნოვატეკის“ მიერ წარმოებული თხევადი ბუნებრივი აირით დატვირთული ოთხი ტანკერი.**

# რატომ არის აშშ რუსეთის ბუნებრივ აირზე დამოკიდებული

**აშშ-ის ტრანსპორტის სამინისტრომ კონსალტინგურ კომპანია Poten and Partners Inc-ს შეუკვეთა კვლევა იმის შესახებ, როგორ თქვას უარი აშშ-მა რუსულ თხევად აირზე. ქვემოთ მოცემულ მასალაში გაეცნობით პასუხს კითხვაზე — რატომ ვერ შეძლებს აშშ უახლოეს მომავალში რუსულ აირზე უარის თქმას?**






## „არასწორი“ აირი

აშშ-ის შტატები, ისეთები, როგორებიც არის ნიუ-იორკი, მასაჩუსეტსი და პენსილვანია, პიკური მოხმარების პერიოდში ვერ შეძლებენ მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, თუ რუსეთისგან არ შეიძენენ თხევად ბუნებრივ აირს. მხოლოდ 2018 წელს ასეთი აუცილებლობა 7-ჯერ გაჩნდა. იანვარში, როცა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში ანომალიური ყინვები დაიწყო, ბოსტონის პორტში ერთმანეთის მიყოლებით შევიდა რუსული თხევადი ბუნებრივი აირით დატვირთული ორი ტანკერი — Gaselys-ი და Provalys-ი, რომლებიც ფრანგული კომპანია Engie-ს ეკუთვნის.

ივლისში სიცხის გამო კონდიციონერები სახლებსა და ოფისებში სრული სიმძლავრით მუშაობდა და ამერიკელები იძულებულნი იყვნენ, სათბობის ახალი პარტია ეყიდათ ელექტროსადგურებისთვის.

**26 ივლისს აირმზიდმა Gaselog Hong Kong-მა ბოსტონის თხევადი ბუნებრივი აირის ტერმინალ Everett-ში იამალიდან (ნახევარკუნძული დასავლეთ ციმბირში — გ. გ.) 100 მლნ კუბ.მ-ზე მეტი ბუნებრივი აირი შეიტანა. ნოემბერში კი, ზამთრის დაწყების წინ, ბოსტონში შევიდა „ნოვატეკის“ მიერ წარმოებული თხევადი ბუნებრივი აირით დატვირთული ოთხი ტანკერი.**

აღსანიშნავია, რომ „ნოვატეკისა“ და ამ კომპანიის თანამფლობელის, **გენადი ტიმჩენკოს** მიმართ ამერიკელებს დაწესებული აქვთ სანქციები, ამიტომ ამჟამად გარიგება ხდება შუამავალი ფრანგული ფირმების — Engie-სა და Total-ის, მალაიზური Petronas-ისა და სხვების მეშვეობით, მაგრამ ფაქტია: **ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი შტატები სასიცოცხლოდ არიან დამოკიდებული რუსულ საწვავზე.**

გასაგებია, რომ ამერიკელებს ეს არ მოსწონთ. ვაშინგტონელი მაღალჩინოსნები გამუდმებით აშინებენ ამერიკელ საზოგადოებას ფართომასშტაბიანი ენერგეტიკული კრიზისით, თუ რუსეთი შეწყვეტს თხევადი ბუნებრივი აირის მიწოდებას. **ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის მოსახლეობა კი შეშფოთებულია რუსეთიდან მიწოდებული ბუნებრივი აირის მცირე მოცულობით, რის გამოც ელექტროსადგურებს პიკურ პერიოდში ძვირად ღირებული და არაეკოლოგიური ქვანახშირის გამოყენება უწევთ.**

ცოტა ხნის წინათ ენერგოკომპანია Exelon-მა განაცხადა 2022 წელს ბოსტონში ბუნებრივი აირის თბოელექტროსადგურის აშენების გეგმის შესახებ. თბოელექტროსადგურის სიმძლავრე 2000 მეგავატი იქნება. კომპანიამ ფრანგული Enige-სგან ტერმინალი Everett-იც კი შეიძინა, მაგრამ პროექტის რეალიზაციისთვის საჭიროა მთავარი საკითხის მოგვარება — სად უნდა აიღონ ბუნებრივი აირი.

## „ჯონსის აქტის“ მარწუხებში

**შეიქმნა აბსურდული ვითარება: მექსიკის ყურის სანაპიროზე თხევადი ბუნებრივი აირის ამერიკული პროექტები ჩაშლის პირასაა მყიდველის არარსებობის გამო, ჩრდილოეთის შტატები კი იძულებულნი არიან, თხევადი ბუნებრივი აირი საზღვარგარეთ შეიძინონ. ყველაფერი თითქმის 100 წლის წინათ მიღებული კანონის ბრალია. „ჯონსის აქტის“ თანახმად, ამერიკის პორტებს შორის ტვირთის გადაზიდვა შეუძლიათ მხოლოდ „აშშ-ში აგებულ ხომალდებს, რომლებიც ეკუთვნის ამერიკელ მესაკუთრეს და მართავს ამერიკული ეკიპაჟი“.**

**თხევადი ბუნებრივი აირის ჩატანა ლუიზიანიდან ბოსტონში ამერიკელებს მხოლოდ «ჯონსის აქტის» გაუქმების შემდეგ შეეძლებათ, მაგრამ, როგორც კატონის უნივერსიტეტის ანალიტიკოსები ამტკიცებენ, გემთმშენებელთა ლამის გააფთრებული წინააღმდეგობის გამო ამის შანსი ძალიან მცირეა. „ჯონსის აქტის“ გაუქმება დღევანდელ პირობებში გამოიწვევს იმას, რომ ამერიკული კომპანიები ბაზარს დაუთმობენ უცხოელებს**

ეს წმინდა პროტექციონისტული კანონი გემთმშენებლებს უცხოელი კონკურენტებისგან იცავდა და უზრუნველყოფდა სანაოსნო კომპანიების მონოპოლიას ტერიტორიულ წყლებში ტვირთების გადატანაზე, მაგრამ მან უკუჩვენება გამოიწვია — ამერიკული გემთმშენებლობის დეგრადაცია.

**„ჯონსის აქტის“ მიღების მომენტში იაპონია, სამხრეთი კორეა და ჩინეთი თითქმის არ აგებდნენ საზღვაო ხომალდებს, მაგრამ 2015 წელს ამ ქვეყნებზე მოდიოდა მსოფლიოს გემთმშენებლობის ბაზრის 91,4% (ტონაჟის მიხედვით), — აღნიშნულია კატონის ინსტიტუტის ცოტა ხნის წინათ ჩატარებულ კვლევაში. — აშშ-ში აგებული ოკეანის კლასის ხომალდების რაოდენობა კი 45-დან (1953 წ.) 5-მდე (2015 წ.) შემცირდა“.**

ამასთანავე, აშშ-ში გემთმშენებელთა პროფკავშირის წყალობით, რომელიც ერთ-ერთი მძლავრი და გავლენიანია ქვეყანაში, დარგში დაკავებული ადამიანების რაოდენობა თითქმის არ მცირდება. „ეს ნიშნავს, რომ შრომის ნაყოფიერება განსაკუთრებით დაბალია, რის გამოც ამერიკული გემები უცხოურზე 5-ჯერ ძვირი ღირს, — ასკვნიან კვლევის ავტორები, — ამიტომ სანაოსნო კომპანიები, მათ შორის, ამერიკული, არჩევანს აკეთებენ იაპონური, კორეული და ჩინური გემების სასარგებლოდ, რომლებიც გაცილებით მიმზიდველია ფასის, საიმედოობისა და გამოყენების ვადის მიხედვით“.

## არჩევანი არ არსებობს

აშშ-ის გემთმშენებელი დარგი სამხედრო შეკვეთების ხარჯზე არსებობს. სამოქალაქო სეგმენტში კომპანიებს არ ჰყავთ არც ერთი აირმზიდი. მათ პორტფელში არ არის არც ერთი შეკვეთა ტანკერებზე.

**თხევადი ბუნებრივი აირის ჩატანა ლუიზიანიდან ბოსტონში ამერიკელებს მხოლოდ „ჯონსის აქტის“ გაუქმების შემდეგ შეეძლებათ, მაგრამ, როგორც კატონის უნივერსიტეტის ანალიტიკოსები ამტკიცებენ, გემთმშენებელთა გააფთრებული წინააღმდეგობის გამო ამის შანსი ძალიან მცირეა. „ჯონსის აქტის“ გაუქმება დღევანდელ პირობებში გამოიწვევს იმას, რომ ამერიკული კომპანიები ბაზარს დაუთმობენ უცხოელებს.** ამ ჩიხიდან გამოსავალი უნდა იპოვონ Poten and Partners Inc-ის კონსულტანტებმა. კომპანიის მიერ მოგებული ტენდერის პირობების მიხედვით, მათ უნდა განსაზღვრონ, რამდენი ტანკერი უნდა ააგონ ქვეყანაში ბუნებრივი აირის მექსიკის ყურიდან ბოსტონში გადასატანად, ისე, რომ არ დაირღვეს „ჯონსის აქტი“.

ამერიკის გემთმშენებლობის ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ გეგმის რეალიზაციას ბევრი წელი დასჭირდება და ამ ხნის განმავლობაში აშშ-ს მოუწევს ბოსტონისთვის იმპორტული თხევადი ბუნებრივი აირის შეძენა — ესე იგი, რუსული თხევადი ბუნებრივი აირის, რადგან ფასის გათვალისწინებით „იამალ სპგ“-ს რეალური კონკურენტი არ ჰყავს.

# ამაზეა ნათქვამი: «სხვის თვალში ბეწვს ხედავს, საკუთარში — დირესაც ვერაო»

# მარია ზახაროვამ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხმა ჩააკმენდინა



**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ მკაცრად შეაფასა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „შეშფოთება“ 27 ივლისს მოსკოვში „მშვიდობიანი“ მიტინგის დარბევის თაობაზე.**

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოულოდნელად შეშფოთდა „მშვიდობიანი“ მიტინგის გამო, რომელიც მოსკოვში გაიმართა 27 ივლისს. ის ააღელვა მეთოდებმა, რომლებითაც დაშალეს მომიტინგეები. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა **მარია ზახაროვამ** ძალიან ხისტი, მკაცრი გამონათქვამებით სავსე განცხადება გამოაქვეყნა სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“. მან აღნიშნა, რომ **ლაპარაკია დიპლომატებზე საფრანგეთისა, სადაც „თითქმის ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ომი მანიფესტანტებსა და პოლიციას შორის“, — სახელდობრ, ასე აღწერენ ვითარებას თვითონ ფრანგები. რუსმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ საფრანგეთის ხელისუფლებამ გამოიყენა ფიზიკური ზემოქმედების ყველა საშუალება: რეზინის ხელკეტები, ცრემლმდენი აირი, ხმაურის გამომწვევი ყუმბარები, წყლის ჭავლის ზარბაზნები, დაჭერები და დაპატიმრებები. ზახაროვას აზრით, საფრანგეთის პოლიცია „ყვითელ ჟილეტებს“ ისე ეპყრობოდა, თითქოს ისინი უხცოელი ოკუპანტები იყვნენ.**

ამასთანავე, ზახაროვამ ფრანგ კოლეგებს შეახსენა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ნათქვამი: **„ჩვენ არ ვაპირებთ რესპუბლიკაში წესრიგის დაცვას ენის მოჩლექით“.**

ზახაროვამ ყველას შეახსენა, რომ „ადამიანის უფლებათა დასავლელ დამცველებს არანაირად და არც ერთხელ არ მოუწოდებიათ პარიზისთვის, გამოფხილებულიყო და ხელი აელო დარბევებზე. „საერთოდ, ხმა არ ამოუღიათ“, — დაასკვნა რუსმა დიპლომატმა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

კედმი დარწმუნებულია, რომ დღეს თავდაცვის დარგში რუსეთმა ბევრ ქვეყანას გადაუსწრო და უახლოეს ხანში შეიარაღების სფეროში შეიძლება მოიპოვოს სრული უპირატესობა, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში შეინარჩუნებს. ის მიიჩნევს, რომ ყველა შეიარაღება, რომლებიც დღეს რუსეთს აქვს, მაღალი დონისაა, რომლის მიღწევაც ბევრ ქვეყანას არ შეუძლია. ექსპერტმა ყველას შეახსენა ბირთვულქობინიანი უახლესი რაკეტა „ბურევესტნიკი“ და ლაზერული კომპლექსი „პერესვეტი“, რომელთა ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობს.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ამერიკელები უკვე აღარ იცინიან, მათ სასაცილოდ აღარ აქვთ»

## კედმიმ ახსნა, რატომ ეშინია ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთის

**ისრაელელმა პოლიტოლოგმა იაკობ კედმიმ შეაფასა ამერიკელი ადმირალის ფილიპ დევიდსონის განცხადება მოსკოვისა და პეკინის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. ექსპერტის აზრით, აშშ საფრთხეს რუსეთის არსებობაში ხედავს.**





აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალმა **ფილიპ დევიდსონმა** შეშფოთება გამოთქვა მოსკოვისა და პეკინის სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცებით და აღნიშნა, რომ ეს თანამშრომლობა მიმართულია მსოფლიოში არსებულ წესრიგთან დასაპირისპირებლად.

პოლიტიკისა და სამხედრო საკითხების ექსპერტმა ისრაელიდან — **იაკობ კედმიმ** განმარტა, თუ რატომ ეშინია ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთის და აღნიშნა, რომ ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსი და სამხედრო მოსამსახურე თვით რუსეთის სახელმწიფოს არსებობას განიხილავს საფრთხედ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს აშშ იძულებულია, დაეწიოს რუსეთსა და ჩინეთს სტრატეგიული შეიარაღების ძირითად სახეობებში, თანაც დასავლეთში ეს ფაქტი, უკვე კარგა ხანია, აღიარეს. ექსპერტის თქმით, რუსეთის სამხედრო უპირატესობა პირდაპირი პასუხია მათთვის, ვინც იცინოდა „მულტფილმებზე“, რომლებშიც მოსკოვი იარაღის შექმნის სფეროში თავის წარმატებებს წარმოაჩენდა. „ამერიკელები უკვე აღარ იცინიან, მათ სასაცილოდ აღარ აქვთ საქმე“, — დაასკვნა იაკობ კედმიმ.

ადრე კედმიმ აშშ-ს უწოდა „საფრთხე, რომელსაც რუსეთი უკვე გაუმკლავდა“ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე თავისი პოზიციების განმტკიცებით. ამასთანავე, კედმის აზრით, მოსკოვი მოკლე ხანში შეძლებს ამერიკის შეიარაღების დიდი ნაწილის სრულად განეიტრალებას და ამ სფეროში „აბსოლუტური სტრატეგიული უპირატესობის“ მოპოვებას.

კედმი დარწმუნებულია, რომ დღეს თავდაცვის დარგში რუსეთმა ბევრ ქვეყანას გადაუსწრო და უახლოეს ხანში შეიარაღების სფეროში შეიძლება მოიპოვოს სრული უპირატესობა, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში შეინარჩუნებს. ის მიიჩნევს, რომ ყველა შეიარაღება, რომლებიც დღეს რუსეთს აქვს, მაღალი დონისაა, რომლის მიღწევაც ბევრ ქვეყანას არ შეუძლია. ექსპერტმა ყველას შეახსენა ბირთვულქობინიანი უახლესი რაკეტა „ბურევესტნიკი“ და ლაზერული კომპლექსი „პერესვეტი“, რომელთა ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობს.

კედმის თქმით, ეს იარაღები თავდაცვითი ხასიათისაა, ხოლო ყველა დანარჩენი სისტემა სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც თავდაცვის, ისე შეტევისთვის. ეს არსენალი ქმნის „აბსოლუტურ სტრატეგიულ უპირატესობას“ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებზე. ამასთანავე, ამჟამად უკვე არსებობს წინაპირობები ახალი, უფრო სრულყოფილი იარაღის შესაქმნელად. მაგალითისთვის **პოლიტოლოგმა დაასახელა გრავიტაციული იარაღი, რომელიც რუსეთს შესაძლებლობას მისცემს, უპირატესობა ჰქონდეს მრავალი წლის განმავლობაში.**

კედმიმ აღნიშნა, რომ რუსულმა რაკეტა „ცირკონმა“ გამოცდისას იმაზე 2-ჯერ მეტი სიჩქარე განავითარა, ვიდრე გამოცხადებული იყო, ამიტომ აშშ-ის შეშფოთება სრულიად გასაგებია. თუმცა ამერიკელებს უნდა ეშინოდეთ არა მხოლოდ იმ რუსული იარაღებისა, რომლებიც ცნობილია, არამედ იმ იარაღებისაც, რომლებსაც რუსეთი საიდუმლოდ ინახავს. ექსპერტის თქმით, რუსეთს აქვს „საიდუმლო იარაღი“, რომელიც რამდენადმე უკეთესია „ცირკონზე“, თუმცა მის შესახებ საზოგადოებრიობისთვის ცნობილი არაფერია.

„ყველაფერი საუკეთესო მკაცრად არის გასაიდუმლოებული“, — აღნიშნა იაკობ კედმიმ და დასძინა, ამერიკელები ვერ აცნობიერებენ, რომ მსოფლიო ნელ-ნელა იცვლება და ამიტომ განაგრძობენ ცხოვრებას იმ მოჩვენებით სამყაროში, რომელიც, კარგა ხანია, აღარ არის...

**ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსი და სამხედრო მოსამსახურე თვით რუსეთის სახელმწიფოს არსებობას საფრთხედ განიხილავს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს აშშ იძულებულია, დაეწიოს რუსეთსა და ჩინეთს სტრატეგიული შეიარაღების ძირითად სახეობებში, თანაც დასავლეთში ეს ფაქტი, უკვე კარგა ხანია, აღიარეს. ექსპერტის თქმით, რუსეთის სამხედრო უპირატესობა პირდაპირი პასუხია მათთვის, ვინც იცინოდა «მულტფილმებზე», რომლებშიც მოსკოვი იარაღის შექმნის სფეროში თავის წარმატებებს წარმოაჩენდა. «ამერიკელები უკვე აღარ იცინიან, მათ სასაცილოდ აღარ აქვთ საქმე», — დაასკვნა იაკობ კედმიმ**

ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

# Newsweek: «უპრეცედენტო ნაბიჯი» საპასუხოდ აშშ-ის მცდელობისა, შექმნას ანტიირანული კოალიცია

**თეირანი და მოსკოვი არა მხოლოდ გააფართოვებენ სამხედრო თანამშრომლობას, არამედ ჩაატარებენ ერთობლივ სწავლებას საპასუხოდ ვაშინგტონის მცდელობისა, შექმნას ანტირუსული კოალიცია, — წერს Newsweek-ი. როგორც ირანის სამხედრო ძალების ხელმძღვანელმა ჰოსეინ ჰანზადმა განაცხადა, ეს „გარდამტეხი მომენტია“ თავდაცვის სფეროში ორი ქვეყნის ურთიერთობაში.**



ირანის სამხედრო საზღვაო ფლოტის მეთაურ **ჰოსეინ ჰანზადის** განცხადებით, ირანის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერეს უპრეცედენტო მემორანდუმს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ. ეს დოკუმენტი, ჰანზიდის თქმით, „გარდამტეხი მომენტია რუსეთ-ირანის ურთიერთობაში. მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ ირანი და თურქეთი მალე ჩაატარებენ ერთობლივ სწავლებას სპარსეთისა და ომანის ყურეებში, აგრეთვე, ორმუზის სრუტეში“.

**„ამრიგად სწავლებები ჩატარდება ზუსტად იქ, სადაც, ვაშინგტონის ბრალდებით, ირანი ბოლო თვეების განმავლობაში თითქოს თავს ესხმოდა საერთაშორისო საზღვაო ხომალდებს“,** — აღნიშნავს Newsweek-ი.

როგორც პენტაგონში განაცხადეს, „ირანის მხრიდან საფრთხის გაძლიერების საპასუხოდ“ ახლო აღმოსავლეთში უკვე გაიგზავნა დამატებითი ძალები: კერძოდ, 2,5 ათასი ჯარისკაცი, ავიამზიდი მოიერიშე ჯგუფთან ერთად და სტრატეგიული ბომბდამშენების ესკადრილია, — წერს გამოცემა.

„მეტიც, — ხაზგასმით აღნიშნავს Newsweek-ი, — აშშ და დიდი ბრიტანეთი ცდილობენ, შექმნან საზღვაო კოალიცია სპარსეთის ყურეში პატრულირებისთვის“.



# ყაზახეთში მიღწეულია შეთანხმება სირიის საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაზე

**„მათ სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდათ ზოგიერთ კანდიდატზე, მაგრამ მაინც შეთანხმდნენ სირიის საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაზე“,** — განაცხადა ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიისა და აფრიკის დეპარტამენტის დირექტორმა **მუკაშ სერიკულიმ.**

მან არ გამორიცხა, რომ პროცესის დასრულების შესახებ განაცხადებენ სექტემბერში, როდესაც გაიმართება რუსეთის, თურქეთისა და ირანის შეხვედრა უმაღლეს დონეზე.

უფრო ადრე რუსეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა: სერგეი ლავროვმა და მევლუდ ჩავუშოღლუმ განიხილეს საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და მუშაობის დაწყების საკითხი.

მოამზადა **ნიკოლოზ აბაშიძემ**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოცდაათი წელიწადია, კონსტიტუციას ჭრიან და კერავენ სახელმწიფო მოხელეები; მილიონობით ლარი იხარჯება ხელისუფლების შენახვაზე; არავინ იცის, მსოფლიოს დაწესებულებებიდან გრანტებად თუ სესხებად გამოყოფილი მილიარდობით დოლარი თუ ევრო რას და ვის ჯიბეს მოხმარდა; ყოველივე ამას და ბევრ სხვა რამეს უდრტვინველად ითმენს გაბითურებული ხალხი, რომელსაც ეკუთვნის ეს ქვეყანა. სწორი დასკვნების გამოსატანად და მომავლისკენ იმედიანი ნაბიჯების გადასადგმელად ბოლო სამ ათწლეულში დაშვებულ შეცდომებს არავინ იკვლევს და არ აანალიზებს ძირფესვიანად.**

# საქართველო — ღირსებისა და პატრიოტული სულისკვეთებისგან დაცლილი საზოგადოების საქიშპეთი

**ახალგაზრდობაში ზოგადი ფილოსოფიის კურსის ათვისებას მნიშვნელოვან დროს ვუთმობდი. ჩემგან ფილოსოფოსი არ გამოვიდა, მაგრამ ამ საგნისადმი სიყვარულმა გარკვეული თვალთახედვა ჩამომიყალიბა სამყაროს შესახებ. სამოცდათხუთმეტი წლის გავხდი ახლახან. განვლილი ცხოვრების ლაბირინთებს რომ ვაკვირდები, ხშირად უკმარისობის განცდა მეუფლება და ძალიან ვნანობ, ღვთით ბოძებული სიცოცხლე ოპტიმალურად რომ ვერ გამოვიყენე. ბავშვობაში ოცნებების მორევში ყელამდე ვიყავი ჩაფლული და მეგონა, რომ ბედნიერება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შემიფარებდა ლაჟვარდოვანი ფრთის ქვეშ.**



მახსოვს, მოსწავლეობის პერიოდში ჩვენს სკოლას დიდი პოეტი **გიორგი ლეონიძე** ეწვია. სოფლის თავკაცებმა მოსაფერებელი საღამო გაუმართეს მგოსანს მარანში სუფრასთან, ღია ცის ქვეშ. რამდენიმე სადღეგრძელოს აწკრიალების შემდეგ პოეტს მოსწავლეებმა ლექსის წაკითხვა ვთხოვეთ. მანაც არ დააყოვნა, წამოიმართა, ხავერდოვანი ბოხი ხმით, განუმეორებელი მგზნებარებით წარმოთქვა საკუთარი ლექსი „ვუმღერ სამშობლოს“:

„სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი“.

ოქროს ზარივით აგუგუნდა ნორჩ, გაუწვრთნელ გონებაში ეს ორი სტრიქონი. გოგლასეული შეგონება დღემდე ჩემში ჭიაკოკონასავით გიზგიზებს და გულისძგერას ისე ამშვენებს, როგორც გაზაფხულის დაცვარულ ცას მრავალფეროვანი ცისარტყელა. რამდენ გენიოსს, პატრიოტს, უბრალო თუ ბრალიან ადამიანს უფიქრია მამულზე და განა მარტო უფიქრია, სიცოცხლეც შეუწირავს მისთვის. ხუმრობა ხომ არ არის, საუკუნოობით მგლებივით აღრენილი ამდენი მტრის გარემოცვაში დაიცვა ქვეყანა და აუარება დაღვრილი სისხლის, ოფლის ფასად თავისი ბრწყინვალებით, ზნე-ჩვეულებებითა და თვითმყოფადობით შემოუნახო შთამომავლობას.

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დროის ღვთაებას სამი ათეული წელიწადი შემოადნა ხელზე. საკითხავია, რა ნაბიჯები გადავდგით ქართველებმა ჩვენი უძველესი ქვეყნის დასაცავად და ასაღორძინებლად; რა მოგვცა თავისუფლების გარკვეული დოზით მონიჭებამ და დიდების კიბის რომელ საფეხურზე ვიმყოფებით ამჟამად. ამ სამი ათეული წლის განმავლობაში ჩემს მეხსიერებაში ერთი მომენტიც არ ტივტივებს ისეთი, დიდებული წინაპრების სულებს რომ გაახარებდა სულიერების სასუფეველში. ოცდაათი წლის განმავლობაში შეცდომას შეცდომაზე ვუშვებთ.** ქვეყანა დღემდე ვერ დაგვიცავს უზარმაზარი იმპერიის ნგრევით გამოწვეული მტვერ-ღორღისგან. იმ რესპუბლიკებს შორის, რომლებიც ამაოების წნეხში მოჰყვნენ, ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით და ულიმღამოდ ვაგრძელებთ ჩანჩალს ჯერ კიდევ შეუცნობელი, ურიცხვი ფათერაკებით შენიღბული მომავლისკენ. ქვეყნის ასაღორძინებლად ოცდაათი წელიწადი ცოტაა, — იტყვის მავანი, მაგრამ ნათლად ჩანს ამდენი ტყუილით, სიბრიყვით, ფარისევლობით, უზნეობითა და თავკერძობით, ძირითადად, ჩვენვე რომ მივიყვანეთ ქვეყანა აქამდე. **გაქსუებული მედროვეების გაუთავებელმა კინკლაობამ და ქიშპობამ ოცდაათი წელიწადი უხამსობის ქარს გაატანა. ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის საჭესთან პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები რომ ყოფილიყვნენ, განვითარების სულ სხვა საფეხურზე ვიქნებოდით. პენსიონერებსა და ხანდაზმულებს, ღირსეული, ტკბილი სიბერე თუ არა, ნორმალური ყოფა მაინც ექნებოდათ, მოსახლეობის მესამედი უცხოეთში არ გადაიხვეწებოდა და ახალი თაობაც საკუთარ მიწა-წყალზე ზრუნვით დაკავდებოდა.** ოცდაათი წლის განმავლობაში ბოროტი ერთეულების მიერ გაიყიდა ყველაფერი, რაც არ იყო გასაყიდი. მთლიანად ჩამოიშალა კომუნისტების მიერ ასე თუ ისე შეკოწიწებული ეკონომიკა. **თითქმის ამოიძირკვა სამეცნიერო დაწესებულებები, რომელთა შენობები ჩალის ფასად გაყიდეს ვითომ ბიზნესმენებზე. ველურმა კაპიტალიზმმა დედა უტირა ისედაც ღდინგაცლილ საქართველოს. ფილოსოფიაში არსებობს ერთი ბევრისმომცველი ტერმინი „მემკვიდრეობითობა“. საბჭოთა სისტემის ნგრევის ცუნამიში მოჰყვა ბელარუსიც, მაგრამ ქვეყანამ ძველი ცხოვრებიდან სწორი დასკვნები გამოიტანა და სასარგებლო დაწესებულებები შეინარჩუნა შემდგომი მოდერნიზაციისთვის.**

რა გზას დავადექით ჩვენ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში? ქვეყნის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბაზრები, მაღაზიები თუ მარკეტები გადავჭედეთ დაბალხარისხიანი საქონლით — დაწყებული ტექნიკით დამთავრებული საკვებით და დავასამარეთ სამამულო ნაწარმის ნაწარმოება. **მილიარდობით თანხით, რომელიც ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას უნდა მოხმარებოდა, სხვა ქვეყნები გავამდიდრეთ და ამჟამად ტურიზმის ამარა გვინდა, სამშობლო სიღარიბის ჭაობიდან ვიხსნათ.** ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა უთუოდ ხელსაყრელია, მაგრამ მხოლოდ ამით შორს ვერ წავალთ. ძალადობაზე დამყარებულმა უსისტემო ძვრებმა ძირფესვიანად მოსპო წარსულის მარწუხებით გულშეხუთული ეკონომიკა. გაურკვევლობის ტალღებში მარცხით გაჟღენთილი ნაფოტივით ატივტივ-ატორტმანდა მამული. საქართველოში ყველა ბუნებრივი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ **სოფლის მეურნეობა** ქვეყნის უმთავრეს დარგად იქცეს. ამ სფეროს აღორძინებისთვის თავიდანვე რომ მიგვექცია სათანადო ყურადღება, ახლა განვითარების სულ სხვა ეტაპზე ვიქნებოდით და ხალხი, რომელიც ახალი ცხოვრებიდან შვებას ელოდა, ასე ფრთებმოკვეთილი, უზნეობის ზღვარზე მიჭირხნილი და წელმოკუნტული არ იქნებოდა. დამოუკიდებელ, სამართლებრივ სახელმწიფოზე ფიქრი ოცნებაა, როცა დიდი თუ პატარა ქალაქების ნაგვის ურნებში ასობით ადამიანია თავჩაყოფილი. „თუ ჩვენთან შრომის სუფევა დამყარდება, კრიზისი აუცილებლად უკან დაიხევს“, — ამბობდა **ილია.** ეს აზრი საუკუნეების გამოცდილებით დადასტურებული აქსიომაა. **პროდუქციის სიუხვეა ის უმთავრესი ატრიბუტი, რომელზეც პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ადგილი მსოფლიოს ცივილიზაციაში. როგორ მოვექეცით ქვეყნის მთავარ ფასეულობას — მიწას? ავდექით და უცხოელებზე დავიწყეთ მისი გაყიდვა. ეს პროცესი დღემდე გრძელდება. ვერ ვისწავლეთ სავარგული ფართობების გამოყენება მიზნობრივად. მომრავლდა გადამწვარი და ეროზიისგან დაზიანებული ნაკვეთები და ა.შ. სოფლის მეურნეობის აღორძინება წარმოუდგენელია მექანიზაციის გარეშე. იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღების ნაწილი საქართველოს თვითონვე ეწარმოებინა, 1949 წელს სტალინის მითითებით თბილისში პირველი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო შეიქმნა. ამ მხრივ დღეს საქართველოში ყველაფერი ჩამკვდარია.**

დაინგრა საბჭოთა კავშირი. თითქოს საშუალება მოგვეცა, თვითონვე მიგვეხედა მამულისთვის. ჩვენ ქვეყნის მართვის სისტემა ისეთი დავტოვეთ, როგორიც ადრე იყო. მერე **გამსახურდიას** ერთი წელიც არ ვაცადეთ პრეზიდენტობა და ძალის გამოყენებით უარვყავით მოსახლეობის ამომრჩევლების ოთხმოცდაათი პროცენტით მხარდაჭერილი პატრიოტი მოღვაწე. ეს უტიფარი, ამაზრზენი, საბედისწერო ქცევა ახლაც აქეზებს შინაურ ურაპატრიოტებს, ყველა ხერხი გამოიყენონ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. იმხანად მოსახლეობა გონზე რომ მოსულიყო და ხელისუფლებაზე ძალადობის ფაქტი დაუყონებლივ დაეგმო, შეცდომების ჯაჭვი ასე არ გაგრძელდებოდა. **კიტოვანის, იოსელიანის, სიგუას, შევარდნაძის, სააკაშვილისა და ივანიშვილის** პოლიტიკურ არენაზე გამოჩენამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ერთ დროს ლომის თვალებით მომზირალი ქვეყანა, დაუნდობელ მტერთა გარემოცვაში გახვეული, უძველეს მხარეში დაფეთებულ-დაჭრილი არწივივითაა კუთხეში მიყუჟული. დაუსჯელობის სინდრომმა ფურჩქვნა განაგრძო და დღემდე უწყობს ხელს თავისუფლების მინდორზე ამბროზიის მომრავლებას. ახლა დღესავით ნათელია, რომ **ოცდაათი წელიწადი ქართველებმა ვერ გამოვიყენეთ ყაირათიანად.** ამდენ ჭიდილ-ქიშპობაში დაუძლურდა ხელ-ფეხგაშეშებული, დამბლადაცემული საქართველო, რომელიც, პატრიოტულ-ეროვნული ენერგიისგან უკიდურესად დაცლილი, კუს ნაბიჯებით მიეხეტება ყოფიერების შარაზე, სადაც ჭასავით ღრმა სატყუარაბალახგადაფარებული ორმოებია ამოთხრილი, ხოლო მათ ქვემოთ ჯოჯოხეთური ქვესკნელია. ოცდაათმა წელიწადმა ადამიანებში დანერგა ნიჰილიზმი, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ გადახვეწა და გადამთიელებს გზა გაუხსნა ამ ღვთაებრივი ედემის დასაპატრონებლად.

აფსუს, **ივანე ჯავახიშვილო,** როგორ ოცნებობდი ოცმილიონიან საქართველოზე ძველ საზღვრებში... როგორ აკლია თქვენისთანა თავგამოდებული მამულიშვილები საქართველოს. რა ვქნა, დღევანდელ ქართველებს (რომელთა შორის ძალიან ბევრია უჟმური ხასიათის ადამიანი) ქვეყნის სადავეები რომ უკავიათ, სხვისი სალი აზრი საერთოდ არ აინტერესებთ და მხოლოდ თქვენთან ჩურჩულით თუ მომეშვება დარდი გულს. **მე და ჩემნაირ ადამიანებს ამ ურაპატრიოტებმა ცხოვრების მესამედი წაგვართვეს თავისი ავყიობით, ტაკიმასხარაობით, ავადმყოფური ძიძგილაობითა და მრავალთა უიღბლობა-წვალება მრუდე ნაბიჯებით გაწაფულ ფეხებზე დაიკიდეს.**

ოცდაათი წლის განმავლობაში ერთი სახალხო-სახელმწიფოებრივი და ისტორიული მნიშვნელობის საკითხი არ გადაწყვეტილა, რომელიც ქვეყნის განვითარების ბორბალს წალმა შემოატრიალებდა. საზღვრების უკონტროლობა კვლავ დიდ დაღს ასვამს ქვეყანას; თითქმის ხელიდანაა გაშვებული აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნების ძაფი, რომელიც აგერ-აგერ გაწყდება, სასწაული თუ არ მოხდა; შეუმუშავებელია ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მეცნიერულად განჭვრეტილი გეგმა; უკიდურესად არასაიმედოა დემოგრაფიული პერსპექტივა; ქართველი ხალხის კვნესა-ვაების ფონზე, გალაკტიონის არ იყოს, „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრია-

**პროდუქციის სიუხვეა ის უმთავრესი ატრიბუტი, რომელზეც პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში. როგორ მოვექეცით ქვეყნის მთავარ ფასეულობას — მიწას? ავდექით და უცხოელებზე დავიწყეთ მისი გაყიდვა. ეს პროცესი დღემდე გრძელდება. ვერ ვისწავლეთ სავარგულების გამოყენება მიზნობრივად. მომრავლდა გადამწვარი და ეროზიისგან დაზიანებული ნაკვეთები და ა.შ. სოფლის მეურნეობის აღორძინება წარმოუდგენელია მექანიზაციის გარეშე. იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღების ნაწილი საქართველოს თვითონვე ეწარმოებინა, 1949 წელს სტალინის მითითებით თბილისში პირველი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო შეიქმნა. ამ მხრივ დღეს საქართველოში ყველაფერი ჩამკვდარია**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პროპორციული არჩევნები პარტიებს საშუალებას მისცემს, თავიანთი წარმომადგენლებით შეავსონ პარლამენტი, რომელშიც 101-ზე მეტი დეპუტატი არ არის საჭირო. წელიწადში ერთ სასარგებლო წინადადებას რომ ვერ დადებს კანონიერების პინაზე, ისეთ დეპუტატს რა უნდა პარლამენტში. არ გრცხვენიათ, ამხელა ხელფასს რომ იღებთ, ათასგვარი პრივილეგიით რომ სარგებლობთ და თავი ისე მოგაქვთ, თითქოს ააყვავეთ ქვეყანა „სანიმუშო“ მსახურებით? ვერ ხედავთ, დოლარისგან გაუპატიურებული 200-ლარიანი პენსიით რა სიდუხჭირეში ცხოვრობს 600 000-ზე მეტი პენსიონერი? ვერ ხედავთ, როგორ უჭირთ ცხოვრება უშემოსავლო და მიზერულ ხელფასიან ოჯახებს?**

**მული“, ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც ქვეყნიდან წარბშეუხრელად გარბიან საზღვარგარეთ; დღემდე მიამიტურად ვიჯერებთ უცხოეთიდან წამოსულ ფუტურო დაპირებებს; აგვისტოს ომმა კინაღამ თბილისიც დაგვაკარგვინა; ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა რუსეთთან ურთიერთობის გასარკვევად და მოსაგვარებლად; „რუსეთი ოკუპანტია“-ს ძახილით გულს ვიოხებთ და აღარ გვახსოვს რუსთაველის შეგონება: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.**

ოცდაათი წელიწადია, კონსტიტუციას ჭრიან და კერავენ სახელმწიფო მოხელეები; მილიონობით ლარი იხარჯება ხელისუფლების შენახვაზე; არავინ იცის, მსოფლიოს დაწესებულებებიდან გრანტებად თუ სესხებად გამოყოფილი მილიარდობით დოლარი თუ ევრო რას და ვის ჯიბეს მოხმარდა; ყოველივე ამას და ბევრ სხვა რამეს უდრტვინველად ითმენს გაბითურებული ხალხი, რომელსაც ეკუთვნის ეს ქვეყანა. სწორი დასკვნების გამოსატანად და მომავლისკენ იმედიანი ნაბიჯების გადასადგმელად ბოლო სამ ათწლეულში დაშვებულ შეცდომებს არავინ იკვლევს და არ აანალიზებს ძირფესვიანად.

მალე კარს მოგვადგება **არჩევნები.** თუ რაღაც მზაკვრობა არ მოხდა, ბუნებრივი ბარიერით პროპორციული არჩევნები პარტიებს საშუალებას მისცემს, თავიანთი წარმომადგენლებით შეავსონ **პარლამენტი, სადაც 101-ზე მეტი დეპუტატი არ არის საჭირო. წელიწადში ერთ სასარგებლო წინადადებას რომ ვერ დადებს კანონიერების პინაზე, ისეთ დეპუტატს რა უნდა პარლამენტში? არ გრცხვენიათ, ამხელა ხელფასს რომ იღებთ, ათასგვარი პრივილეგიით რომ სარგებლობთ და თავი ისე მოგაქვთ, თითქოს ააყვავეთ ქვეყანა „სანიმუშო“ მსახურებით? ვერ ხედავთ, დოლარისგან გაუპატიურებული 200-ლარიანი პენსიით რა სიდუხჭირეში ცხოვრობს 600 000-ზე მეტი პენსიონერი? ვერ ხედავთ, როგორ უჭირთ ცხოვრება უშემოსავლო და მიზერულ ხელფასიან ოჯახებს?** ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი: მოდი დავაწესოთ ასეთი კანონზომიერება: პენსიასა და საარსებო მინიმუმზე მივაბათ თქვენი ხელფასი. ადამიანები ხომ ხართ, იკმარეთ პენსიაზე, ვთქვათ, ათჯერ მეტი გასამრჯელო არსებობისთვის. განა ეს უფრო სამართლიანი და დემოკრატიული არ იქნება? გინდათ, მოგემატოთ ხელფასი? მაშინ იმუშავეთ საზრიანად, მიიღეთ ნაღდი, ჭეშმარიტად მოქმედი და ეფექტური კანონები, რომლებიც ააღორძინებს ქვეყნის ეკონომიკას და პროპორციულად (ეს სიტყვა ძალიან ბევრს მოგწონთ) მოგემატებათ ხელფასი დადგენილი კოეფიციენტის შესაბამისად.

ჯერჯერობით არავინ იცის, რას მოუტანს საქართველოს 2020 წლის არჩევნები. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული პარტიების თავმჯდომარეების პატიოსნებაზე. ხომ შეიძლება მათ თავისი პროპორციულ-პარტიული სია ნეპოტიზმით, ძმაბიჭობით, დაქალობით, ანგარებით შეადგინონ? დიახ, ეს შესაძლებელია, რადგან მათ მიერ წარმოდგენილი სიის ავკარგიანობის შემმოწმებელი დღეს არავინაა. აქედანვე მეპარება ეჭვი 2020 წელს არჩეული ჭრელი პარლამენტის ეფექტიან მუშაობაში. მით უმეტეს მაშინ, თუ პარლამენტში პარტიიდან პარტიაში კერგურუსავით მხტუნავი და ჭრიჭინობელა ადამიანები მოხვდებიან, რომლებიც დეპუტატობისგან მინიჭებულ სიამტკბილობას, წლებია, ვერ თმობენ და საკუთარ თავს (გარემოცვას) უფრო ემსახურებიან, ვიდრე ხალხს. **ნეტავ თუ მოვესწრები იმ დროს, როცა ამ ქვეყანაში პარლამენტარობა დასაფასებელ, ღირსეულ, საპატიო, საპასუხისმგებლო საქმედ ჩაითვლება და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ერთი უცხო ადამიანის შემთხვევით ან გამიზნულად გამოჩენას ქვეყანა არ გადაჰყვება? როგორც ბევრი ფიქრობს, არჩევნებზე ხმის მიცემის პროცესი, უმჯობესია, კომპიუტერიზაციის მეთოდით წარიმართოს, ამის გაკეთება რობოტების ეპოქაში რთული არ უნდა იყოს.**

არ მინდა, გვერდი ავუარო „რუსთავი 2“-ის გახმაურებულ საქმეს. ნებისმიერი ტელეარხი და მასში მომუშავე ჟურნალისტი მაშინაა დასაფასებელი, როცა იგი ღირსეულად და მიუკერძოებლად ემსახურება ჭეშმარიტებას. „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ახალ დირექტორთან შეხვედრისას თქვა: ჩვენ წლების განმავლობაში ვებრძვით ივანიშვილის ხელისუფლებას და, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელმძღვანელად, ეს ბრძოლა ძველებურად გაგრძელდებაო. **ნამდვილი ჟურნალისტი თუ ხარ, ემსახურე სამართლიანობას, დასაგმობი დაგმე, კარგი საქმე შეაქე, რაღაც მრწამსის ამოჩემების გარეშე და არავინ დაგწამებს მიკერძოებას. არც ისე შორეულ წარსულში კომუნისტებსაც ჰქონდათ კარგი გადაცემები და მათ ხალხი უსმენდა. დღევანდელ ტელეარხებში ისეთ შოუებს მართავენ, გამართლებას ვერ მოუძებნი. ხანდახან ეჭვი მეპარება, ნუთუ ესენი არიან ილიას, ვაჟას, აკაკის, ექვთიმეს და სხვათა შთამომავალნი?** ერთ ცნობილ „ტელევარსკვლავს“ მეორე „ტელევარსკვლავი“ ერთ-ერთ შოუში ეკითხება: ყმაწვილქალობაში ყველაზე უჩვეულო ადგილას სექსი სად გქონდაო? — ჩემს პარტნიორს მსუბუქი ავტომანქანა ჰყავდა, რომელსაც ზემოდან დიდი საბარგული ამშვენებდა. ტყის სიმყუდროვეში შევედით და ამ საბარგულზე მოვესიყვარულეთ ერთმანეთსო, — იყო პასუხი. სხვადასხვა შოუში სექსზე ისე საუბრობენ, თითქოს ქვეყანაში მეტი საქმე არ აქვთ ადამიანებს. ესაა სიტყვის თავისუფლება? შეიკრიბებიან სტუდიაში რაიმე თემის გასაშლელად, განსასჯელად და ბოლოს სმა-ჭამა-ღრეობით ამთავრებენ გადაცემას. კარგი, რა! გეყოთ ამდენი ფარისევლობა. **თუ მართლა „მაგრები“ და პატრიოტები ხართ, გააკეთეთ გადაცემები ღირსებაზე, სამშობლოს ერთგულებაზე, ეკონომიკის აღორძინებაზე, დემოგრაფიულ საკითხებზე, ღირსეულ, მისაბაძ ადამიანებზე; იმედისმომცემ ახალგაზრდებზე; საქართველოს საკეთილდღეოდ მოღვაწე ემიგრანტებზე; საქართველოზე შეყვარებულ უცხოელებზე... ქვეყანაში საჭირბოროტო თემებს რა გამოლევს, მაგრამ ასეთ გადაცემებს ნება, ხალასი გული, დიდი ენერგია და ნიჭი სჭირდება.**

**შევდუღაბდეთ, როგორც უნიკალურ ერს შეეფერება; მოვუსმინოთ გენის ყივილს; ვიზრუნოთ უცხოეთიდან ჩვენებურების დაბრუნებაზე; გავასახლკარიანოთ აუთვისებელი სავარგულ-ფართობები; ხელი შევუწყოთ მოსახლეობის რაოდენობრივ მატებას და ჩვენისთანა ბედნიერი ერი დედამიწის ზურგზე მართლა არ იქნება. ახლა მაინც დავუდგეთ მხარში ერთმანეთს ქართული სისხლის გადასარჩენად, თორემ მრისხანებით თვალებდაბერილი ძალები, ზომიერების საზღვარს თუ გადააბიჯეს, მსხვერპლმოყვარულნი ჭიაყელასავით გადაგვყლაპავენ და, მოუსავლეთის ხახაში ჩავარდნილებს, თვით ღვთისმშობელი მარიამიც ვერ გვიშველის**



ჩემი ცხოვრების გარკვეული პერიოდი მეცნიერების სამსახურს შევალიე. ვარ რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი. მიზნად დავისახე საქრთველოზე გამოიცეს წიგნი, სახელწოდებით „საქართველო — ისტორიულ ქარტეხილებს გადარჩენილი უძველესი ქვეყანა“. მასში გამახვილებული იქნება ყურადღება რელიგიაზე; ქართული ენის ისტორიაზე; უნიკალურ, რჩეულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე; ქართულ მითოსზე, ლეგენდებზე; ქვეყნის ძირითად მუზეუმებზე; გვირგვინოსან მეფეებზე; ქართული მხატვრულსიტყვიერების ბუმბერაზ წარმომადგენლებზე; საქართველოს საოცრებებზე; ყველა დროის სხვადასხვა პროფესიის გამოჩენილ ადამიანებზე; საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე; სტუმართმოყვარეობაზე; კულინარიის საგანძურზე; საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტებზე და ა.შ. ამდენი ინფორმაციის შემცველი ტექსტი ტევად-ლაკონური ენით განთავსდება A4 ფორმატის, სავარაუდოდ, 370-გვერდიან წიგნში. ასეთი ნაშრომი ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ გამოცემულა და მას ანალოგი არ გააჩნია. ეს იქნება პირველი მცდელობა, როცა ტურისტებს, ქვეყნის საპატიო სტუმრებს, საქართველოში მოღვაწე უცხოელებს, მოსახლეობის ყველა ფენას საშუალება მიეცემა, ერთი წიგნის მეშვეობით გაეცნონ ჩვენს ქვეყანას, რომელიც უნიკალურ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავია და მნახველებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სამუდამოდ ტოვებს. წიგნის გამოცემაში სხვადასხვა პროფესიის ცნობილი მოღვაწეები მონაწილეობენ. დიდ წამოწყებას დიდი მხარდაჭერა სჭირდება. **ამ მიზნით არაერთ სახლმწიფო თუ კერძო ორგანიზაციას, სათვისტომოს, საელჩოს, წარმატებულ ბანკს მივმართე, მაგრამ არც ერთმა ჯერჯერობით თანადგომის შესახებ თხოვნა გულთან არ მიიტანა და ამ საშვილიშვილო საქმის განსახორციელებლად ერთი ლარიც არ გაიმეტა, მაშინ, როცა მათი ბიზნესი და საქმიანობა სწორედ იმ ქვეყანაში წარმოიშვა, განვითარდა და წარმატებული გახდა, რომელსაც ეს წიგნი ეძღვნება. დასანანია, რომ ამ იდეის განუხორციელებლობის შემთხვევაში შთამომავლობა გარკვეულწილად დაკარგავს შანსს, უკეთ შეიცნოს და დააფასოს დედასამშობლო.**



ისევ ქვეყნის მართვის პრობლემებსა და ეკონომიკის აღორძინების საკითხებს დავუბრუნდები. დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის კანონი გვასწავლის, რომ ხელისუფლება არ არსებობს ოპოზიციის გარეშე. როცა მოპირდაპირე მხარეები კამათის კულტურას ფლობენ, ყველა საკითხზე ოპტიმუმის არეგავლილი გადაწყვეტილება, უმეტესწილად, მიზანს აღწევს. მწვერვალამდე ჯვრის ატანაა ძნელი, თორემ გაუწონასწორებელი სხეულის თვითნებურად დაღმასვლა არავითარ ძალისხმევას არ საჭიროებს. ქვეყნისთვის ამ საბედისწერო ეპოქაში მომაკვდინებელია ურთიერთძიძგილაობა-ქიშპობა. მოჩვენებით კოაბიტაციას ზიანი უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე სიკეთე. **შევდუღაბდეთ, როგორც უნიკალურ ერს შეეფერება; მოვუსმინოთ გენის ყივილს; ვიზრუნოთ უცხოეთიდან ჩვენებურების დაბრუნებაზე; გავასახლკარიანოთ აუთვისებელი სავარგულ-ფართობები; ხელი შევუწყოთ მოსახლეობის რაოდენობრივ მატებას და ჩვენისთანა ბედნიერი ერი დედამიწის ზურგზე მართლა არ იქნება. ახლა მაინც დავუდგეთ მხარში ერთმანეთს ქართული სისხლის გადასარჩენად, თორემ მრისხანებით თვალებდაბერილმა ძალებმა ზომიერების საზღვარს თუ გადააბიჯეს, მსხვერპლმოყვარულნი ჭიაყელასავით გადაგვყლაპავენ და მოუსავლეთის ხახაში ჩავარდნილებს თვით ღვთისმშობელი მარიამიც ვერ გვიშველის.**

სამწუხაროდ, დღეს საქართველო ღირსებისა და პატრიოტული სულისკვეთებისგან დაცლილი საზოგადოების საქიშპეთია. მინდა ვცდებოდე და ეს წარმოდგენა აზვირთებული ზღვის ტალღების ქაფივით გაქრეს სამუდამოდ აზროვნებიდან.

**ელგუჯა კეკელიძე,**
მეცნიერი

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს... რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთის დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას?“

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

**ყველა წარუმატებლობა, რომლებიც 1992 წლის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ იწვნია, ძირითადად, სწორედ ერის ერთობის დარღვევამ განაპირობა. შორეულ წარსულშიც უამრავი მაგალითის მოძებნა შეიძლება ამ ჭეშმარიტების დასადასტურებლად. წმ. ილია მართალი, ეცნობოდა რა საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ მოვლენებს, ასე აფასებს ქართველთა ერთობის დარღვევას: „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ განაწილდა. შედეგად არა მხოლოდ სამეფოს, არამედ საზოგადოების ერთობაც დაირღვა და თითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულშემატკივრობაზე გული აგვიცრუა. იმ დღის აქეთ გაითხარა ჩვენი ბედნიერების სამარე, იქედან მოყოლებული, ყოველდღე ხელიდან თითო რასმე სიკეთეს გვაცლიდა. ეს საზარელი უბედურება, რომელიც სულ უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და თავიდან ფეხებამდე გვხრწნიდა, ჩვენმა მამა-პაპებმა მაშინვე იგრძნეს და მათგან უკეთესებმა ქვეყნის გაერთიანების საქმეს თავიც შეაკლეს“.**

**1990 წელს საქართველოს ისტორიაში პირველად გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები და ერის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს იყო ერთსულოვნების დიდი გამარჯვება და ერის მეორედ დაბადება, ჩვენ გავიმარჯვეთ ერთობის ძალით, ეს თითქმის ყველამ კარგად გავიაზრეთ, მაგრამ მტერმაც ხომ გაიგო ეს?! ამიტომ იმ დღიდან დაიწყო ბრძოლა ქართველთა გათითოკაცებისთვის და დღესაც საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს ეს პროცესი... ფაქტია, რომ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და ვერ შევქმნით მილიონიან არმიას, ვერასდროს შევიძენთ წარმოუდგენლად ძლიერ შეიარაღებას, ჩვენი ძალა მხოლოდ ერთობაშია. ამიტომ აშინებს ქართველთა ერთობა მტერს. ღმერთმა ქნას, რომ, როგორც ილია ამბობდა, „ერთობის მღაღადებელთ არ გაუცუდოთ ღაღადება და მოვიმკათ ის, რაც ჩვენს სახელოვან მამულიშვილებს უანგარო ღვაწლით წინა წლებში დაუთესიათ“.**

**წინა კაცი უკანას ხიდიაო. დღეს ახალგაზრდა თაობაა სწორედ ის ძალა, რომელიც ქვეყანას, ქართველობას მხსნელად უნდა მოევლინოს, ისევე, როგორც ილია და მისი თანამებრძოლები თავის დროზე, რომელთაც სწამდათ, რომ „...ბრძოლაში სწორე ლარი მარტო ამისთანა კაცებს გააქვთ, როცა ერთად, კრებულად მოქმედობენ და არა დაქსაქსულად ცალ-ცალკე“.**

**„დრო, კეთილ-გონიერება და თითონ ახალი თაობა თავის უტყუარს განაჩენს თავის დროზედ იტყვისო“, — ასე სწამდა ილია მართალს და არც თუ უსაფუძვლოდ. იმედია, ეს „თავის დროზედ“ ჩვენთვისაც მალე დადგება და ერთხელ და სამუდამოდ მივხვდებით, რომ ძალა არც ევროპაშია და არც ამერიკაში... ძალა ერთობაშია!**

# ძალა არც ევროპაშია და არც ამერიკაში... ძალა ერთობაშია!

## «იქ «მე» უღონოა, საცა «ჩვენ» გაცუდებულია, უარყოფილია, გალახულია»



* „ისტორიაო, — ამბობს ერთი მწერალი, — ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან, ღონემიხდილობასთან, მაშასადამე ყოველგვარ შევიწროებასთან, რომელსაც ადამიანი პირისპირ შეემთხვევა ხოლმე, როცა ისტორიის ასპარეზზედ გამოდისო. ერთს ბიჯსაც წინ ვერ წავდგამთ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკე გავიწიეთო, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთო“. თუ ესეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? **ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოიფხვრას, ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთის დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას?“**

(„ცხოვრება და კანონი“. 1877-1881 წ.).

* „ამიტომაც დიდად სცოდვენ ქვეყანასა და ხალხსაც, ნამეტნავად ჩვენში, — ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა, განხეთქილება უნდა იყვესო წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო. განა ევროპა ცოტა დროსა და ღონესა ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის, რომ ეგ განხეთქილება მოსპოს?

მაშ, საცა ეგ არ არის, რად გვინდა რომ იყოს? **ეგ იმას ეგვანება, რომ კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ჰქონდეს სთქვას: სახლს დაგვა უნდაო. რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან რა სასარგებლოა? მაგრამ რა? ტვინთხელობა, რომელიც საკუთარ ტვინს მოკლებული, სხვისით სცხოვრობს და მარტო ბაძით სულდგმულობს, ამ შემთხვევაში, წინათვე ვიცით, კედელი იქნება და, რამდენიც გინდათ, ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს“** *(„ცხოვრება და კანონი“. 1877-1881 წ.).*

* „კაცთა საზოგადოება თავისის სიმკვიდრისა, შეურყევლობისა და არსებობისათვის ყოველ ცალკე ადამიანისაგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელითღაა კაცთა კრებულად ცხოვრებისათვის. იგი გვეუბნება, თუ ერთმანეთობა გინდა, თუ კრებულად ყოფნა გსურს, ამადა-ამაზედ ნაკლები სიმართლე არ იქონიო. ამადა-ამაზედ ნაკლებ გულმოდგინედ და ერთგულად არ მოეკიდო შენს მოვალეობას, ამაზედ ნაკლები თანაგრძნობა, თანაზიარობა ერთმანეთობაში არ დაიზარო, ამადა-ამაზედ ნაკლები საყოველთაო ტვირთი არა ჰზიდო... **ამ სახით კაცთა საზოგადოება, მოქალაქური ურთიერთობა და ყოფა-ცხოვრება ჰკმარობს მარტო მინიმუმ-ს სათნოებისას“** *(„დიმიტრი ყიფიანი“. 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

* „ამ მინიმუმ-ზედ, ამ ხაზზედ დგომა ყველასათვის სავალდებულოა. ხოლო შესაძლოა ადამიანი ამ ხაზს ძირსაც დასცილდეს და ზე ასცილდეს კიდეც. დამცილებელი სცოდავს საზოგადოებას და ისჯება საზოგადოებისაგანვე, რადგანაც ამ შემთხვევაში დაცილება დანაშაულობაა. ამიტომაც არ-დაცილებას ითხოვს კაცისაგან საზოგადოება, ვითარცა მოვალეობას, და ზეაცილებას კი თვითოეულის ნებაზედ სტოვებს. იმიტომ, რომ ყოველს კაცს სრული ნება აქვს, და შეუბღალველი ნებაც, ეს მინიმუმ-ი სათნოებისა იქონიოს და არა მეტი. ამ ხაზზედ ზე-აცილება, ესე იგი ამ ნაკლების სათნოების წარმატება, განდიდება, გაძლიერება, მოვალეობა აღარ არის კაცისა: იგი ღვაწლია, გადამეტებული სამსახურია, მსხვერპლია, გმირობაა“ *(„დიმიტრი ყიფიანი“. 1887 წ. 30 ოქტომბერი).*

* „იმოდენად უნდა ერთად მოვგროვდეთ ღონით თუ ფულით, რამოდენათაც თვითეული ცალკე საქმე რომელისამე წარმოებისა იკმარებს გასამარჯვებლად“

(„ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა“. 1897 წ. 20 დეკემბერი).

* „თუ დღეს ცოტანი ბევრსა გვძლევენ და გვჩაგრავენ, ეგ იმიტომ მოგვდის, რომ ცალ-ცალკე მოგვიხელებენ ხოლმე და ცალკე კაცისათვის ჭიდილი ფულთან, თუნდ ჩარჩული ფულიც იყოს, ძნელია. აბა ჩარჩს ყველგან, საითაც კი ხელს გაიწვდის, წინ კარგად შეკრული ამხანაგობა, ან სხვა რამე კრებული დავახვედროთ, ერთობით გაღონიერებული, და მაშინ იქნება ღმერთმა ჩვენკენაც მოიხედოს“ *(„ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა“. 1897 წ. 20 დეკემბერი).*

* „დიდი ხანია და კარგა დიდი ხანიც მას აქეთ, რაც ჩვენში გაიღვიძა ნაყოფიერმა სურვილმა, რომ ეგ შეერთებული შეძლება და ძალ-ღონე საფუძვლად დაედოს სხვათა შორის ღვინის საქმესაც ჩვენში, კისრად იდვას იგი საზოგადოებამ და საზოგადოებურის ძალით დაადგეს ჯეროვანს ფეხად და გაიმართოს სამოქმედოდ. ამ აზრმა იარა, იარა და დღეს ისე მომწიფდა, რომ ლამის განხორციელებას. მაგრამ როგორ და რა გზით?“ *(„ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი“. 1892 წ. 11 ნოემბერი).*

* „ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენნი წინაპარნი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი, ჩვენნი მამულიშვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღწვოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს...

აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულის ძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ **ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი სასოება“.** *(„სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს, 1895 წელს“).*

* „დასთა ბრძოლაში სწორე ლარი მარტო ამისთანა კაცებს გააქვთ, როცა ერთად, კრებულად მოქმედობენ და არა დაქსაქსულად ცალ-ცალკე“ *(„ქუთაისის ბანკის შესახებ“. 1893 წ. 3 დეკემბერი).*

* „ყოველი გულშემატკივარი კაცი ჩვენის საზოგადო საქმისათვის უუწმინდაეს ვალიდ უნდა ჰრაცხდეს ამისთანა გულწრფელ და პირუთვნელ მართლის მოყვარე კაცთან შეადგინოს კრებული და მას მოაპოვებინოს ადგილი საზოგადო საქმის სარბიელზე. აქ ძალა, ხერხი და სხვადასხვა ოინები მანძილს ვერ გაივლის. აქ უნდა მტკიცე რწმენა მართლისა მოქმედობდეს, რადგანაც მარტო მართალია შემკვრელი და გამამტკიცებელი ამგვარ კაცთა კრებულისა. ამათ წინ ჩხავანა მომხრე დასისა ვერას იქმს, ფონს ვერ გავა“ *(„ქუთაისის ბანკის შესახებ“. 1893 წ. 3 დეკემბერი).*

* „იქ „მე“ უღონოა, საცა „ჩვენ“ გაცუდებულია, უარყოფილია, გალახულია. ამას ყველა ვგრძნობთ და ვვალალებთ კიდეც“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. აპრილი).*

*** „საზოგადოება არის რაღაც ცოცხალი... ერთი მრთელი, რომელსაც აქვს დროება თავისი გაზრდისა, დროება კარგად-მყოფობისა და ავად-მყოფობისა, დროება თვისის ტანჯვისა და მხიარულებისა და აქვს თავისი მიქცევა და მოქცევა ან სასიკვდილოდ, ან სასიცოცხლოდ“** *(„სფირიდონის და თადეოზის ბაასი“. 1861 წ.).*

* „ცოცხალ კაცს თავის სულში, თავის გულში და სისხლში აქვს სიცოცხლე საზოგადოებისა: ის ავად გახდება საზოგადოების ავადმყოფობით, იტანჯება იმისი ტანჯვით, ნეტარებს მისი ბედნიერებით, თავისი თავისა და თავის საკუთარ გარემოებას გარეშე მყოფისათვის“ *(„სფირიდონის და თადეოზის ბაასი“. 1861 წ.).*

* „სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულიდგან ისრე, როგორითაც ნაწილი მრთელისაგან“ *(„სფი-*

## «...ბრძოლაში სწორე ლარი მარტო ამისთანა კაცებს გააქვთ, როცა ერთად, კრებულად მოქმედობენ და არა დაქსაქსულად ცალ-ცალკე»

## „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე, ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესლაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ“

საკითხავი
აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რიდონის და თადეოზის ბაასი“. 1861 წ.).

* „სამშობლო მამულის სიყვარული არის ისა, რომა გულით გინდოდეს ნახო, რაც კაცობრიობას გუნებაში გამოუხატავს — აღსრულებაში იყოს მოყვანილი, და შენის ძალისა შეძლებისა კვალად შველოდე მის აღსრულებას“ *(„სფირიდონის და თადეოზის ბაასი“. 1861 წ.).*

* „თავისი მიწა-წყალი დიდი რამ ყოფილა კაცისათვის. ვინც თავის მიწა-წყალს არ მოჰშორებია, ეგ იმას ვერ უცვნია. ჩემ და ქვეყნის შუა ხომ ეხლა ხიდი ჩატეხილია და, დღესა თუ ხვალე, სულაც გავშორდები, მაგრამ ღვთის მოწყალებად ჩავთვლიდი, რომ მე ჩემის მიწა-წყლის კალთაში სული დამელია. ვაი, სადაური სადა ვკვდები!“ *(გლახის ნაამბობი. 1859, 1862-1873 წწ.).*

* „ადამიანს ხანგრძლივ რომ შეხვდეს ამ წუთის-სოფელში იმისთანა დრო, ეს წუთისსოფელი სამოთხე იქნებოდა. მაგრამ წუთის-სოფელი იმიტომა ჰრქმევია, რომ ყველაფერი წუთობითა სცოდნია, უბედურობის მეტი. ის-ის იყო, ჩემს ბედს იმის ოდენი სიხარული ველარსად დავსტყუე. წავიდა იგიცა, ვითა სიზმარი ღამის“ *(„გლახის ნაამბობი“. 1859, 1862-1873 წწ.).*

* „ჩემისთანა უთვისტომო ადამიანისათვის ქვეყანა ყველგან ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმე, ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენის ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენის სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის. ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს — გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა?“ *(„გლახის ნაამბობი“. 1859, 1862-1873 წწ.).*

* „ქართველი არ არის დამწყვდეული თავის გვარტომობის ვიწრო წრეში, არამედ სხვა ერის პატივისცემაც იცის და გულგაშლით ეკიდება ყოველს სხვა გვარტომსა. ესეთი თვისება საქებურია და არა საწუნარი“ *(„გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპო“ და სომხის ლიტერატორები“. 1889 წ.).*

* „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე, ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესლაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გალატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალ-ლაჩარნი — აი ჩვენი სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თავისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი“ *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

* „მართალია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და სხვისა ღირსების ჩამორთმევით ან დაკლებით მათნი არც მოივლინებიან, არც გადიდდებიან, მაგრამ წადილის დაუჭირავსა ყური აქვს მოუსმენი და ენა გრძელი“ *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

* „რასაკვირველია, იშვიათი არ არის ქვეყნიერობაზე, რომ ცალკე კაცის სახელითაც იწოდებოდეს რომელიმე აზრი, თუ საქმე, მაგალითებრ, დარვინის სამეცნიერო აზრს და მოძღვრებას დღესაც დარვინიზმობით იხსენიებენ, ბაირონის მიმართულებას და აზრთა წყობას — ბაირონიზმით. ამის მიხედვით იტყვიან ხოლმე, ეს კაცი დარვინისტია, ბაირონისტია და მებრვე სხვა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, წინ აგვეტუზება ერთი საკითხი: **თუ ცალკე კაცის სახელით საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი განირჩევა ერთი მეორისაგან, რატომ მთელი წყობა, მთელი კრებული, რომელსაც ან ერთი ან მეორე თაობა წარმოადგენს, თავის სახელით ვერ აღნიშნავს მის მიერ მოძღვრებულს საზოგადო აზრსა, თუ საქმესა?** ჩვენ ამის უარს არ ვამბობთ: ეგეც შესაძლებელია. ხოლო დავაკვირდეთ იმას, რომ ამ შემთხვევაში სახელი ახალის თუ ძველის თაობისა უნდა მიეთვისოს იმ წყობას საზოგადო აზრებისას, მიმართულებისას, თუ საქმისას, რომელთაც აღიარებს, ჰმოძღვრებს და ასულდგმულებს ერთი თაობა, და მეორე ეწინააღმდეგება, ეურჩება და უაროზს, ხომ მარტო ამითი უნდა გაირჩეს ერთი თაობა მეორისაგან, და აბა გვიჩვენეთ, ვის რა ამისთანა საზოგადო აზრი, მიმართულება, ან საქმე უწერია თავის დროშაზე? ან ვისი საზოგადო აზრი, მიმართულება, თუ საქმე — ვისაც ერჩის და ვისაც ებრძვის?“ *(„წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. 1892 წ.).*

* „ჩვენში ამისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცარიელი და ფუყე სახელებია და დროა თავის პატრონს ჩაჰბარდნენ და საიდამაც მოსულან, იქ წავიდნენ. ამ სახელების ხმარება ჩვენში სხვა არა არის-რა, ბავშვობის მეტი, იმიტომ, რომ **მარტო ენა-ამოუდგმელს ბავშს შეჰფერის ხმარება იმისთანა სიტყვებისა, რომელთაც არც საგანი აქვთ, არც საბუთი, არც მიზეზი არსებობისა“** *(„წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. 1892 წ.).*

* **„როცა საყვედურს აძლევენ ახალს თაობას — არას აკეთებთო, ჩვენ ვერ გამოგვირკვევია, ვინ უნდა მიიღოს ეს საყვედური თავისს თავზე. თუ ამით ეხლანდელს დროს ემდურიან, ეგ სხვაა. ეხლანდელს დროში, როგორც წინანდელშიაც, ჰმოქმედობენ ახალნიც და ძველნიც და, მაშასადამე, აქ ან ერთი, ან მეორე არაფერს შუაში არიან ცალცალკე, და თუ არიან, ორნივ ერთად არიან დამნაშავენი.** თუ რომელიმე წყობა ცალკე გამდგარა და განგებ დაურქმევია თავის-თავისათვის ძველი, ან ახალი თაობა, და ყოველს სხვას, თავთავის წყობის გარეთ მოქცეულს, ან ერთს, ან მეორე სახელს ეძახიან, — ეგ ხომ საქმის ვითარებისაგან წარმომდგარი არ იქნება, ეგ ხომ ძალად აკვიატებულს სახელს მოასწავებს, თვითნებობით დაჩემებულს! **ამისთანა ხალხზე მარტო ეს ითქმის: დეე ბალღებმა თავი შეიქციონ, ოღონდ-კი ნუ იტირებენო“** *(„წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. 1892 წ.).*

* „ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში, ახალთა აზრთა მოძღვრებაშია და არა იმაში, რომ მე დღეს დავიწყე წერა და შენ გუშინაო“ *(„მითამ და „ახალი რაზმის კაცი“ ანუ ორი ფელეტონი“. 1883 წ.).*

* „არასფერი ქვეყანაზედ არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტის-მეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს. მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი-კი ძველი“ *(„ბულვარის აკადემია“. 1887 წ.).*

* „საქმისა, თუ აზრის ავკარგიანობის გარჩევა მარტო ძველ-ახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოდაც მეტია“ *(„ბულვარის აკადემია“. 1887 წ.).*

* „ავ-კარგიანობა ახალშიაც არის და ძველშიაც“ *(„ბულვარის აკადემია“. 1887 წ.).*

* „ავ-კარგიანობა, ტყუილმართლობა არც ახალს ახლობით მიეწებება, არც ძველს ძველობით. ავსაც და კარგსაც, ტყუილსაც და მართალსაც თავისი საკუთარი ბუნება აქვს და თვითოეული თავისდა ბუნებისამებრ უნდა გაირჩეს და გამოიზომოს და არა სიახლით და სიძველითა“ *(„ბულვარის აკადემია“. 1887 წ.).*

„ყველას, ძველია თუ ახალი, მინამ მსჯავრს დასდებდეთ, კბილი კი არ უნდა უსინჯოთ, ბუნება უნდა გამოუჩხრიკოთ და მარტო მაშინ დაეჭდევა თქვენს მსჯავრს ადამიანის საკადრისი ღირებულება და ფასი“ *(„ბულვარის აკადემია“. 1887 წ.).*

* „ძველობით ხსენება სხვისა, ამით კილვა და ძაგება ძველი იარაღია ულონობისა, გაცვეთილი ფანდია სახსარ-მოკლებულ ფალავნისა“ *(„ბულვარის აკადემია“. 1887 წ.).*

* „რაც გინდა სთქვით, როგორც გინდა მიიქეცით, ოღონდ ახალ-თაობის წმინდა სახელს ნუ მოჰფენთ უკადრისს ქცევასა, უკადრისს სიტყვასა, **ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იმედია. ყველა ჩხავანა ახალ-თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა. ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი. ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად არა სჭირს, შორს მანძილს ვერ გაირბენს მარტო იმითი, რომ ბალღები ატყუოს, — ახალი თაობის კაცი ვარო“** *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. აპრილი).*

* **„ვინც ეგრე გულმოდგინედ ყვირის, ახალი კაცი ვარო, რატომ არა ვკითხულობთ, რით არის ახალი? ნუთუ მარტო იმითი, რომ სხვაზედ გვიან მოვიდა?** რატომ არა ვკითხულობთ, რა მოიტანა ახალი? აბა, კვალში ჩაუდექით ყოველ მყვირალს, ახალთაობის კაცი ვარო, გაუსინჯეთ სიტყვა და მოქმედება, იკითხეთ იმ სიტყვასა და მოქმედებაში ახალი რა არის, და მაშინ ნახავთ, რომ იგი ახალის თაობის ბერეკაა და არა ახალი თაობის კაცი. თვითონაც რომ ჰკითხოთ, აბა, ახალო კაცო, ახალი რა მოიტანეო, დამიჯერეთ, ოფლში გასწურავთ მაგ კითხვით და ძნელ საქმეს დააყენებთ. ახალი კაცი ძლიერია თავისის აზრით, მსჯელობით, ცოდნით. იგი თავმოსაწონებელს სახელს ახალის კაცისას მართლა-და ახალის აზრით, მსჯელობით და ცოდნით დაიმსახურებს და არა ყვირილით და ფიცით, ღმერთმანი, ახალი კაცი ვარო.“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. აპრილი).*

* „ვისაც დაუკარგავს თავისის თავის პატივი და, მაშასადამე, სხვისაც, — უკადრისობა იმისათვის უცილო იარაღად დაგვითმია. დეე, იმან ამ გზაზედ და ამ იარაღით იბრძოლოს. დრო, კეთილ-გონიერება და თითონ ახალი თაობა თავის უტყუარს განაჩენს თავის დროზედ იტყვის“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. აპრილი).*

**«რაც გინდა სთქვით, როგორც გინდა მოიქეცით, ოღონდ ახალ-თაობის წმინდა სახელს ნუ მოჰფენთ უკადრისს ქცევასა, უკადრისს სიტყვასა, ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იმედია. ყველა ჩხავანა ახალ-თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა. ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი. ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად არა სჭირს, შორს მანძილს ვერ გაირბენს მარტო იმითი, რომ ბალღები ატყუოს, — ახალი თაობის კაცი ვარო»**



**ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და ვერ შევქმნით მილიონიან არმიას, ვერასდროს შევიძენთ წარმოუდგენლად ძლიერ შეიარაღებას, ჩვენი ძალა მხოლოდ ერთობაშია. ამიტომ აშინებს ქართველთა ერთობა მტერს**

**„როცა საყვედურს აძლევენ ახალს თაობას — არას აკეთებთო, ჩვენ ვერ გამოგვირკვევია, ვინ უნდა მიიღოს ეს საყვედური თავისს თავზე. თუ ამით ეხლანდელს დროს ემდურიან, ეგ სხვაა. ეხლანდელს დროში, როგორც წინანდელშიაც, ჰმოქმედობენ ახალნიც და ძველნიც და, მაშასადამე, აქ ან ერთი, ან მეორე არაფერს შუაში არიან ცალცალკე, და თუ არიან, ორნივ ერთად არიან დამნაშავენი“**

თარიღი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა ცოტას თუ ემახსოვრება, რომ 1986 წლამდე გამოფენის ტერიტორიაზე არსებობდა პავილიონი „ნაყინი“, რომელიც აისბერგს ჰგავდა. მის ტერიტორიაზე იზრდებოდა ბამბუკი, ხოლო თვით პავილიონში იყიდებოდა საბჭოთა სიგარები.**

# მსოფლიოში უდიდესი საექსპოზიციო-სამუზეუმო კომპლექსის — სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის — დაარსებიდან 80 წელი გავიდა

1939 წლის 1 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელსაც უნდა წარმოეჩინა საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობების მშენებლობის წარმატებები. დიდი სამამულო ომის წლებში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიდი ნაწილის მუშაობა შეჩერებული იყო — გამოფენის ტერიტორიაზე ტარდებოდა სამხედრო შეკრებები, თანამშრომლები კი ზოგი ევაკუირებული იყო, ზოგი კი ფრონტზე წავიდა. ომის შემდეგ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობა აღდგა, თუმცა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მის ბაზაზე შეექმნა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გაერთიანებული გამოფენა. სსრკ-ის დაშლამდე უნიკალურ საექსპოზიციო კომპლექსში ათობით მასშტაბური საკავშირო და საერთაშორისო ღონისძიება ჩატარდა. 1990-იან წლებში ექსპოზიციები განადგურდა, თვით კომპლექსი კი, ფაქტობრივად, ნივთების ბაზრად გადაიქცა. 2013 წელს ის მოსკოვის მთავრობას გადაეცა, შედეგად აღორძინდა, კეთილმოეწყო, შეუერთდა ბოტანიკურ ბაღს, პარკ „ოსტანკინოს“ და ერთიან სარეკრიაციო სივრცედ იქცა.



ი.ბ. სტალინის სკუპლტურა, რომელიც შექმნეს 1938-1939 წლებში არქიტექტორმა ი. ტარანოკმა და სკულპტორმა მერკულოვმა, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მექანიზაციის მოედანზე 1951 წლამდე იდგა;



1935 წელს დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, მოსკოვში გაეხსნათ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იმისთვის, რომ „აესახათ სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმატებები“;




საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას მუშაობა უნდა დაეწყო 1937 წელს — საბჭოთა ხელისუფლების 20 წლის იუბილეზე, მაგრამ საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების უზარმაზარი მოცულობის გამო გახსნა 2-ჯერ გადავადდა თითო-თითო წლით;



გამოფენა, თავდაპირველად, მხოლოდ 100 დღეს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ მისი მომზადების პროცესში გადაწყვიტეს, მუდმივი ყოფილიყო. მთავარი პავილიონის კოშკზე დადგეს სკულპტურა „ტრაქტორისტი და კოლმეურნე ქალი“, პავილიონ „მექანიზაციის“ წინ კი — სტალინის 25 მ სიმაღლის რკინაბეტონის სტატუა;



1939 წელს მოსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე დაუსახლებელი ადგილი, რომლის ფართობი 136 ჰექტარი იყო, გადაიქცა 52 საექსპოზიციო პავილიონისა და 200 სხვა ნაგებობის ქალაქ-გამოფენად. კომპლექსში შედიოდა პარკები და ტბორების კასკადი. გამოფენის გახსნამდე კი მის წინ დადგეს სკულპტურა „მუშა და კოლმეურნე ქალი“;



საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა საზეიმოდ გაიხსნა 1939 წლის 1 აგვისტოს. ღონისძიებებს ესწრებოდა დაახლოებით 10 ათასი ადამიანი, მათ შორის — სახალხო კომისარიატების საბჭოს თავმჯდომარე **ვიაჩესლავ მოლოტოვი;**



დანიელმა მწერალმა მარტინ ანდერსენ-ნექსემ, რომელმაც გამოფენა დაათვალიერა, ის შეადარა ქალაქს ზღაპრიდან „ათას ერთი ღამე“;



საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონები საბჭოთა ფილმების დეკორაციებად იქცა. მაგალითად, 1940 წელს გამოფენის პავილიონებში გადაიღეს ფილმი „ნათელი გზა“, რომელშიც მთავარ როლებს **ლიუბოვ ორლოვა** და **ევგენი სამოილოვი** ასრულებენ;



1941 წელს გამოფენის პავილიონებში გადაიღეს ცნობილი საბჭოთა ფილმი „მეღორე ქალი და მწყემსი“, გადაღებები მიმდინარეობდა გერმანელ ფაშისტთა ავიაციის მოსკოვზე თავდასხმებს შორის;



სამამულო ომის პერიოდში გამოფენის საექსპოზიციო მასალები ქვეყნის სიღრმეში გადაიტანეს. გამოფენის პავილიონებში განალაგეს სამხედრო-სარემონტო ქარხნები. გამოფენის თანამშრომელთა დიდი ნაწილი ფრონტზე წავიდა, მათგან 123 სამშობლოს დაცვისას დაიღუპა;



1948 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, აეღორძინებინა საკავშირო გამოფენა, რომელიც კვლავ გაიხსნა 1954 წელს, მაგრამ მისი ტერიტორიიდან გაქრა სტალინთან დაკავშირებული ობიექტები;

# დღეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მსოფლიოში უდიდეს საექსპოზიციო-სამუზეუმო კომპლექსად ითვლება. ფართობი 325 ჰა-ზე მეტია. მის შემადგენლობაში არსებული 49 ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად არის აღიარებული. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას ყოველწლიურად სტუმრობს 30 მლნ ადამიანი.

თარილი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



1958 წელს სსრკ-ის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სამშენებლო გამოფენებს ერთ — საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში გაერთიანების შესახებ, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბაზაზე. 1963 წელს გამოფენამ დაიწყო 24-საათიანი ფუნქციობა. აიგო ახალი პავილიონები. 1971 წელს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გამოფენა დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. 1990-იან წლებში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბაზაზე შეიქმნა სხვადასხვა სააქციო საზოგადოება, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები. პრაქტიკულად ყველა ექსპოიციამ შეწყვიტა არსებობა;





2013 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მოსკოვის მერიას გადასცა. კომპლექსს დაუბრუნდა ძველი დასახელება, დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები. გაჩნდა ახალი საექსპოზიციო სივრცეები;



ბამბუკები პავილიონ „საქართველოსთან“. 1950-იან წლებში გამოფენის ტერიტორიაზე წარმოდგენილი იყო 359 სახეობის მარცვლეული და 318 სახეობის ბოსტნეული კულტურა, 40 ათასი დეკორატიული ხე, 450 ათასი ბუჩქი, 400 ათასი ყვავილი, 50 ათასი სახეობის ვარდი და სხვ.

ახლა ცოტას თუ ემახსოვრება, რომ 1986 წლამდე გამოფენის ტერიტორიაზე არსებობდა პავილიონი „ნაყინი“, რომელიც აისბერგს ჰგავდა. მის ტერიტორიაზე იზრდებოდა ბამბუკი, ხოლო პავილიონში იყიდებოდა საბჭოთა სიგარები;



ერნესტო ჩე გევარა პავილიონში „მეცნიერება“, 1960 წელი. სოციალიზმის მიღწევათა პროპაგანდა საერთაშორისო დონეზე გამოფენის ერთ-ერთი ამოცანა იყო. ცნობილია, რომ 1954-1956 წლებში გამოფენა დაათვალიერა 2000-მა საზღვარგარეთელმა დელეგატმა 84 ქვეყნიდან.

1955 წელს გამოფენას სტუმრობდა ჯავაჰარლალ ნერუ, 1959 წელს — ხო ში მინი და კიმ ირ სენი;



ვერა მუხინას სკულპტურა „მუშა და კოლმეურნე ქალი“.

აღსანიშნავია, რომ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის აშენებასა და გაფორმებაში 2000 მხატვარი და არქიტექტორი მონაწილეობდა.



**დღეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მსოფლიოში უდიდეს საექსპოზიციო-სამუზეუმო კომპლექსად ითვლება. ფართობი 325 ჰა-ზე მეტია. მის შემადგენლობაში არსებული 49 ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად არის აღიარებული. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას ყოველწლიურად სტუმრობს 30 მლნ ადამიანი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



## 300 ათასამდე უკრაინელი უნგრეთის მოქალაქე გახდა

**უკრაინის მთავარმა პროკურორმა ანატოლი მატიოსმა განაცხადა, რომ იმიერკარპატების 300 ათას მცხოვრებს უნგრეთის მოქალაქეობა აქვს.**

„რაც შეეხება უნგრელებს იმერკარპატებში (უკრაინის ოლქი, რომელიც ესაზღვრება რუმინეთს, უნგრეთს, სლოვაკეთსა და პოლონეთს), ისინი იქ მოსახლეობის 10%-ს შეადგენენ, სულ ოლქში 1,2 მლნ ადამიანი ცხოვრობს, გამოდის, უნგრელი 120 ათასია“, — განაცხადა სამხედრო პროკურატურის ხელმძღვანელმა.

მატიოსმა დააზუსტა, რომ, იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც დაამუშავა მისმა უწყებამ, დაახლოებით 300 ათასმა უკრაინელმა მიიღო უნგრული პასპორტი.

სამხედრო პროკურორმა უარი თქვა ზუსტი რაოდენობის დასახელებაზე, რადგან ეს გამოააშკარავებდა მეთოდებს, რომლებითაც მონაცემები მოიპოვეს.

როგორც მატიოსმა განმარტა, მონაცემები შეგროვდა იმ უკრაინელების იდენტიფიკაციისთვის, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ სახელმწიფო საიდუმლოებაზე ან იკავებენ ოფიციალურ პოსტებს და, მათ მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, უნდა დაიწყოს საპროცესო მოქმედებები ამ მონაცემის გათვალისწინებით.



## პოლონეთს მიუთითეს, როგორ უნდა იცხოვროს

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მონაწილეობას მიიღებს მეორე მსოფლიო ომის დაწყების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, რომლებიც 1-2 სექტემბერს არის დაგეგმილი. ამ ღონისძიებების ფარგლებში ტრამპი შეხვდება პოლონეთის პრეზიდენტ ანჯეი დუდას.**

პოლონეთის მიმართ ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა ყურადღება არ სუსტდება. იმის შესახებ, თუ რა სურს აშშ-ს პოლონეთისგან, საუბრობს საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის“ რედაქტორი **სტანისლავ სტრემიდლოვსკი:** „პოლონეთში აშშ-ის ელჩი **ჯორჯეტ მოსბახერი** ამბობს, რომ პოლონეთმა მკაფიოდ უნდა გააცნობიეროს „საფრთხე, რომელიც მომდინარეობს გაძლიერების სტადიაზე მყოფი ორი სახელმწიფოსგან“. ეს სახელმწიფოები, რა თქმა უნდა, არის რუსეთი და ჩინეთი. „პოტენციურ აგრესორზე“ ნართაულად ლაპარაკით მოსბახერი ლოგიკურად გამოკვეთს როლს პოლონეთისთვის აშშ-ის მიერ ორგანიზებულ დაპირისპირებებში.

**მოსბახერი მიუთითებს „იდეოლოგიურ მდგენელზე“, რომელიც აქვს ფულს, და პოლონეთს არიგებს, უარი თქვას ჩინეთთან სავაჭრო და, საერთოდ, პრაგმატულ ურთიერთობაზე: დაიწყებს ვაჭრობას პეკინთან და ნელ-ნელა ულალატებს ოკეანის გაღმელ სუზერენს, რომელსაც ჩინეთთან სავაჭრო ომი აქვს გაჩაღებული. პოლონეთი უფრო ახლო პარტნიორებთანაც ფრთხილად უნდა იყოს. არ უნდა გაიტაცოს კონტაქტებმა არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ ევროკავშირთანაც.**

ვაშინგტონის ასეთი მითითებების შესრულება პოლონეთს უკვე დაუჯდა ურთიერთობის გაცივებად ევროკავშირელ მეზობლებთან. სექტემბრის დასაწყისში დაგეგმილი ღონისძიებები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომს ეძღვნება, პოლონეთისთვის კიდევ უფრო სერიოზული გამოცდა იქნება, რომელიც მას შეიძლება მოუწყონ გერმანიამ და საფრანგეთმა.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უცნობია, რომელი ტესტით დაიდგინა „ძაან მაღალი აიქიუ“ (IQ — ინტელექტის კოეფიციენტი) ქალბატონმა ეკა კვესიტაძემ, მაგრამ, ის კი ცხადია, რომ მსოფლიოს ყველაზე ჭკვიან ქალებთან, რომელთა სარეიტინგო სიას ქვემოთ გთავაზობთ, ახლოსაც ვერ მივა ვერც „აიქიუთი“ და ვერც ზრდილობით.**



# ყველაზე ჭკვიანი ქალები მსოფლიოში

**რამდენიმე დღის წინათ ინტერნეტში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ასახულია, როგორ ისტერიკულად უმტკიცებს „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი ეკა კვესიტაძე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს: „ძაან მაღალი აიქიუ მაქვს, კარგად ვგებულობ ყველაფერს“ და ალკოტესტის გავლა ჩემთვის შეურაცხმყოფელიაო. „მაღალი აიქიუს მქონე“ და „ყველაფრის კარგად გამგებმა“ გაკაპასებულმა ეკა კვესიტაძემ, რომელიც იმიტომ გააჩერეს, რომ მის ავტომობილზე საგაბარიტო მაშუქი არ მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ კორექტულობისკენ მოუწოდეს და დაწვრილებით აუხსნეს, რომ ყველაფერი კანონის დაცვით ხდებოდა, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებს პროვოკატორები და უნამუსოები უძახა. უცნობია, რომელი ტესტით დაიდგინა „ძაან მაღალი აიქიუ“ (IQ — ინტელექტის კოეფიციენტი) ქალბატონმა ეკა კვესიტაძემ, მაგრამ, ის კი ცხადია, რომ მსოფლიოს ყველაზე ჭკვიან ქალებთან, რომელთა სარეიტინგო სიას ქვემოთ გთავაზობთ, ახლოსაც ვერ მივა ვერც „აიქიუთი“ და ვერც ზრდილობით. ამ ქალებმა კოლოსალური წვლილი შეიტანეს თავიანთი ქვეყნების, საერთოდ, მსოფლიოს, განვითარებაში და მათი სახელები სამუდამოდ შევიდა კაცობრიობის ისტორიაში.**



## 1. ედიტ სტერნი (IQ — 200)

მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი ქალბატონი, რომელიც ამ სიაში პირველია, 1952 წელს დაიბადა. მან გენიოსობა 1 წლისამ გამოავლინა — იცოდა არითმეტიკული მოქმედებები და ლაპარაკობდა წინადადებებს. სანამ 18 წელი შეუსრულდებოდა, ბევრი დიპლომი მოიპოვა, ჰქონდა 120-ზე მეტი პატენტი და უამრავი ჯილდო მანქანათმშენებლობის სფეროში. და გასაკვირი არ არის, რომ მისი IQ 200-ია. ზოგიერთ ტესტში მან კიდევ უფრო მეტი ქულა მოაგროვა.



## 2. იპათია (IQ 190 +)

როგორც გაირკვა XXI საუკუნემდე გაცილებით ადრე იყვნენ ქალები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს მეცნიერების განვითარებაში და კაცობრიობას საოცარი გამოგონებები აჩუქეს. მათგან ერთ-ერთია **იპათია** (351-415). მამამისი, **თეონ ალექსანდრიელი,** მათემატიკოსი იყო და ქალიშვილიც მამის კვალს გაჰყვა. იპათიამ — ბერძენმა ფილოსოფოსმა, მათემატიკოსმა და ასტრონომმა, თავისი მიღწევებით სახელი გაითქვა არა მხოლოდ საბერძნეთში, არამედ ეგვიპტესა და რომის იმპერიაში. იმ გასაოცარი ნიჭის მქონე ქალბატონმა გამოიგონა ასტროლაბი (ასტრონომიის ინსტრუმენტი) და ჰიდრომეტრი (ტენიანობის მზომი ხელსაწყო), აგრეთვე, სხვა ხელსაწყოები; დაწერა უამრავი სამეცნიერო ტრაქტატი.

## 3. მერილინ ვოს სავანტი (IQ 190)

1945 წელს დაბადებული ამერიკელი მწერალი, ჟურნალისტი და დრამატურგი გინესის რეკორდების წიგნშიც იყო შესული, როგორც ყველაზე მაღალი IQ-ის მქონე ქალბატონი. ის ერთ-ერთ ჟურნალში უძღვება რუბრიკას „მკითხე მე“, რომელშიც მსურველს შეუძლია დაუსვას კითხვა ან გაუგზავნოს გამოცანა თუ თავსატეხი.





## 4. მარია სკლადოვსკაია-კიური (IQ 185)

პოლონელი-ფრანგი მარია სკლადოვსკაია-კიური (1867-1934) — ქიმიკოსი და ფიზიკოსი, ცნობილია თავისი მოღვაწეობით რადიაციის სფეროში. ის არის ნობელის პრემიის ორგზის ლაურეატი ქიმიასა და ფიზიკაში. მან უდიდესი როლი ითამაშა თანამედროვე მსოფლიოს ჩამოყალიბებაში.

## 5. ჟერმენა სტალი (IQ 180-185)

ანა-ლუიზა ჟერმენა ნეკერი, ბარონესა დე სტალ-გოლშტეინი, იგივე მადამ დე სტალი 1766 წელს დაიბადა პარიზში (გარდაიცვალა 1817 წ). ის არის ცნობილი ფრანგი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, აგრეთვე, ლიტერატორი და მწერალი, რომელმაც ბევრი შესანიშნავი ნაშრომი აჩუქა მსოფლიოს. ის იყო ნაპოლეონის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე, რომელსაც პამფლეტების გამო სამშობლოში ცხოვრება აუკრძალეს. ის გერმანიაში **გოეთეს** ჯგუფში გაერთიანდა.

მეცნიერებმა ჟერმენა სტალის ინტელექტის კოეფიციენტი სხვადასხვა ტესტით გამოთვალეს და დაადგინეს, რომ ის 180-დან 185-მდე მერყეობს.





## 6. გრეის ჰოპერი (IQ 175)

გრეის ჰოპერი (1906-1992) იყო კომპიუტერების სფეროს ამერიკელი მეცნიერი, რომელმაც აღმოაჩინა კომპილატორების პირველი ინსტრუმენტები. 24 წლისა შეეცადა, საზღვაო ფლოტში დაეწყო სამსახური, მაგრამ წარუმატებლად. მოგვიანებით შეუერთდა გამოთვლების სფეროს და ამ სფეროში დღემდე საუკეთესოდ ითვლება; მიღებული ჰქონდა უამრავი უნივერსიტეტის საპატიო ხარისხი.



## 7. რუთ ლოურენსი (IQ 175)

1971 წელს დიდ ბრიტანეთში დაბადებული წარმოშობით ებრაელი მათემატიკოსი რუთ ლოურენსი ისეთ რთულ სფეროებში მოღვაწეობდა და მოღვაწეობს, როგორიც არის კვანძების თეორია და უმაღლესი დონის ალგებრა. 10 წლის რუთის IQ 175 იყო. და მან იოლად ჩააბარა ოქსფორდის უნივერსიტეტში. შემდეგ კი იყო ყველაზე ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც ამ სასწავლებლის დიპლომი მოიპოვა.



## 8. იუდით პოლგარი (IQ 170)

1976 წელს უნგრეთში დაბადებული იუდით პოლგარი მოჭადრაკეა, რომელიც თანაბრად ეთამაშება დიდოსტატ მამაკაცებს. მან მოუგო ყოფილ მსოფლიო ჩემპიონებს: **ანატოლი კარპოვს, გარი კასპაროვსა** და **ვიშვანათან ანანდს,** აგრეთვე, მოქმედ ჩემპიონ **მაგნუს კარლსენს.** პოლგარის ამჟამინდელი საჭადრაკო რეიტინგი 2 675-ია (მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის მაგნუს კარლსენის რეიტინგი კი — 2 875).

## 9. ფაბიოლა მანი (IQ 162)

22 წლის ახალგაზრდა ქალის ინტელექტის კოეფიციენტი, მენსის ტესტის მიხედვით, 162-ია, რაც ორი ქულით მეტია **ალბერტ აინშტაინისა** და ცნობილი ფიზიკოსის, **სტივენ ჰოკინგის,** კოეფიციენტებზე. ფაბიოლას მოსწონს ჭადრაკი, აგრეთვე, მუშაობა მედიცინის სფეროში. მიუხედავად ამისა, რომ დაამთავრა გოგონათა სკოლა ლონდონში, არის იისფერი ქამრის მფლობელი კარატეში, უყვარს მუსიკა და გიტარაზე დაკვრა.





## 10. ოლივია მენინგი (IQ 162)

2012 წელს 12 წლის ლივერპულელმა (დიდი ბრიტანეთი) გოგონამ, მენსის ტესტის მიხედვით, 162 ქულა დაიმსახურა, აინშტაინსა და სტივენ ჰოკინგზე მეტი (მათი IQ 160-ია).

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კასტროს საფეხბურთო კარიერა ხანგრძლივი და სახელოვანი იყო. „ელ დივინო მანკოს“ ტყუილუბრალოდ არ აყენებენ გამოჩენილი ფეხბურთელების გვერდით. „ნასიონალში“ 12 წლის განმავლობაში მან 231 მატჩი ჩაატარა და მეტოქეთა კარში 149 ბურთი გაიტანა. კიდევ 24 გოლი ექტორმა ურუგვაის ნაკრების შემადგენლობაში გაიტანა 25 თამაშში.**

# ურუგვაული ფეხბურთის «ცალხელა ღმერთი»

**მათთვის, ვისაც უყვარს სპორტი და ინტერესდება მისი სახეობებით, ალბათ, ცნობილია ყველაზე გამორჩეული პარაოლიმპიელების სახელები. მაგრამ, შეიძლება თუ არა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი გამოდიოდეს ჯანმრთელ ადამიანებთან ერთად ერთ გუნდში და, მეტიც, იმარჯვებდეს მსოფლიო დონის ტურნირებზე? რა თქმა უნდა, შეიძლება და ამის მაგალითია ლეგენდარული ურუგვაელი ფეხბურთელი 1928 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი და 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონი ექტორ კასტრო.**




ექტორ კასტრო დაიბადა 1904 წელს ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ესპანელთა ოჯახში, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებში უკეთესი ცხოვრების საძიებლად ესპანეთიდან სამხრეთ ამერიკაში გადასახლდა. ექტორის მამა ქარხანაში მუშად მუშაობდა და ისეთი დაბალი ანაზღაურება ჰქონდა, რომ 10 წლის ექტორი ეხმარებოდა კერძო შეკვეთების შესრულებაში, მან მალე აითვისა საზეინკლო ინსტრუმენტებით მუშაობა, მაგრამ მთელი ცხოვრება ქარხანაში ჩარხთან მუშაობის პერსპექტივა არ ხიბლავდა ყმაწვილ კასტროს. მას სურდა, თავი დაეღწია სიღარიბისთვის და პოპულარობა მოეპოვებინა, მაგრამ ღარიბი ოჯახის წარმომადგენელს ასეთ შესაძლებლობას მხოლოდ პროფესიული სპორტი თუ მისცემდა. იმხანად სამხრეთ ამერიკაში ფებურთი სპორტის უპოპულარესი სახეობა იყო (ახლაც ასეა). XX საუკუნის დასაწყისში, ისევე, როგორც დღეს, სამხრეთამერიკული გუნდები ძალიან ძლიერ მოწინააღმდეგეებად ითვლებოდნენ. გასაკვირი არ არის, რომ ექტორმა ფეხბურთელობა მოისურვა.

**ის არ გამოირჩეოდა სწრაფი სირბილით, არც თავბრუდამხვევი ფინტებით, მაგრამ შესანიშნავად ხედავდა მოედანს და ჰქონდა კარგი რეაქცია.** სწორედ ამ თვისებების გამო იუნიორთა გუნდში მეკარის ამპლუაში ვარჯიშობდა. მის მწვრთნელებს მიაჩნდათ, რომ ექტორისგან კარგი მეკარე დადგებოდა, მაგრამ 1917 წელს ექტორის ოცნება კინაღამ დაინგრა. ერთ დღეს, როდესაც მამას ეხმარებოდა შეშის დამზადებაში, გაუფრთხილებლობის გამო ელექტროხერხით ხელი თითქმის იდაყვამდე გადაიჭრა. **ბიჭის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ მეკარეობაზე ოცნებას გამოეთხოვა, თუმცა ფეხბურთისადმი სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა.** ექტორს ერთი ჯანმრთელი ხელი დარჩა, მაგრამ ორივე ფეხი ადგილზე ჰქონდა. და, თუ კარის დაცვის საშუალება აღარ ეძლეოდა, სამაგიეროდ, თავდამსხმელის როლის შესრულება შეეძლო. ის სულით არ დაეცა, ირწმუნა თავისი შესაძლებლობების და თავისუფალ დროს შეუპოვრად ვარჯიშობდა.



**მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა კასტროს ცალი ხელის შესახებ, გაზეთებსა და ჟურნალებში მის რეტუშირებულ ფოტოებს ბეჭდავდნენ ისე, თითქოს ხელის მტევანი არ ჰქონდა, უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ ფოტოებზე კი კარგად ჩანდა, რომ კასტროს მარჯვენა ხელი თითქმის იდაყვამდე ჰქონდა ამპუტირებული**

3 წლის შემდეგ ექტორის ოსტატობა ისე ამაღლდა, რომ მონტევიდეოს პროფესიონალური გუნდის — „სენტრო ატლეტიკო ლიტოს“ ყურადღება მიიპყრო . მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი ძლიერთა შორის არ იყო ურუგვაის ჩემპიონატში, მისი მაისურით თამაში კარგი სკოლა იქნებოდა და ექტორმაც სიხარულით მოაწერა ხელი კონტრაქტს.

მწვრთნელებს ეჭვი არ შეჰპარვიათ არჩევანის მართებულობაში, მაგრამ გულშემატკივრებმა თავდაპირველად ცივად მიიღეს კასტრო. ისინი ვერ ხვდებოდნენ, რა უნდოდა ინვალიდს მოედანზე, თანაც ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ 1921 წლის სეზონის პირველი თამაშებიდანვე სკეფსისი გაიფანტა. ექტორი თამაშობდა შემართებით, ტაქტიკურად მართებულად და აღმაფრენით. მას სტაბილურად გაჰქონდა ბურთები მოწინააღმდეგეთა კარში და გულშემატკივრებიც უკვე ველარ ამჩნევდნენ მის ფიზიკურ ნაკლს. ურუგვაის პრესისთვის კი ამას მნიშვნელობა ჰქონდა — **მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა კასტროს ცალი ხელის შესახებ, გაზეთებსა და ჟურნალებში მის რეტუშირებულ ფოტოებს ბეჭდავდნენ ისე, თითქოს ხელის მტევანი არ ჰქონდა, უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ ფოტოებზე კი კარგად ჩანდა, რომ კასტროს მარჯვენა ხელი თითქმის იდაყვამდე ჰქონდა ამპუტირებული.**

1924 წელს ცალხელა ფეხბურთელის ოცნება, როგორც იქნა, ასრულდა. ის ქვეყნის საუკეთესო და მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი კლუბის, მონტევიდეოს „ნასიონალში“ ჩაირიცხა (ეს ის „ნასიონალია“, რომელმაც 1969 წლის 26 ივლისს თბილისში „დინამოსთან“ ამხანაგური მატჩი ითამაშა. ეს იყო მიხეილ მესხის გამოსათხოვარი მატჩი). კასტრომ პირველივე სეზონში მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, შემდეგ კი მის კარიერაში წარმატება წარმატებას ცვლიდა.

1926 წელს ურუგვაელებმა მას **„ელ დივინო მანკო“** („ცალხელა ღმერთი“) შეარქვეს.

1928 წელს ექტორი ურუგვაის ნაკრების წევრებთან ერთად გაემგზავრა ჰოლანდიაში ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მაყურებელს კი თავი დაამახსოვრა იმით, რომ თამაშს ჭადრაკის პარტიასავით კითხულობდა.

ექტორ კასტროს სპორტული კარიერის მწვერვალი იყო ტიტული, რომელიც 1930 წელს ურუგვაიში გამართულ მსოფლიოს პირველ საფეხბურთო ჩემპიონატზე მოიპოვა. ამ ჩემპიონატის ფინალში, რომელიც 1930 წელს გაიმართა, 90 ათასი მაყურებლის თვალწინ ურუგვაიმ 4:2 დაამარცხა არგენტინის მრისხანე ნაკრები და ჩემპიონობა მოიპოვა (აღსანიშნავია, რომ ურუგვაი აგებდა 1:2-ს), ერთი გოლი არგენტინის ნაკრების კარში **კასტრომ** გაიტანა.

დაჯილდოების ცერემონიაზე მსოფლიოს ჩემნიონატის პრიზი გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულებით კასტრომ თავს ზემოთ მარცხენა ხელით ასწია.

კასტროს საფეხბურთო კარიერა ხანგრძლივი და სახელოვანი იყო. „ელ დივინო მანკოს“ ტყუილუბრალოდ არ აყენებენ გამოჩენილი ფეხბურთელების გვერდით. „ნასიონალში“ 12 წლის განმავლობაში მან 231 მატჩი ჩაატარა და მეტოქეთა კარში 149 ბურთი გაიტანა. კიდევ 24 გოლი ექტორმა ურუგვაის ნაკრების შემადგენლობაში გაიტანა 25 თამაშში.

1936 წელს, მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, ცალხელა ფეხბურთელი მშობლიური კლუბის — „ნასიონალის“ სამწვრთნელო შტაბში ჩაირიცხა, 1939 წელს კი კლუბის მთავარი მწვრთნელი გახდა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 5-ჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. 1959 წელს ის ურუგვაის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და 1962 წელს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მომზადება დაევალა, მაგრამ 1960 წლის 15 სექტემბერს 55 წლისა გულის შეტევით გარდაიცვალა.








მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



## პარტიას არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 5 ათასი ხელმომწერის შეგროვების შემთხვევაში შეეძლება

**„2020 წლის არჩევნებისთვის პარტიის რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 5 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერით“,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმაზე მმართველი გუნდის მიერ შემუშავებული ცვლილებათა პროექტის წარდგენისას. გარდა ამისა, მარტივდება მხარდამჭერთა სიების შემოწმების მექანიზმი.

2020 წლის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების გარდა, პარლამენტის თავმჯდომარემ წარმოადგინა ცვლილებები პარტიების დაფინანსების წესში, პოლიტიკურ პარტიებს შორის საეთერო დროის განაწილებაში, ცენტრალური და ქვედა დონის საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესში, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის მექანიზმში და ა.შ. როგორც არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, მმართველი გუნდის მიერ შემოთავაზებულ ამ ცვლილებებს ოპოზიციის მხარდაჭერა და მათი მხრიდან პასუხისმგებლობის გაზიარება დასჭირდება.

## პროდუქტები, რომლებიც ყველაზე მეტად გაძვირდა



**გთავაზობთ იმ პროდუქტების ჩამონათვალს, რომლებზეც ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ყველაზე მეტად გაიზარდა ფასები:**

* მწვანე ლობიო — 70,87%-ით;
* ხახვი — 66,07%-ით;
* ბადრიჯანი — 58,09%-ით;
* პომიდორი — 38,61%-ით;
* ნიორი — 30.18%-ით;
* ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტი — 30,04%-ით;
* იმპორტული წარმოების ფილტრიანი სიგარეტი — 29,56%-ით;
* ადგილობრივი წარმოების უფილტრო სიგარეტი — 26,18%-ით.

## ბრაზილიელმა პატიმარმა ციხიდან გაპარვა თავისი ქალიშვილის ტანსაცმლითა და ნიღბით სცადა



**ბრაზილიელმა პატიმარმა კლაუვინო და სილვამ რიო-დე-ჟანეიროს ციხიდან გაპარვა თავისი ქალიშვილის ტანსაცმლითა და ნიღბით სცადა, — იუწყება „გარდიანი“.** სილვა საპატიმროში მისმა 19 წლის ქალიშვილმა მოინახულა, რის შემდეგაც პატიმარმა გადაწყვიტა, გოგონა საპატიმროში დაეტოვებინა, თვითონ კი მისი ტანსაცმელი, ნიღაბი და პარიკი მოერგო. ციხიდან გამოსვლამდე ზედამხედველებს „ქალიშვილის“ ქცევა უცნაურად მოეჩვენათ და მიხვდნენ, რომ ციხიდან არა 19 წლის გოგონა, არამედ ბრაზილიაში ერთ-ერთი დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი და ნარკოტიკებით მოვაჭრე კლაუვინო და სილვა გამოდიოდა.

სათვალთვალო ვიდეოკამერით გადაღებული კადრები



## აშშ, რუსეთის ფედერაცია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ბირთვული იარაღის შეზღუდვის ახალ შეთანხმებას ამზადებენ



**რუსეთი და შეერთებული შტატები შეძლებენ, შეთანხმდნენ ბირთვული იარაღის შემდგომი შეზღუდვისა და შემცირების საკითხებზე. ეს აზრი გამოთქვა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ახლახან თეთრ სახლში ჟურნალისტებთან შეხვედრისას.**

აშშ-ის ადმინისტრაციის მეთაურის თქმით, რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინსა** და ჩინეთის თავმჯდომარე **სი ძიანპინთან** კონტაქტებისას იგი შეეხო მსოფლიოში ბირთვული შეიარაღების შემდგომი შემცირების საკითხს, ასევე ამ შეთანხმებებში პეკინის მონაწილეობას. „მე ეს განვიხილე პრეზიდენტ პუტინთან საუბრისას. იგივე განვიხილე ჩინეთთან“, — თქვა მან.

**„ჩინეთი აღფრთოვანებული იყო ამ განხილვით, ისევე, როგორც რუსეთი. ვფიქრობ, მივაღწევთ შეთანხმებას“,** — ხაზი გაუსვა ტრამპმა.



## ტრამპმა პუტინს ტაიგაში ტყის ხანძრის ჩაქრობაში დახმარება შესთავაზა

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტელეფონით საუბრისას, რომელიც ამერიკის მხარის ინიციატივით გაიმართა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ციმბირში ბუნებრივი ხანძრების ჩაქრობაში დახმარება შესთავაზა.**

პრეზიდენტმა პუტინმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა კოლეგას ყურადღებიანი დამოკიდებულებისა და დახმარების სურვილისთვის.

პრეზიდენტმა პუტინმა ამერიკელი კოლეგის წინადადება შეაფასა, როგორც მომავალში მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესაძლო საწინდარი.

ლიდერებმა ასევე განიხილეს ორმხრივი ვაჭრობის საკითხები, შეთანხმდნენ სამომავლო კონტაქტებზე.

## 4 აგვისტოს აშშ-ს მასობრივი მკვლელობების ტალღამ გადაუარა

**ერთბაშად სამი თავდასხმა მოხდა სხვადასხვა ქალაქში: ელ-პასოში (ტეხასის შტატი) სავაჭრო ცენტრ Walmart-ში მყიდველებს გაუხსნეს ცეცხლი. შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა, 26 დაიჭრა.**

ოჰაიოს შტატის ქ. დეიტონში სროლის გამო დაიღუპა ცხრა და დაიჭრა 26 კაცი.

ამის შემდეგ სროლა ატყდა ქ. ჩიკაგოში, საბავშვო მოედანზე. აქ დაიჭრა 7 ადამიანი.



## ტრამპმა ჯონსონთან ერთად განიხილა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ორმხრივი ვაჭრობის საკითხები

2 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის ორმხრივ საკითხებზე ესაუბრა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **ბორის ჯონსონს,** რომელსაც პარიზში, 24-26 აგვისტოს გასამართ G7-ის სამიტის დროს შეხვდება, — იუწყება თეთრი სახლის პრესსამსახური.

## აშშ-მა მოუწოდა რუსეთსა და ჩინეთს, მონაწილეობა მიიღონ შეიარაღებაზე კონტროლის ახალი სისტემის შექმნაში

**ვაშინგტონს მიაჩნია, რომ მოსკოვმა და პეკინმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა შეიარაღებაზე კონტროლის ახალი სისტემის შემუშავება-შექმნაში.**

ამაზეა ლაპარაკი სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გასული კვირის პარასკევს გამოქვეყნებულ განცხადებაში საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებიდან შტატების გამოსვლის შესახებ.



**„აშშ მოუწოდებს რუსეთსა და ჩინეთს, გამოიყენონ შექმნილი მდგომარეობა, რათა რეალურად უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს უსაფრთხოება“,** — ნათქვამია განცხადებაში.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge

საქართველო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894